ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№269 (328) 20-27 მაისი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

26 მაისი მეგრული ენის დღეა, რასაც ვულოცავთ სრულიად საქართველოს და ყველა ქართველს!

მასალები მეგრული ენის დღესთან დაკავშირებით იხილეთ ჩვენი გაზეთის მე-3 გვერდზე

კაენის გაჩენის დღიდან, ადამსა და ევაზე გაბრაზებულმა ღმერთმა, სიკეთესთან ერთად, კაცობრიობას თავს დაატეხა მრავალი უბედურება, რათა მას კარგად გაესიგრძეგანებინა განსახვავება კეთილსა და ბოროტს შორის. ამ მრავალ უბედურებათა შორის განსაკუთრებულად გულისამრევია სიფლიდე, თაღლითობა, მკვლელობა, ღალატი, დამბეზღებლობა, სიხარბე, აღვირახსნილობა, უტიფრობა, უზნეობა, მორალის უგულვებელყოფა, წინაპართა ტრადიციებისადმი აგდებული დამოკიდებულება... ამ თვისებათაგან ერთიც რომ ახასიათებდეს ადამიანს, იგი უკვე ნორმალური საზოგადოებრივი რითმიდან ამოვარდნილ ფენომენად შეიძლება იქნეს მიჩნეული. მაგრამ, თუ ყველა ეს მანკიერება დამახასიათებელია ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფისათვის, ეს უკვე ძალზე საშიშია და დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, არამედ მთლიანად სახელმწიფოსაც კი!

როგორ გგონიათ, განა ცამდე მართლები არ ვიქნებით, თუ მოვყვებით იმის მტკიცებას, რომ ყველა ეს უბედურება დამახასიათებელია **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა”** და მისი დორბლიანი ბელადის სააკაშვილისათვის?!

არ არსებობს უფრო შთამბეჭდავი განცდა, ვიდრე საკუთარ თავზე გადატანილი უბედურებაა და ჩვენი ეს ექსპერიმენტი ემსახურება ნაციონალთა სხეულში ჩაბუდებული ყველა ამ მანკიერების გამომზეურებას.

მაშ ასე, ჩვენი საუბრის პირველი თემა გახლავთ ნაციონალთა ბრენდად ქცეული მანკიერება – **თაღლითობა**!

თაღლითებს რა გამოლევს დედამიწის ზურგზე, რადგან მათ საკბილო არასოდეს გამოელევათ სიხარბემოძალებული და მიამიტი ადამიანების სახით. დიახ – **სიხარბემოძალებული** – რადგან თაღლითი სწორედ სიხარბისაგან თვალებდაბრმავებულ ადამიანს **“წამოიკიდებს”** ხოლმე იოლად და კუდის რიკამდე ფცქვნის ხოლმე დიდი ფულის იოლად შოვნის მოყვარულს.

სწორედ სიხარბემ დააბრმავა ქართველი ხალხი, როცა საერთაშორისო თაღლით შევარდნაძეს ენდო და უკანასკნელი დღისათვის შემონახული გროშები ჩააბარა მას იმ იმედით, რომ უკან მილიონებს დაგვიბრუნებსო. შევარდნაძემ ეს თანხები მის მიერ გამოზრდილ თაღლით ჩხარტიშვილს ჩააბარა, ხალხი კი პირში ჩალაგამოვლებული დასტოვა.

თაღლითობა ამას ჰქვია – გაბრიყვებული ხალხი საკუთარი ხელით რომ ჩაგაბარებს წლებით ნაშრომ-ნაჯაფს დ შემდეგ პასუხსაც კი არ მოგთხოვს ჩადენილი არაკაცობისათვის.

თაღლითის ძალას მის გარშემო სხვა თაღლითი თანამრახველების თავმოყრა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ქვეყნის სათავეში თაღლითობითა და სისხლისღვრით მოსულმა ედუარდ შევარდნაძემ თავის გარშემო სწორედაც რომ თაღლითებს მოუყარა თავი, შემდეგ კი **“თაღლითთა ინკუბატორი”** გახსნა და პატარ-პატარა თაღლითები მოამრავლა საქართველოში. ასე გაჩნდნენ ქვეყანაში სააკაშვილი და სხვა პატარა **“თაღლითუნები”**. დათა თუთაშხიას პრონონსით ნათქვამისა არ იყოს ჯონჯოლიაზე: **“შევარდნაძის გაზრდილები ვითომ რატომ უნდა ყოფილიყვნენ შევარდნაძეზე უკეთესი”?**

ასე აღმოჩნდა საქართველო თაღლითების მმართველობის ქვეშ!

სააკაშვილის მიერ საქართველოზე თავსმოხვეული ყველა თაღლითობის გამომზიურებას ერთი გაზეთი კი არა, სქელტანიანი წიგნიც არ ეყოფა, ამიტომ, ვეცდებით მხოლოდ თაღლითობის ყველაზე შთამბეჭდავი ფაქტების თაობაზე მოვუთხრობთ ჩვენს მკითხველებს.

ნებისმიერი ხელისუფლება ცდილობს, რომ დაიქირავის ლობისტური კომპანია, რათა საერთაშორისო არენაზე მისი ქვეყნისათვის სასარგებლო იდეების ხორცშესხმის პროცესი გააიოლოს. სააკაშვილს კი ლობისტური კომპანია მხოლოდ იმისათვის სჭირდებოდა, რომ მსოფლიოსათვის დაემტკიცებინა თუ როგორი **“ერთგულია”** იგი დემოკრატიული ღირებულებებისა და როგორ სამართლებრივ სახელმწიფოს აშენებს. სინამდვილეში კი ამ სიმახინჯის განსახიერებამ საქართველო ერთ დიდ ციხედ აქცია, სადაც ჩვეულ მოვლენად იქცა კანონებისა და კონსტიტუციის მოთხოვნათა უხეში დარღვევა, ადამიანთა სიცოცხლის უფლების სრული იგნორირება, ეკონომიკის დარგთა მონოპოლიზირება მმართველი ძალის სასარგებლოდ და სხვა.

ჩვენ მხოლოდ იმის ერთ მაგალითს მოვიყვანთ, თუ როგორ თაღლითურად იყენებდა შვედური ლობისტური კომპანიის მომსახურეობას სააკაშვილი.

თაღლით გიგა ბოკერიას დაკითხვის შემდეგ მისმა მეუღლემ, ტელეწამყვანმა თამარ ჩერგოლეიშვილმა სოციალურ ქსელ Facebook-ზე სტატუსი გამოაქვეყნა, სადაც წერს, რომ **“ბიძინა ივანიშვილს და შეერთებული შტატების მიერ სანქცირებულ პუტინის რუს ოლიგარქს – ტიმჩენკოს, ერთი და იგივე ლობისტური კომპანია აქვთ დაქირავებული”**-ო. ცნობილი ჟურნალისტი გიორგი უძილაური თამარ ჩერგოლეიშვილის საპასუხო პოსტს აქვეყნებს და წერს:

“ბოკერიას მეუღლე ამბობს – ივანიშვილს და ერთ რუს ბიზნესმენს ერთი და იგივე პიარშიკი ჰყავთო. საინტერესოა, ვის გულისხმობს, ან რაში სჭირდება პიარშიკი ივანიშვილს... კაი, ამას შევეშვათ.

აქვე, კიდევ ერთი კაცი, ესაა ალექსეი სიტნიკოვი – კრემლის კარზე ყველაზე გავლენიანი პიარშიკული კომპანია Имидж Контакт-ის შეფი, რომელიც ეხლა მუშაობს სააკაშვილის ძველი დაქალის – იულია ტიმოშენკოს წინასაარჩევნო პიარზე. ხოდა, ეს ის რუსი პიარშიკია, რომელიც სააკაშვილს და ჟვანიას პრ-ში ეხმარებოდა 1999 წლიდან, ჯერ ასლან აბაშიძის წინააღმდეგ და შემდეგ “ვარდების რევოლუციის” დაგეგმვაში. 1999-ში საქართველოში სიტნიკოვს ჩამოყვანილი ყავდა 10 კაციანი ჯგუფი, რომლისთვისაც ჟვანიას და სააკაშვილს საიდუმლოდ დაქირავებული ქონდათ დიდი ბინა ვაკეში. ჰოდა ეხლა მე მაქვს კითხვა – რატომ ასაიდუმლოებს მიშას გუნდი რუსულ პიარ კომპანიასთან მუშაობას, როცა ამას არ მალავს თავად სიტნიკოვი? ისევე, როგორც არ მალავს, რომ მუშაობდა უშიშროების სამსახურზე?

ჰოდა, ამ პიარშიკებზე რა ხდება?

...ჰო, და კიდევ ერთი – რატომ არ ენდობიან უკრაინაში ტიმოშენკოს და რატომ თვლიან, რომ ის პუტინთანაა გარიგებული, ხომ არ იცის ვინმემ მიშას გუნდში?

...და კიდევ ერთი მიშას საიდუმლო პიარშიკი – შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც მანამდე მუშაობდა პიარ კომპანია KREAB-ში, რომელიც მიშას ემსახურებოდა. ამ ამბავზე შვედეთში სკანდალიც იყო”, – წერს გიორგი უძილაური.

თაღლითი თაღლითია, პოლიტიკოსი იქნება თუ ადვოკატი...

დიახ, მაშინ, როცა ქართველი ნაცების პირწავარდნილი დამცველი, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი პიარ კომპანია KREAB-ის აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ, სააკაშვილის გუნდმა ამ კომპანიას რამდენიმე მილიონი დოლარი გადაუხადა. შემდეგ კი, როცა კარლ ბილდტი შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნეს, მას თავი უნდა გაენებებინა ყოველგვარი ლობისტური საქმიანობისაგან, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდია ქრთამის ძალა და ბილდტი დღესაც უტიფრად უმტკიცებს მთელ მსოფლიოს, რომ საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესები სამართლიანობის აღდგენა კი არა, სააკაშვილისა და მისი ნაცებისადმი პოლიტიკური ანგარიშსწორება არისო!

განა ეს არ გახლავთ თაღლითობის კლასიკური ნიმუში?

მორიგი თაღლითობა გახლავთ ვიღაც ადვოკატის ირაკლი ზაქარეიშვილის საქციელი, რომელიც ერთდროულად იცავს როგორც დათა ახალაიას, ასევე მის ერთ-ერთ ბრალმდებელს, ნავთლუღის სპეცოპერაციის მონაწილეს, აწგარდაცვლილ სპეცრაზმელ შალვა თათუხაშვილს (რაც ადვოკატურის ეთიკის უხეში დარღვევაა), რომელმაც გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე დათა ახალაია ამხილა იმაში, რომ მან თავში მიბრჯენით, საკონტროლო გასროლით დახოცა სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდები, ნავთლუღის სადგურში ჩატარებული სპეცოპერაციისას. ახლა ეს ზაქარეიშვილი ამტკიცებს, რომ თათუხაშვილის გარდაცვალების მიზეზი მისი პროკურატურაში წამება გახლავთო, მაშინ, როცა სამხარაულის საექსპერტო ბიუროს დასკვნით თათუხაშვილი ალკოჰოლისა და ნარკოპრეპარატების ზედმეტი დოზის მიღების გამო დაიღუპა.

როცა ზაქარეიშვილს კოლეგებმა ჰკითხეს, თუ რატომ არ ჩაუტარა მას დროული ექსპერტიზა სხეულზე არსებული დაზიანებების გამო და რატომ გააგზავნა იგი ფსიქონევროლოგიურ ექსპერტიზაზე, ეს ურცხვი არსება პასუხობს, რომ მისი სხეულის დათვალიერების მომერიდა, რათა ნაწამები ადამიანის ღირსება არ შემელახაო. საკითხავია, რა უფრო შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო თათუხაშვილისათვის – მის სხეულზე დაზიანებების დათვალიერება, თუ ფსიქონევროლოგიურ ექსპერტიზაზე გაგზავნა, რასაც შეიძლებოდა მისი ფსიქოლოგიური დისბალანსი დაედასტურებინა. მაგრამ სწორედ აქ იმალება ზაქარეიშვილის თაღლითობის არსი – თუ იგი მოიპოვებდა ექსპერტის ცნობას თათუხაშვილის შეურაცხადობის შესახებ, მაშინ ახალაიას წინააღმდეგ მიცემული მისი ჩვენება ძალადაკარგულად გამოცხადდებოდა!

ამრიგად, ზაქარეიშვილს, რომელიც გარვეული მიზეზების გამოა დაინტერესებული, ახალაიას ბედი უფრო აინტერესებს, ვიდრე გარდაცვლილი თათუხაშვილისა, რაც თაღლითობის კლასიკური ნიმუში გახლავთ. განა, ამის შემდეგ, ამ ვიღაც გადაგვარებულ არსებას აქვთ ადვოკატის სახელის ტარების უფლება?

ნამდვილად არა აქვს, მაგრამ არც ამ ქვეყანას ჰყავს ისეთი მძლავრხელიანი პატრონი, რომელიც თავის ადგილს მიუჩენდა ზაქარეიშვილისთანა თაღლითებს!

ყველაზე მასიური თაღლითობა მაინც ის **“გაღმა შეედავე”**-ს პრინციპი გახლავთ, რომელსაც ავადსახსენებელი **“ნაციონალური მოძრაობა”** და მისი გაკოტრებული **“ბელადი”** სააკაშვილი იყენებენ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. ავიღოთ თუნდაც ერთი ფაქტი, როცა ვიღაც ხელმაძღლიანებმა ერთ-ერთი პირწავარდნილი და დემაგოგი ნაციონალი ნუგზარ წიკლაური გაიგდეს წიხლქვეშ. ატეხეს ნაცებმა ერთ წიოკი – მეოცნებე რევანშისტები გვცემენო. თავად კი მსწრაფლ დაივწყეს, თუ როგორი სისასტიკით გაუსწორდნენ მათი სპეცრაზმელები კობა დავითაშვილს, ვალერი გელაშვილს, ამირან ბიწაძეს, ლაშა ნადარეიშვილს, მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეებს (სპეცრაზმელების მიერ დახოცილ და მაღაზიის სახურავზე შემოლაგებულ ხალხზე რომ არაფერი ვთქვათ)...

უჭირს ნაციონალ თაღლითებს იმის აღიარება, რომ მეტად დიდია მათ მიერ წლების განმავლობაში დათრგუნული საზოგადოების აგრესია და გამორიცხული არ არის, რომ ხვალ კიდევ რომელიმე ნაცს **“დაუმშვენონ”** ცხვირპირი, მაგრამ მონანიების ნაცვლად კვლავაც თაღლითურად ცდილობენ საკუთარი **“სიმართლის”** დამტკიცებას შესაშური მონდომებით იშვერენ თითს ხელისუფლებისაკენ!

ნაციონალთა მორიგი თაღლითობაა ის პრევენციული ზომები, რისი ხორცშესხმითაც ისინი ცდილობენ, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისგება პოლიტიკურ ანგარიშსწორებად შეაფასონ. მაგალითად, იცოდნენ რა, რომ ნაციონალთა ყოფილ მაღალჩინოსნებს აუცილებლად მოუწევდათ წინა თანამდებობებზე ყოფნისას ჩადენილ დანაშაულზე პასუხისგება, მათ ისეთ ახალ თანამდებობებზე ნიშნავდნენ, რომ სამართლებრივი დევნა რევანშად შეესაღებინათ საზოგადოებისათვის. ასე მაგალითად, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, მრავალი სისხლის სამართლის დანაშაულის დამკვეთი და შემსრულებელი, ბლუჟუნა ვანო მერაბიშვილი, რომელიც სიტყვას სიტყვაზე ვერ აბამს, პარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს, და როცა ძველი დანაშაულისათვის პასუხი მოსთხოვეს, ნაცებმა ყიყინი მორთეს – ახალ ხელისუფლებას **“ნაციონალური მოძრაობის”**, როგორც პოლიტიკური ძალის განადგურება სურსო!

იგივე მოხდა ტელეარხ **“რუსთავი-2”**-ის გენერალურ დირექტორად ყოფილი პროკურორის მოადგილის ნიკა გვარამიას დანიშვნის შემთხვევაში. როცა ამ უკანასკნელს დაკითხვაზე დაუძახეს მის **“პროკურორულ”** დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ნაცებმა კვლავ მორთეს ყიყინი – ხელისუფლება ოპოზიციური ტელეარხის განადგურებას გეგმავსო, რასაც მორიგი აფერა მოჰყვა, როცა გვარამიამ თავისიანების მიერ დაყენებული მოსასმენი აპარატურა ახალი ხელისუფლების ნამოქმედარად გაასაღა!

მოკლედ, არა და არ ელევათ ნაციონალებსა და მათ გაკოტრებულ მექსლთანე წინამძღოლ სააკაშვილს თაღლითობისა და არაკაცობის რესურსი!

მაგრამ, როგორც ამბობენ, **“თოკი რამდენიც არ უნდა გრიხო, ბოლო მაინც გამოჩნდება”**. ამიტომ, მალე გასრულდება ნაციონალთა თაღლითური წიაღსვლანი და ისინი სამუდამოდ გადაინაცვლებენ პოლიტიკურ მოუსავლეთში, მათი სახელი კი ისტორიას შერჩება, როგორც თაღლითობისა და სიმახინჯის ვეებერთელა რეზერვის მქონე პოლიტიკური ძალა, რომელიც თავისივე სიბოროტესა და ავკაცობაში შთაინთქა!

როლანდ ჯალაღანია,
“აია”-ს და “ფაზისი”-ს
აკადემიების წევრი

ღია წერილი ვიღაც იური ღვინჯილიას

მე თქვენ არ გიცნობთ და არც თქვენი მენტალიტეტის მქონე ადამიანებთან გაცნობას ვარ დახარბებული, რადგან თქვენგან სასიკეთოს და საშურს ვერაფერს მიიღებს ადამიანი, რაც კიდევ ერთხელ დასტურდება თქვენს ინტერნეტმიმართვაში, რომელშიც სულ მეგრულად გვაგინე სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოსა"** და გაზეთ **"ილორის"** მესვეურებს და რუსეთის **ბრუ**-ს აგენტები გვიძახე. სიმართლე გითხრა, დიდი სურვილი არ მაქვს შენნაირი ერთუჯრედიანი, ინფოზორიული აზროვნების მქონე, ალშვანგის ნოქარივით გამოჯგიმულ და ემოციისაგან თვალებგადმოკარკლულ ადამიანთან დებატების გამართვისა, მაგრამ არც უპასუხობა ივარგებს, რათა შენი უბადრუკი არსება გამარჯვებულად არ ჩათვალო!

თანაც, ხომ გაგიგია, **"ვირისგან წიხლი რა საწყენიაო"**! ამიტომ, ამ წერილს გწერს არა როგორც შენი უტიფრობისაგან ნაწყენი ადამიანი, არამედ კაცი, რომელსაც დიდად არ ახარებს მის მშობლიურ კუთხეში შენნაირი სულბნელი რეგვენების სიმრავლე!

აღარ ჩამოვთვლი სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ლიდერის, ცნობილი პოლიტიკოსის ალექსანდრე ჭაჭიასა და მოძრაობის აქტივის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, რამაც აიძულა ადრინდელი თუ ახლანდელი ხელისუფლება, რომ ანგარიში გაეწია მეგრული ენისა და სამეგრელოს ფენომენისათვის, რადგან ამის თაობაზე საზოგადოებას ამომწურავი ინფორმაცია გააჩნია, ხოლო თუ შენ არაფერი გსმენია ამის თაობაზე, ეს უკვე შენი პრობლემაა, მაგრამ იმის სერიოზული ეჭვი გვაწუხებს, რომ შენ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცი, მაგრამ ვიღაცეების ბინძურ დაკვეთას ასრულებ და ამიტომ ცდილობ ჩვენი სახელისათვის სიბინძურის მისხმას.

ვერ ეღირსები – შენნაირი არარაობები ნამდვილად ვერაფერს დააკლებენ ჩვენს სახელსა და ღირსებას!

ყოველნაირად იგრძნობა, უბადრუკო ღვინჯილია, რომ ავადსახსენებელი **"ნაციონალების"** ალი-კვალი ხარ, რადგან სწორედ სააკაშვილი და მისი უზნეო ნაციონალები არიან საკუთარი დანაშაულის სხვებზე გადაბრალების დიდოსტატები. ჭეშმარიტად ასე გემართება შენ, როცა უტიფრად ჩვენ გვაბრალებ რუსეთის სპეცსამსახურების აგენტობას, მაშინ, როცა შენ თავად აუღერებ რუსეთის აგრესიული წრეების – ჟირინოვსკები, მიგრანიანების, ლიმონოვების და სხვა რეაქციონერთა თვალსაზრისს სამეგრელოსათვის ავტონომიის მინიჭების თაობაზე, რათა შემდეგ იგი საქართველოსაგან იქნეს ჩამოგლეჯილი. დიახ, აშკარად იგრძნობა შენი რომელიღაც უცხოური სპეცსამსახურისადმი მსახურება, რადგან შენნაირი მენტალიტეტისა და ფინანსური შესაძლებლობების მქონე ადამიანს აშკარად არ შეეძლება იმ ძვირფასი კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, რაც ტელეინტერვიუში შენს ზურგს უკან მოსჩანს!

რაც შეგვეხება ჩვენ, მართლაც დავთანხმდებოდით რუსეთის აგენტობას, თუ ეგეთ ტექნიკას შეგვიძენდა ვინმე, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსებს ვერავითარ ფასეულ ინფორმაციას ვერ მივაწვდით, გარდა იმისა, რომ წელს კვახჭირში ტყემლის დიდებულ მოსავალს ელოდებიან, ენგურის ნაპირებზე კი უამრავი ომბალოს მოკრეფა შეიძლება და თუ რუსები დროულად არ მოახდენენ საქართველოს ოკუპაციას, გაისად შეიძლება ტყემლისა და ომბალოს ასე დიდი მოსავალი აღარ მოვიდეს.

მართლაც რომ, ვაი, შენს პატრონს, შე უბედურო იური ღვინჯილია!

რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას რუსეთის როლისადმი საქართველოს ცხოვრებაში, ჩვენ დღესაც ვამტკიცებთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ოცნებაც კი არ შეიძლება რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის გარეშე! ეს ყველამ კარგად იცის, შენნაირი ერთუჯრედიანი ანგაჟირებულების გარდა, რომელთაც ხელს არ აძლევს საქართველოს გაძლიერება!

ახლა ვხვდებით, რომ მოძრაობა **"სამეგრელოზე"** შენს მიერ გახმოვანებული უკეთური ხმების გამო მოხდა, რომ შენმა შემკვეთებმა სახელმწიფო უშიშროების სამსახურიდან, ჩუმად, მოსასმენი აპარატურა დააყენეს სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ზუგდიდის ორგანიზაციის ოფისში.

საინტერესოა, რა უნდა ვაცნობოთ რუსებს ისეთი, რაც მათ არ იციან ჩვენს შესახებ? ინფორმაციის წყარო გაინტერესებს? აგერ, ბატონო – ასიათასობით ჩვენი სამშობლოდან გადახვეწილი თანამემამულე, რომლებიც რუსებმა შეიფარეს, სამუშაო მისცეს, ლეგალური შემოსავალი გაუჩინეს და იქაური ქართველებიც სწორედ ამ შემოსავლებით არჩენენ საქართველოში დარჩენილ დამშეულ ოჯახის წევრებს!

ვინაიდან შენი საკმაოდ ხანგრძლივი ტელეინტერვიუ-ბოდვა მეგრულ ენაზე მიმდინარეობს, ბევრმა შეიძლება არ იცის იმდენი მეგრული, რომ გამოსვლის შინაარსობრივი მხარე განიხილოს, თუმცა, მეგრულის არმცოდნეც კი კარგად მიხვდება, რომ მთელი შენი რამდენიმეწუთიანი ტირადა მხოლოდ ბოღმის ნთხევაა და სხვა არაფერი. მე კი ფსიქოლოგიაში საკმაოდ კარგად ვერკვევი, ფიზიონომისტი გახლავარ და შენი ფიზიონომია შეუცდომლად წარმომიდგენს მისი პატრონის აჭრილ-აბურდულ მენტალიტეტსა და ემბრიონალურ მდგომარეობაში გაჭედილ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს.

სწორედ შენნაირ კაცზეა ნათქვამი, საწყალო ღვინჯილია: **"სოფელში თოხს დააკლდა და ქალაქსაც ვერაფერი შესძინაო"**! მაგრამ შენ თოხთანაც ისევე მწყრალად იქნებოდი, როგორც კულტურასა და განათლებასთნ ხარ და ალბათ ამიტომაც წახვედი ქალაქში ბედის საძებნელად. მაგრამ, არა მგონია, ქალაქში მიაღწიო რაიმე წარმატებას, რადგან ახლა ვიღაცას სჭირდება შენნაირი უტიფრად მყეფარე ტრიბუნი და ამიტომაც გიყენებენ ნორმალურ ხალხზე მისაქსევად, მაგრამ, როგორც კი ყავლი გაგივა, მაშინვე ნახმარი ქალამანივით მოგისვრიან გვერდზე. ამიტომ, გირჩევ, დროზე მოდი გონს, წადი შენს მშობლიურ სოფელში და თოხს დაუბრუნდი, სანამ თოხნაც არ დაგვიწყნია და მთლად უსარგებლო ბალასტად არ ქცეულხარ!

შენი საუბრის შინაარსიდან გამომდინარე, კარგად გეტყობა ცოდნის რა **"ბაგაჟი"** გაგაჩნია. სწორედ შენნაირ უბირ და ბნელ ადამიანზე ამბობენ ხოლმე: **"სიცოცხლეში ერთხელ აიღო წიგნი ხელში და ისიც იმიტომ, რომ ამხანაგისათვის თავში ჩაერტყაო"**!

მაგრამ შენ, გეტყობა, ასეთ შემთხვევაშიც არ იყენებდი წიგნს და მოწინააღმდეგეებს მხოლოდ უშვერი სიტყვებით უმასპინძლდებოდი, ზუსტად ისე, როგორც ჩვენი მისამართით გააკეთე!

არ არის პოლიტიკა შენი საქმე, რადგან შენ არამც თუ პოლიტიკაში ვერ ერკვევი, არამედ, კარგად გეტყობა, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობაც კი არ იცი ხეირიანად!

თუ დამიჯერებ, ხომ კარგი, თუ არა და, ჯანდაბამდე გზა გქონია, შენი შემკვეთებიანად!

როლანდ ჯალაღანია,
შენგან ესოდენ მოძულებული
გაზეთ "ილორი"-ს მთავარი
რედაქტორი

შსს-ში „ნაციონალებს" აგენტურა ჰყავთ? – *ღია მიმართვა საქართველოს შს მინისტრს ბატონ ალექსანდრე ჭიკაიძეს*

ბატონო მინისტრო,

მოგმართავთ გონივრული ეჭვის საფუძველზე, რომ თქვენდამი დაქვემდებარებულ სამინისტროში **„ნაციონალების"** მომხრე ელემენტები ეწევიან საბოტაჟს და ინფორმაციები მიაქვთ სააკაშვილისადმი დაქვემდებარებულ ტელეკომპანია **„რუსთავი 2"**-ში.

საქმის არსი შემდეგში მდგომარეობს: ამას წინათ ოფისში გვესტუმრა **„რუსთავი 2"**-ის გადამღები ჯგუფი გადაცემა **„პოსტსკრიპტუმის"** სახელით. ჟურნალისტი გიორგი გვიშიანი დაინტერესდა არასახელმწიფო ორგანიზაცია **„ევრაზიის ინსტიტუტის"** საქმიანობით, რომლის ხელმძღვანელიც მე გახლავართ. ჟურნალისტი და ოპერატორი მთელი დღის მანძილზე იწერდნენ ინტერვიუებს ჩემთან, ასევე ჩემს კოლეგებთან – შოთა აფხაიძესა და ირაკლი ყიფიანთან. გადაღება მეორე დღესაც გაგრძელდა. მომზადდა სიუჟეტი და ამ სიუჟეტის ამსახველი მოკლე ანონსი „რუსთავი 2"-ის ეთერში გადიოდა ორი დღის განმავლობაში. თუმცა, შემდეგ, გადაცემა **„პოსტსკრიპტუმმა"** დაანონსებული რეპორტაჟი, რომელსაც **„მეხუთე კოლონა"** ერქვა და ამ **„მეხუთე კოლონად"** მე და ჩემი კოლეგები მოვიაზრებოდით, აღარ გაუშვა ეთერში.

ჩემი ეჭვი შსს-ში **„ნაციონალების"** აგენტურის მოქმედებასთან დაკავშირებით გამომდინარეობს შემდეგი მოსაზრებიდან: სიუჟეტი მზად იყო ეთერში გასაშვებად, რადგან მას მთელი ორი დღის განმავლობაში აანონსებდნენ, ეს იხილა უამრავმა ადამიანმა. გვაქვს ამ ანონსის ჩანაწერიც, როგორც ნივთმტკიცება. მაგრამ შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: ტელეფონით დამიკავშირდა ჩემი ახლო მეგობარი, პროფესიით იურისტი და მითხრა, რომ **„რუსთავი 2"**-ის მიერ არაკორექტულად დაანონსებული რეპორტაჟი სათაურით **„მეხუთე კოლონა"** შეურაცხმყოფელია ჩემთვის და ჩემი კოლეგებისთვის და იურიდიულად მე შემეძლო ტელეკომპანიის ამგვარი უტაქტო ქმედება სასამართლოში გამესაჩივრებინა. მე დავეთანხმე მეგობარს და ვუთხარი, რომ აზრად მქონდა კიდეც სარჩელის აღძვრა, მაგრამ ვმერყეობდი, ხოლო ახლა, მას შემდეგ, რაც მან მე დამირეკა, უკვე მივიღე გადაწყვეტილება, რომ მეჩივლა **„რუსთავი 2"**-ისათვის, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. მეგობარმა სატელეფონო საუბარში მითხრა, რომ მე პროცესის მოგების კარგი შანსი მაქვს. გადავწყვიტეთ, რომ შევარჩევდით ადვოკატს. ისიც ითქვა, რომ მოგებულ თანხას ქველმოქმედებაზე დავხარჯავდით.

ამ საუბრიდან ორი-სამი საათის შემდეგ ტელეფონზე შეტყობინება გამომიგზავნა ირაკლი ყიფიანმა, რომელშიც იგი დანანებით ამბობდა, რომ **„მეხუთე კოლონად"** მოგვნათლეს. მე მას მივწერე: **„სწორედ მაგაში შეცდა "რუსთავი-2", ყველა შემთხვევაში ჩვენ ვიგებთ, აუცილებლად გადმოწერე გადაცემა ინტერნეტიდან!"** ამ საუბრის და მიმოწერის შემდეგ **„რუსთავი 2"**-ის ეთერიდან გაქრა ანონსი **„მეხუთე კოლონაზე"** (ცოტა ხნით იგი კიდევ იყო ინტერნეტში) და 21:00 საათზე, გადაცემის დაწყებისას, ეს ანონსი ასევე აღარ გამოჩენილა. გადაცემა **„პოსტსკრიპტუმმა"** სიტყვა აღარ დაძრა **„მეხუთე კოლონაზე"**, ევრაზიის ინსტიტუტის შესახებ რეპორტაჟი საერთოდ არ გასულა ტელეეთერში.

ალბათ თქვენც გაგიჩნდებათ კითხვა, თუ როგორ დაემთხვა ჩემს კერძო საუბრებში გაჟღერებული მუქარა **„რუსთავი 2"**-ის მიმართ ამ ტელეკომპანიის უეცარ **„გაკორექტულებას"**. მე პირდაპირ ვამბობ: ჩემი და ჩემი კოლეგების სატელეფონო საუბრები და მიმოწერა კონტროლდება თქვენი სამინისტროს ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ, მაგრამ ჩვენ ამის პრობლემა არ გვაქვს – გვისმინონ და იკითხონ, რამდენიც უნდათ. მე, მაგალითად, სპეციალურად არ ვცვლი ჩემს ტელეფონს, რომელიც ლამის ნახევარმა საქართველომ იცის. პრობლემა უფრო ისაა, რომ თქვენს სამინისტროში სავარაუდოდ ჩაბუდებულნი არიან სააკაშვილის დამქაშები. ჩემგან არ გესწავლებათ, რეალურად ვის ეკუთვნის ტელეკომპანია **„რუსთავი 2"** და რა საქმეს ემსახურება იგი. ვვარაუდობ და ირიბად ვამტკიცებ კიდეც, რომ **„პოსტსკრიპტუმის"** ავტორს უშუალოდ ჩემს მიერ ჩემს მეგობრებთან სატელეფონო საუბრებში გაჟღერებული გადაწყვეტილება აცნობეს და ყური აუწიეს კიდეც – ვინაიდან, ვიმეორებ, ადგილი ჰქონდა პირდაპირ შეურაცხყოფას ტელევიზიის მხრიდან, **„რუსთავი-2"** ვერასოდეს დაასაბუთებს ჩვენს **„მეხუთე კოლონობას"** და სასამართლო პროცესს პირწმინდად წააგებს. ამ გზით კი სააკაშვილის პროპაგანდისტული იარაღი გადაარჩინეს სასამართლო პროცესს.

ჩვენი ხელისუფლების და მთლიანად საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებშია, ბოლომდე გაწმინდოთ შსს ორგანოები **„ნაციონალების"** ნარჩენებისაგან, რასთან დაკავშირებითაც წარმატებებს გისურვებთ.

პატივისცემით,

გულბაათ რცხილაძე,
ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პოლიტიკის
მეცნიერებათა კანდიდატი

26 მაისი მეგრული ენის დღეა, რასაც ვულოცავთ სრულიად საქართველოს და ყველა ქართველს!

მაცალეფი

ართი ბორიობა სერც ბათლომეს ცუდექ დააჭვგ. თიში მამალას ქიგეცუ ტუტათ სკვამი ოდაქ, მუთუნიშ გიმოღალაქ ვაჭიშუ ნამთინც დო ქმწოსქიდეს მინდორც ერებამო. ბათლომეს ართი მაცალე ცუნდ, სახელო ისიდორე. ჯოგი აფუდ თის გიმნაჩემი დო იფირქ, გვიწვესხენქია ფარას ახალი ოდაში ეიოგაფალო.

მაცალე აბა მუ მაცალე რე, გაჭირებას მუში ხუჯიში კოც ვალუდირთასგნი. ზიტყვას ოკო გურიში ჩამა: ცალეფი ჯას გოჩანც. თინეფი ართი ჯაში ტანშე რენა მუკნაფალა. კოჩიში მაცალე შხვა დიდა დო მუმაში სქი ორე, მარა ქვეშ მარგალც ჯაში ცალეფშა ქიმუგურუაფ თინეფი დო ართი შური დო გურით ართიანწკგმა გინოსქვილეფშა მაცალეფი ქიგუდვალ.

ქიმერთ ბათლომექ მაცალეშა დო ქოთხუ ფარა: ქიმმესხია დო ართი წანაში უკული დოირთინუანქია ურკებელო. იჩაკვირ ჭახანც ისიდორექ დო ვარია ქოუწუ მაცალეს: მაციდეს დიო ვამუდალგნია ჯოგიში ფარა, სუმი თუთაში უკული ოკო მისურასია. ბათლომეს მეუდინ იმენდიქ. სუმი თუთაში უკული ზოთინჯი მაჭიშუანდ დო ვართი დაჭყინედ ცუდეში კეთება.

ისიდორეში ოსურქ ქიგეგონ თე რაგადი, მალე გიმილ ცუდეშე დო გიტყაბარუ ღვა. მუ გეგონუა ჩქიმ ცუჯეფქ, მუნირი ტყურა უწუა გაუბედურებული მაცალეს; ნარდენდ ოსური, მარა ქომონჯიში გინორთი მუ არაგადედ დო გეუნჭირ კიბირი ნინას.

მიდართ გაცუდებული ბათლომექ დო ქიგიაცუნ განგარებული გურით შარას. ისიდორეშე გური ვამორთუმ. მუჭო იფირქენდ მაცალე ტყურას უწინდგნი.

ბათლომე გეგნაზარ ოზეში ხიბაშა ისიდორექ დო რულაიათ გენმოსოფ ცუდეშა. გაანჯ კიდობანი დო გეშეღგ გევრე პინტის მეკირილი ფარა. უკული ხანგაცალო გაგმოლ გალე დო უკახალენი ღობერც გეგნოსხაპუ. ოკვათაფუთ მოჭკირ შარა. ოსურქ ქგმაკინდუ თოლი კიდობანშე ფარა ეშეღგნი, მარა მუს თუთმაცენდგ თე მუში ცაზაყინ, თეშა გვალო ვაჩინ გურქ. ფარამო ეკათხოზუნი, მეჩამა ქაკოდდა მუს აწვალენდუა თეზმას იშენით გაწვალებულ კოც.

ბათლომე მიშგ გური ჭვილო დო მეფურცქინუნდ შარა-შარას. ტყაში პიც მიანჭგნი, შქა შარას ქოძირ მუდგარენი მეკირილი გილაძგნი. იშო-აშო გიჯინ, მარა სოლეთინი კოჩიში სისანდობა ვართ. დიდ აკანც ვახორანდ მითინი. გეჭოფ თე მუდგარენი, გონწყ გოსქვილი პინტი დო თოლეფც ვადუჯერ: ტკვაჩილი ფარა მილნოკირუე დინახალე. სისმარო ვორექიაო, იფირქ ართი შვანც დო მანგარო ქიმიწკიტონუ ღვანწკიშა, მარა მუქ ოკო ითირკო, ცხადი ორდ ორფელი.

ცუდეშა დორთელი ისიდორეს ოსურქ უწუ: დიო ვარია ქოუწი, გური გამკუცოთი დო უკული ფარამო ეკათხოზი ოკვათაფუთუნი, თენა მუ ორდუა. მესხება გოკოდუადა თაქ ვარცუნდუაო, ამარი. ეჯგუა გაჭირებას, მესხება ვარ, გვალო აჩუქენსია ფარას ჯგირი კოჩი მუში მაცალეს.

ისიდორექ ცებურც ქგმშადოხოდ დო ჭახანც მუთუნი ვათქუ.

– მივესხიკონი ვაგინედუა ბათლომეს თეზმა ფარა დო გემწარებუდუა ორჩინელც, – უწუ გითოცუნელო ისიდორექ, – ვაჩიქიკონი ხოლო უფრაში იცუაფუდუა: მონათ გინმართუდუა დო მივოდინუანდია მაცალეს. ვარა, მუ გემო უდუნია ნაჩუქები ცუდეში რინას. ასე, შარას გილახვილაფირი ფარას ღორონთიში ჭყოლოფათ მირჩქინანცია ბათლომე დო ხვამა-წირუათ გასურენცია მუში დღალეფც.

ოღორონთე კოჩი ვადეჯერც თე ამბეს. ვარა მუჭო ოკო დეჯერას, მუუამცგთ თის ოცად, სოდელიშის მუკაბინანც, თევრე არგუნი მუკონწყასგნი, მარა ორდეს ისიდორეჯგუა კოჩეფი. თინეფი ვარდესკონი, ამდღარი დღაშა ვამართედ თე ქიანას.

მარგალიში ხოჯი

კეისარქ გინოჭყვიდ სამარგალოში ეჭყვადუა დო მალარაც ტკუტკარი მალიმორეფი დო მანჯღვერო ქაწუცუნუ მუში სქუა, სახელო ვათანძარა. დიდი ლმა ორდ სამარგალოს, მარა ნტერეფი ვითშა უმოსი ორდეს დო მარგალეფქ დიკინეს გვალეფიში განშე. ვათანძარაქ ქიმიაცუნ ვათანძარული საქმეს: გეგნოჭგ მუხურეფი დო ქაწირაც უმინჯურო დოტებული ორინჯი. შქაონდღეში გურც მაშქირენ ვათანძარას დო ზოჯ: გეიშაგორითია ჩქიმო ართი ხოჯი ჯოგიშე დო გომიტყაბარეთია. მეთოლეს დუდი გვანილი ხოც დო ბორკით ქიითაბუნეს ცხიმურიში ნოცელას ოტყაბარალო. ცანდირ ხამუთ გუცხანტეს ქვარა დო ქიდიჭყეს ტყარაბუა. ვალიში მამალას გამკანწვეს ტყეები. უჯინედ შორშე დუდი კვათილ დო გოტყაბარელი ხოც ვათანძარა დო იჩიებუდ: ათე დუდი მეკვათილი ხოჯი დო სამარგალო ართნერი რენანია ამდღა. ტყების გამკვონწყგნთგნი, დობჭკირგნთია თია-თიათ, ქენვორღვანთია ჩუანც ოხაშალო დო ობჭკუმუნთია ედომშამო.

მუჭოთ გიწითგნი, ტყაბარუა გასურეს. ასე ბორკეფი ორდ ორცხუას გინანწყგმალი. – ათე ბორკეფც მა ქიმვოჭკირანქია, – თქუ ვათანძარაქ დო ხამ გაიწუდ მატყაბარალც. ქიმერთ ხოლოშა დო ორცხუას ქიგუსგ კვათირი ხამ გენჭირელო. თი ორცხუას ჯერღვი ვაცოფედ დიო ღურელი დო ქიდიუგვერთუ გოტყაბარელი ხოჯქგ, მირქუ ბორკი დო თიჯგუა ცონიერო ზეპუ ნოცორც, კიბირეფი ქიგიოტახ ვათანძარას. გური წულირო დიხას ქიგიაუგართ ვათანძარაქ. ქოუცის შქურნაფილი მაცვენჯეთქ, მარა ჭყანაშა ვამაცუნინეს მუთუნი ფერო. უკული, ონჯუა ბორჯის, ძიუთ გაცაცუ თოლეფი, მარა მუშო გიკო! – თიჯგუა მეუგამუდ ხოც, კიბირეფწკმა ართო ტვინი ხოლო ქდურღვაფუაფ ვათანძარაშა დო ქდოსქიდ თიქ გაბორებულო.

ქიმუცუნეს კეისარც კიბირეფი ერღვაფილი დო გაფოჩებული სქუა დო გეუნწყეს ირფელი, მუჭოთ მოხვადგნი.

მიინჭგ ცვაშა ხე კეისარქ. მუშე ვადუზუკოლია მარგალეფიში ამბე. ართნერი რენანია თინეფი დო თინეფიში ხოჯეფი. ბრელშა მებკვათითია დუდი, მარა ვამაცვილესია იშენით, თიშენი ნამდა ამდღა ხოლო ვაუჩქუნია კოც, ღურას მერნელეფი სო ინიტყობინუანა შურცგნი.

გიორგი სიჯინავა,

ღვთაებრივი სამება

ვითარ წყვილი შენაკადი
მარად ტკბილსაამური –
დედა-ქართულს უერთდება
მეგრული და სვანური.
რითაც მძლავრობს დედა ენა
მორჭმით მოედინება –
ჩვენი ქვეყნის სიამაყე,
ჩვენი სახელ-დიდება.
უძლეველი დედა-ციხე, –
როგორც სულის სამეფო
მეგრულ-სვანურ-ქართული –
ღვთაებრივი სამება.
სამეული სამუდამოდ
ერთმანეთის ერთგული,
ჰანგი მრავალხმიანი
ქართულ-სვანურ-მეგრული.

მ. ბრიგოლია

ჩქიმი ჭიჭე სამარგალო

ირ ქიანა გიცორდასუ,
მარა რშუდას სი მიქ რდუნი,
ვეშგოჭყორდას დიდა ნანას
მუ ნინაშა გიბირდუნი.

საქორთუოშ არძა კუნთხუს
საცოროფოთ გუნჯი გური,
მარა ვეშეჭყოლიდუა
სქანი ნინა მარგალური.

ფჩირთუქუდა მაპატიით
დო ქოგიწინთ მართალს გვალო:
მა არძაშა ქომისხუნუ
ჩქიმი ჭიჭე სამარგალო.

ფაუსტ ნადარაია

* * *

არძაშ უმოს უბედური,
ამდღა იშენთ მარგალი რე,
გიყურებ და კვდება გული,
გირჩქილექ დო მანგარინე.

ვაგმაგინუ მაფშალია
ვის უხმობს და
ვისთვის გალობს,
დაღლილი და დამშვრალია
ჩქიმი სქვამი სამარგალო.

ლაზი რე დო, ჭანი რე დო,
არძო ართო მარგალი რე,
ჭირში ვინ გყავს საიმედოდ?
რხინს ირკოჩი მანგარი რე...

მუშ დუდიში უბედური
ამდღა იშენთ მარგალი რე,
გიყურებ და კვდება გული,
გიჯინექ დო მანგარინე.

ვახტანგ ხარჩილავა

* * *

ამერსა და იმერს გამოარჩევ განა?
მთაშია თუ ბარში – სამოთხეებს გვანან.
შენ სულ ჩურჩული ხარ, სულ კივილი თანაც,
შენ არავის გავხარ, სულ არავის, ნანა.
მოდგმას ამორძალთა
და მგელკაცთა მოდგმას,
ასე უნაზესი და ღვთიური მოთქმა?
გლოვაა თუ ლხინი, ვინ თქვას შენისთანა,
შენ სხვა ტკივილი ხარ, სხვა სიცოცხლე, ნანა...

შოთა ნიშნიანიძე,
"სიმღერა სამეგრელოზე"

თურმე ძველისძველად მითაჟამიმდელ, უხმოვრობის დროინდელ კოლხეთში, გვიმრის გიგანტი ხეები ხარობდნენ, რომლებიც დროთა მსვლელობაში, ჟამთა ტრიალში ნელ-ნელა გადაჯიშდნენ, გადაშენდნენ, გაგვიმრუჭდნენ და აწ ცელითაც ითიბება.

კოლხური მითოლოგიიდან

გვიმარა

ოხვამური ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?
ვეგლენგარა ირიათო
თი თუთა დო თი მარა
ოხვამურ ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?!
ჩელაია ნირსი ცაშე მირავალუ,
გოკურცხია, დიდა ინგირ გირაქვალუ,
გოლუაფირო, გოლუაფირო, ირო ფალუ,
კუჩხეფიშა წყურგილეფი ქუმოიდვალუ,
ოხვამურ ჯა რდი, მარა დეჩიჩიო, გვიმარა?!
შხურიშ ტყების გეჭარუდუ სქანნინაშა,
მუჭო ოკო ონდღულესკო ფულანდი!
ითამ კუჩხი გეიდგუმუდკო ტინტილაშა,
ეკორჩვილი გილეში დო ქულანდი!
შხურიშ ტყების გეჭარუდუ სქანობურო
ორქო ქვიშაშ კორობუაშ წესეფი,
გიკურცხინე, გიკურცხინე, გოლუაფირო,
სი მუნაფას გიწილოხუნს მეფესი!
ოხვამური ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?!
ბირგულ მუშენ გიდირკუ,
კოლხურ ბირაშ მარჩქილეს?
ქარწყეექ – ჰავაქ ქიდირქუ,
ფსუა გეკოვარჩხილე!
ქიგიშინი ხიოლი,
რე მუმულიშ იონი,
მობაღუნა ქიონი,
უზისხირე, გვიმარა!
ნჭყოლირ გური მუჭო ვემკისქილადე,
ღურა თელათ მუჭო ვემკიზგილატე,
კოლხიდაშე ლანდი ქუდოსქილადე,
უზისხირე, გვიმარა!
ჩელაია ნირსი ცაშე მირავალუ,
გოკურცხია, დიდა ინგირ გირაქვალუ,
გოლუაფირო, გოლუაფირო, ირო ფალუ,
კუჩხეფიშა წყურგილეფი ქუმოიდვალუ.
ოხვამური ჯა რდი, მარა
დეჩიჩიო, გვიმარა?
გიკურცხინე, გოლუაფირო,
ვარა გიმორჯგინანა!
ქიგიშინი თი მარა,
ქარწყეექ მუსხის გიღვარა,
გემწოდირთი, გემწოჟვენდი,
გემწოსოფი, გვიმარა!

გური ოტობაია

* * *

„სამეგრელოს მთელი ისტორიის მანძილზე, საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ გამაერთიანებელი ფუნქციის შესრულება ეკისრა. მეტიც, ისტორიაში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ საქართველოს დაქუცმაცების პერიოდში არსებობდნენ კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოები, მაგრამ სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიუხედავად, დადიანებს არასოდეს უცდიათ სამეგრელოს სამეფოდ გამოცხადება. იმდენად ძლიერი იყო ყოველთვის მეგრულ საზოგადოებაში ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისაკენ ლტოლვა".

* * *

„ნებისმიერი ნორმალური ქართველი უნდა ამაყობდეს იმით, რომ არსებობს უმდიდრესი ფენომენი – ქართველური ენობრივი კულტურა, რომელიც მოიცავს თვით ქართულ, მეგრულ და სვანურ ენობრივ კულტურებს".

ალექსანდრე ჭაჭია,
პოლიტოლოგი, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს"
თავმჯდომარე

საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა ცოცხალ თავისებურებაშია. მე იმის მომხრეც ვიქნებოდი მწერლობა აყვავებულიყო მეგრულად. ქართული მწერლობა ამით არას დაკარგავს, კიდევაც მოიგებს.

გრიგოლ რობაქიძე

ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ის, რომ დანარჩენ ქართველებს არ გვესმის მეგრული.

აკაკი შანიძე

სამეგრელო არის ქუჯი ეგრისელის სიბრძნე, გიორგი ჭყონდიდელის მწიგნობრობა, ცოტნე დადიანის რაინდობა, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული სულისკვეთება, იოსებ ჟორდანიას კეთილმოყვარეობა, ჟიული შარტავასა და სხვა მრავალთა გმირობა და ზნეობა.

შოთა ნიშნიანიძე

ქართველებს ენათმეცნიერები სამ უმთავრეს შტოდ ყოფენ: ერთ შტოს ქართულად მოსაუბრენი შეადგენენ (ქართლელნი, კახელნი, ფშავ-ხევსურნი, მესხები, აწინდელი იმერლები და გურულები), მეორეს იბერიელნი ეკუთვნიან ანუ მეგრელ-ლაზ-ჭანები, მესამეს – სვანები.

ივანე ჯავახიშვილი

სამეგრელოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია, რადგან იგი აფხაზეთის მიმდებარე მხარეა, ამიტომ სწორედ სამეგრელომ უნდა იკისროს მთელი ქართველი ერის გამთლიანების მისია.

ილია II

დიდია სვანთა როლი საქართველოს პოლიტიკურ და ისტორიულ შემოქმედებაში, საქართველოს პოლიტიკურ მშენებლობაში.

ნიკო ბერძენიშვილი

გვერდი მოამზადა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მთავარი საბჭოს წევრმა ბატონმა
ზაურ გახარიამ

დათა ახალაიასა და ლაშა შუშანაშვილის "გულთბილი" შეხვედრა საბერძნეთის ციხეში

"დათა ახალაია არსად გამოცხადებულა. შეიძლება თვითონ მოუვიდა აზრად, რაკი დამიჭირეს, თავშესაფარსაც მოვითხოვო. როცა დაიჭირეს, არც კი იცოდნენ, რომ ის საქართველოში ოდესღაც მაღალჩინოსანი იყო"

კონსტანტინო კარშია, პოლიტიკური გამოცემის რედაქტორი, 2014 წლის მარტი.

"ბაჩო ახალაიას ბრალდებებს მხოლოდ ქურდები უყენებენ, რომლებსაც მასზე შურისძიება სწყურიათ".

როლანდ ახალაია

2014 მარტში, საბერძნეთის საპორტო ქალაქ პატრასში, იტალიაში მიმავალ გემზე ამსვლელ ერთ-ერთ მგზავრს ყალბი პასპორტი აღმოაჩნდა. სამართალდამცავებმა ის პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. დაკავებული აღმოჩნდა ქართველი ოთარ ურუშაძე. მას ხელთ საეჭვოდ დიდი თანხა – 10 000 დოლარი და 20 000 ევრო ჰქონდა. საქმის გარკვევამდე ოთარ ურუშაძე პატრასის ციხეში გადაიყვანეს...

ბერძენი სამართალდამცავებისთვის საქართველოს მოქალაქეების დაკავება მსგავს საქმეებზე, იშვიათობა არ არის, ამიტომაც საბერძნეთის ციხეებში მრავლად შეხვდებით ჩვენს თანამემამულეებს... თუმცა, სამართალდამცავები განცვიფრდნენ, როდესაც სალადაფონის ციხეში მიყვანილმა ოთარ ურუშაძემ განაცხადა, რომ ის იყო დათა ახალაია, რომელსაც ინტერპოლი კარგა ხანია წითელი ცირკულიარით ეძებს... პატიმარი ციხის სასწრაფოდ დატოვებას და პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელთა დაწესებულებაში გადაყვანას ითხოვდა.

მალე ამ უცნაური აღიარების და თხოვნის მიზეზიც გაირკვა – ციხეში კონსტიტუციური უსაფრთხოების ყოფილ უფროსს მისი დიდი ხნის მტრები, ქართველი კანონიერი ქურდები დახვდნენ ლაშა შუშანაშვილის თავკაცობით...

მოსალოდნელი ქურდული შურისძიებით შეშინებულმა ყოფილმა დიდმოხელემ თავდაცვის მიზნით გადაწყვიტა, გაერისკა და ბერძენი სამართალდამცავებისთვის საკუთარი ვინაობა გაემხილა. როგორც ბერძნული მედია ირწმუნება, ახალაიას შიში უსაფუძვლო არ ყოფილა, რადგან კანონიერმა ქურდებმა სამართალდამცვებზე ადრე შეიტყვეს პატრასის გემის მგზავრის ნამდვილი ვინაობა და ციხეში მის დასახვედრადაც მოემზადნენ – ამისთვის ორმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა ციხეში მოსახვედრად საგანგებოდ ჩაიდინა მსუბუქი დანაშაული.

ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ლაშა შუშანაშვილის წყალობით, საბერძნეთში მყოფი ქართველი კანონიერი ქურდებისთვის დანაშაულის ჩაუდენლადაც ღიაა ყველა ციხის კარი.

შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა და ქურდული სამყაროს ერთ-ერთმა გავლენიანმა ფიგურამ ლაშა შუშანაშვილმა საბერძნეთის ციხეში შეხვედრამდე სხვადასხვა გზა განვლეს, თუმცა მათი გზები რამდენჯერმე გადაიკვეთა:

პატიმარმა ლაშა შუშანაშვილმა მიშა სააკაშვილის ყურადღება ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრობისას მიიქცია. მაშინ მას მოახსენეს, რომ **"გუბერნსკში"** კანონიერმა ქურდმა 49-ე, ე.წ. ქურდულ საკანში ევრორემონტი გააკეთაო (მაშინ ევრორემონტი ჩვენში უცხო ხილი იყო). თბილისში ეს ამბავი დიდსა თუ პატარას პირზე ეკერა. როგორც ამბობენ, იუსტიციის მინისტრს ქურდული რემონტი არ ჰქონდა მონელებული და – მის ერთ-ერთ მოადგილეს ციხიდან ლაშა შუშანაშვილმა დაურეკა – როდემდე უნდა ვიჯდე აქ. რადგან არ გირეკავთ, არ ნიშნავს, რომ აქ ყოფნა მსიამოვნებსო(?!), – უსაყვედურა. რა თქმა უნდა, მოგვიანებით ხელისუფლებაში მოსულ მიხელ სააკაშვილს ქურდულ სამყაროსთან გამოცხადებული ომის დროს არც საზღვარგარეთს თავშეფარებული შუშანაშვილი დავიწყებია და ყველანაირი ხერხით ცდილობდა მის საქართველოში ჩამოყვანას.

2010 წელს რუსთაველი კანონიერი ქურდი გერმანულმა გამოცემამ, ავსტრიის პოლიციის ანგარიშზე დაყრდნობით, ქართული ოპოზიციის ხელისშემწყობად და ხელისუფლების დამხობის ერთ-ერთ ორგანიზატორად გამოაცხადა. ვინაიდან საქართველოში ამ ფაქტზე ხელის მოსაჭიდი არაფერი ჰქონდათ, შუშანაშვილს ქურდული სამყაროს წევრობაში დასდეს ბრალი და ძებნაც გამოაცხადეს. ამასობაში ევროპაში რუსული (ქართული) მაფიის წინააღმდეგ ესპანელმა სამართალდამცავებმა ზედიზედ ჩაატარეს ფართომასშტაბიანი ოპერაციები. დააკავეს რამდენიმე გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტი, მათ შორის ლაშა შუშანაშვილის ძმა კახა შუშანაშვილიც, თავად ლაშა **"რუსთავსკი"** საბერძნეთს აფარებდა თავს.

ესპანეთის ხელისუფლება დრო და დრო აცხადებდა, – შუშანაშვილის დაკავებას იმიტომ ვერ ვახერხებთ, რომ ბერძნული პოლიცია მოსყიდული ჰყავსო. 2010 წელს ესპანეთის პროკურატურამ ბერძენი კოლეგები ერთობლივი ოპერაციის ჩატარებაზე დაითანხმა. შუშანაშვილი უნდა აეყვანათ ქალაქ თესალონიკის ერთ-ერთ სასტუმროში (ვინაიდან აქ ქართველები მრავლად არიან და ქართველი კანონიერი ქურდების **"შტაბბინაც"** აქ არის), თუმცა პოლიციელებს კანონიერი ქურდი წასული დახვდათ. მოგვიანებით ბერძნულ მედიაში გაჟღერდა, რომ ქართული მაფიის ბოსს მოსალოდნელ დაკავებაზე ინფორმაცია შუაშანაშვილი მაინც დააკავეს ათენის მახლობლად, ცნობილი კურორტის ფეშენებელურ სასტუმროში, პირად მცველთან ერთად. მის ექსტრადირებას დაჟინებით ითხოვდა ესპანური მხარე, სადაც მას ფულის გათეთრება და მკვლელობის ორგანიზება ედებოდა ბრალად. ესპანელებს არ ჩამორჩებოდა სააკაშვილის ხელისუფლებაც, თუმცა მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ კანონიერ ქურდთან ვაჭრობაც კი მიდიოდა – საქართველოში ექსტრადაციის სანაცვლოდ, პოლიციის მაღალჩინოსნები კანონიერ ქურდს 100 მილიონ დოლარს თხოვდნენ... ლაშა რუსთავსკიმ ქართული ციხისგან თავის დასაღწევად სულ სხვა ხერხს მიმართა: ვინაიდან იმხანად საბერძნეთის ეკონომიკა კოლაფსში იყო, ხელისუფლებას ფინანსური დახმარება შესთავაზა და ქალაქ თესალონიკში ერთი თვის პენსიები დაარიგა. როგორც საქმეში ჩახედულები აცხადებენ, ამის შემდეგ ხელისუფლებამ უარი უთხრა როგორც ესპანურ, ისე ქართულ მხარეს **"ქველმოქმედი პატიმრის"** გადაცემაზე. კანონიერი ქურდი მეორე წელია, სასჯელს ბერძნულ ციხეში იხდის და ამბობენ, თავს ძალიან კომფორტულად გრძნობსო. თუმცა როგორც მისი გარემოცვა ირწმუნება, დათა ახალაიას ბერძნულ ციხეში გამოჩენა მისთვისაც მოულოდნელობა იყო.

2004 წელს **"ვარდების რევოლუციით"** ხელისუფლებაში მოსულმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში ორგანიზებულ დანაშაულს – ქურდულ სამყაროს – სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა და ქართველ კანონიერ ქურდებაზე ნადირობა დაიწყო. ქურდებთან ბრძოლაში განსაკუთრებით ძმები ახალაიები მარჯვობდნენ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი ბაჩანა ახალაია ცდილობდა, ქურდული სამყაროსთვის ხელიდან გამოეცალა მისი უკანასკნელი ბასტიონი – ციხე-კოლონიები. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი კრიმინალური ავტორიტეტი პირად საუბარში ხშირად ამბობდა, ქურდულ სამყაროს **"მხედრიონის"** შემდეგ ახალაიებზე დიდი მტერი არ ჰყოლიაო.

2006 წლის 26 მარტს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ბაჩო ახალაიას მორიგი სადამსჯელო რეიდი (როგორც გამოძიებით გაირკვა, ის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაგეგმილი პროვოკაცია იყო) კანონიერი ქურდების – მალხაზ ზედელაშვილის, პლატონ მამარდაშვილის, ნიკოლოზ მახარაძის, კრიმინალური ავტორიტეტების – ზურაბ ვიბლიანის, გიორგი ავალიანის და ლევან ცინდელიანის ცემით დაიწყო, რასაც **"გუბერნსკსა"** და სხვა კოლონიებში პატიმართა ბუნტი მოჰყვა. სისხლში ჩახშობილი ციხის ბუნტის შემდეგ ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ქურდული სამყარო ახალაიებს 26-27 მარტის პროვოკაციას, რომელიც მათ კანონიერი ქურდის (პლატონ მამარდაშვილი) ხელით მოაწყვეს, არ აპატიებდა. 2012 წლის აგვისტოში ლაფანყურის სპეცოპერაციის შემდეგ, ახალაიებს ახალი მტერი გამოუჩნდათ – ჩეჩნები, რომლებიც დრო და დრო მუქარის წერილებში ახალაიებს ახსენებდნენ, რომ ლაფანყურში დახოცილი ჩეჩნების სისხლს არავის შეარჩენდნენ. პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალაიებმა საქართველო დატოვეს. მოგვიანებით ბაჩო ახალაია საქართველოში დაბრუნდა. როდესაც ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ბაჩო ახალაია უამრავი ჩადენილი დანაშაულის გამო განსასჯელის სკამზე დაესვა, ქურდულმა სამყარომ მისი არსებობის ისტორიაში უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და ე.წ. ციხის ბუნტის ბაჩო ახალაიას წინააღდეგ ექვსმა კანონიერმა ქურდმა ჩვენება მისცა.

ძმისგან განსხვავებით, დათა ახალაია საქართველოში არ დაბრუნებულა. თუმცა, შიგადაშიგ სოციალური ქსელებით ავრცელებდა წერილებს. ერთ-ერთ ასეთ წერილში ყველა უბედურების სათავედ ვანო მერაბიშვილს ასახელებდა. მაშინ აქტიურად ალაპარაკდნენ დათა ახალაიას და ახალი ხელისუფლების გარიგებაზე. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დათა ახალიამ განაცხადა, რომ მისი სახელით გავრცელებული წერილი სინამდვილეში მისი არ იყო და აუცილებლად დაბრუნდებოდა საქართველოში ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად, თუმცა, ამის ნაცვლად, როგორც ამბობენ, დეპრესიამოძალებული თურქეთში მეგის ქარდავასა და სოსო თოფურიძესთან ერთად დამის ბარებში იქცევდა თავს. გავრცელებული ინფორმაციით, ბოლო დროს მისი თურქეთში დარჩენა უსაფრთხო აღარ იყო, რადგან კავკასიის ემირატის წარმომადგენლები უთვალთვალებდნენ... ადამიანების წამებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ბრალდებული დათა ახალაია როდის მოხვდა საბრძნეთში ან რატომ მიდიოდა იტალიაში, არავინ იცის, თუმცა მისი დაკავების ოფიციალურად გამოცხადებას (ეს 24 აპრილს მოხდა) წინ ერთი საინტერესო ფაქტი უსწრებდა: ქართულ მედიაში გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ 23 აპრილს საბერძნეთში იმყოფებოდა საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე. არ არის გამორიცხული, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოულოდნელი ვიზიტი დათა ახალაიას დაკავებას უკავშირდებოდეს.

შსს ყოფილი მაღალჩინოსანი პოლიტიკური თავშესაფრის მოლოდინში სპეციალურ დაწესებულებაში იმყოფება. საბერძნეთშია მისი მამა, როლანდ ახალაია და ადვოკატი ირაკლი ზაქარეშვილი. არავინ იცის, რამდენად არის დაცული დაკავებული ქურდული შურისძიებისგან. საზოგადოებას კარგად ახსოვს, საბერძნეთში, საექსტრადაციო საპყრობილეში, ძველი **"ცოდვებისთვის"** როგორ უმოწყალოდ სცემეს იუსტიციის სამინისტროს ყოფილი გენერალური ინსპექციის უფროსი დავით ჩხიტუნიძე...

ნ. ბურჭულაძე
ინტერნეტსაიტი "ამბები0.ge"

"უხუცესებმა სისხლის აღების გადაწყვეტილება მიიღეს!" – რას შეიძლება ველოდეთ ლაფანყურის სპეცოპერაციის გამო

"ლოპოტის სპეცოპერაციის საკითხი არაერთხელ დასმულა უხუცესთა საბჭოს წინაშე – როგორც პანკისის ხეობაში, ასევე ემიგრაციაში მყოფი უხუცესები წინაშე – დღემდე ყველა ერთ აზრზე იყო – ისინი პატივს სცემდნენ ქართულ სახელმწიფოს, მის ხელისუფლებასა და დამნაშავეთა დასჯა მათ მიანდეს. დღემდე ყველა ელოდა გამოძიების შედეგებს და იმედიც ჰქონდათ, რადგან პირადად ბიძინა ივანიშვილის დაპირება იყო, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციაში დამნაშავე პირები აუცილებლად დაისჯებოდნენ. პრესით თუ ტელევიზიით მუდმივად მიდიოდა საუბარი ლაფანყურის გამოძიების მიმდინარეობაზე. მაგრამ ახლა რა ხდება? ლაფანყურის სპეცოპერაციას აღარავინ ახსენებს, მით უმეტეს, არავინ საუბრობს გამოძიებაზე და დამნაშავეთა დასჯაზე. ყველა მიხვდა და პირველ რიგში უხუცესები, რომ არც მთავრობა და სამართალდამაცავი ორგანოები არაფრის გამკეთებელნი არ არიან", – აცხადებს იჩქერიის მთავრობის წარმომადგენელი მათე ციხესაშვილი გაზეთ "ასავალ-დასავალისთვის" მიცემულ ინტერვიუში, სათაურით "მათე ციხესაშვილი: უხუცესებმა სისხლის აღების გადაწყვეტილება მიიღეს!"

"ქისტები უკვე რამდენი ხანია ამ საკითხზე ხმას აღარ იღებენ – მათ თქვეს, რომ აღარ ილაპარაკებენ. მაშინ ისმის კითხვა – რას გააკეთებენ? უხუცესებმა უკვე გააკეთეს დასკვნა – დაუწერელი კანონი დაწერილზე ძლიერია და უკვე მოქმედებაა საჭირო. სისხლის აღების საკითხი დადგა და ეს გარდაუვალია. ეს საკითხი უკვე დააყენეს. – გადაწყდა, რომ ამის შემდეგ უკვე აღარ მიმართავენ პროკურატურას და გამოძიებას დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნით – სამართალს თავად აღასრულებენ. ამის მოლოდინი ხელისუფლებას უნდა ჰქონოდა. ჩვენთვის ერთადერთი სამართალი სისხლის აღებაა! ამის მიუხედავად წავედით ამაზე და სახელმწიფოს, პროკურატურას მივეცით საშუალება, დამნაშავეები დაესაჯა. რა მივიღეთ? ლაფანყურის ტრაგედიისთვის სასჯელს ვინ იხდის? მხოლოდ ახალაია ზის ციხეში და ისიც სხვა ბრალდებით! აი, ამიტომ მიიღეს უხუცესებმა გადაწყვეტილება – სისხლი უნდა აიღონ!", – აღნიშნავს გამოცემის კორესპონდენტთან საუბრისას მათე ციხესაშვილი.

"პატიება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უხუცესები იტყვიან ვაპატიოთო. საქმე ისაა, რომ არა მარტო ქისტების ამოხოცვას ეხება საქმე, არამედ მათი ცხედრების შეურაცხყოფას. წესის მიხედვით დაკრძალვის უფლებაც არ მისცეს ოჯახებს, რაც ქისტისთვის ყველაზე დიდი ტრაგედიაა. გათხრილი საფლავები 4 დღის განმავლობაში ცარიელი იყო. ამის პატიებაც გაუჭირდებათ ქისტებს, უფრო სწორად ეს არ მოხდება. სისხლის აღების პროცესი დაწყებულია. ისინი არავის შეუთანხმდებიან და გარდაცვლილთა ახალგაზრდა ნათესავები თავიანთ საქმეს გააკეთებენ. ბაჩო ახალაიამ, რომელიც ციხეში დიდ გულზეა, იცის, რომ ყველაზე მეტად ახლა აწყობს იქ ყოფნა. მისი პირველი მოადგილე ლორთქიფანიძე კი ავიდა პანკისის ხეობაში და შეხვდა უხუცესებს – მათ წინაშე პასუხისმგებლობის მოხსნა უნდოდა და ასეთი რამ უთხრა – ვეხვეწებოდი ბაჩო ახალაიას ცეცხლი არ გაეხსნა, მაგრამ შეჩერება ვერ შევძელიო, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა – ის ისეთივე დამნაშავეა, როგორიც ახალაია", – განაგრძობს რესპონდენტი.

"რაც შეეხებათ სააკაშვილსა და მერაბიშვილს, პირველ პირებს, რომელთა ნებისა და ბრძანების გარეშე ეს მასშტაბური ხოცვა-ჟლეტა ვერ მოხდებოდა, მათ ქისტების შურისძიება არ დასჭირდებათ – ის კონკრეტული შემსრულებლები მალე ისეთ დღეში ჩაცვივდებიან, რომ სააკაშვილსა და მერაბიშვილს თავად მოსთხოვენ პასუხს, ამ მკვლელობაში რომ გარიეს", – დასძენს მათე ციხესაშვილი და შეკითხვას – "ბატონო მათე, ხელისუფლებას აღარ აქვს დრო, რომ საქმე გამოიძიოს?" – პასუხობს:

"დრო ამოწურა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება. არადა, ხალხმა მას დაუჯერა. ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა, წინასაარჩევნო კამპანიის დროს თელავშიც და ახმეტაშიც გააკეთა განცხადება, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიება იქნებოდა პირველი საქმე, რომელსაც ხელს მოჰკიდებდა. რაც მოხდა, ყველამ ვნახეთ, შესაბამისად, უხუცესებმა განაცხადეს, აღარ გვაინტერესებს გამოძიება, რა უნდა გაკეთდეს, ჩვენ ვიცითო. უხუცესები სისხლის აღებაზე უკან აღარ დაიხევენ. ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა!"

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲓᲝ ᲬᲘᲒᲜᲘ



“შენ უკვდავების ჩამონადენი,
მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო —
ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!”

ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ

დაიბეჭდა ბატონ ავთანდილ სიხარულიძის წიგნი **“საერთაშორისო ენა ქართული”**.

ამ წიგნს მე ვუწოდებდი ქართული ენისა და ქართული დამწერლობის ჰიმნს.

ავტორმა დიდი შრომის ფასად თავი მოუყარა წმინდანთა, მსოფლიოში აღიარებულ ენათმეცნიერთა, ფილოსოფოსთა, ისტორიკოსთა, შუმეროლოგთა, უფოლოგთა, მწერალთა... მცნიერულად დასაბუთებულ მსჯელობებსა და დასკვნებს არა მხოლოდ ქართული ენის შესახებ, არამედ ქართველური მოდგმის, კოლხ-იბერთა დამსახურებას საკაცობრიო ცივილიზაციის აკვნის დარწევასა და მის შემდგომ განვითარებაში.

როცა დღეს საქართველოს ასე უჭირს, როცა ეროვნულ ნიჰილიზმს, მავანთა მიერ ქართული კულტურის, ტრადიციების, ცხოვრების წესის დაკნინება-გაბიაბრუებას, ისტორიის დავიწყება-გაყალბებას დიდი ყავლი მიეცა, ვფიქრობ ავთანდილ სიხარულიძის ნაშრომი ნამდვილად დიდ როლს შეასრულებს ქართველთა გამოფხიზლებაში, ეროვნული ღირსების აღორძინებაში, სხვათა წამხედურობის დაძლევაში...

როცა დღეს მავანნი ასე თავგამოდებით ცდილობენ ინგლისური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას, ინგლისური ენის მშობლიურ ენად გამოცხადებას, ამ წიგნის მკითხველი აუცილებლად დარწმუნდება ინგლისური ენის არასრულფასოვნებაში, ქართული ენისა და დამწერლობის უდიდეს უპირატესობაში.

როცა დღეს ქართველი მეცნიერების უმრავლესობას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და ხმას არ იმაღლებს ჩვენი ისტორიის გამყალბებელთა და ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ, მათ დასახასიათებლად და გამოსაფხიზლებლად ავთანდილ სიხარულიძეს მოაქვს ვაჟა-ფშაველას სიტყვები: **“რცხვენიათ კარგის თქმა საქართველოზე, მჟავე პატრიოტები არავინ დაგვიძახოსო, ეს ვაჟკაცობად მიაჩნიათ. იმას როდისღა ფიქრობენ, რომ სირცხვილი ის კი არ არის, თავის დიდება ადიდო, თაყვანი სცე, არამედ ისაა სირცხვილი, ეს დიდება მაღლიდან დაბლა ჩამოაგდო ლაფში და ფეხით გათელო, ვერ გაჰბედო თქვა სიმართლე”.**

ვკითხულობ ამ სიტყვებს და გული მიკვნესის: ვაი, რომ დღესაც ეს ზნე გვჭირს!

ავთანდილ სიხარულიძე ზღვა ლიტერატურასთან ერთად ძალიან ხშირად მიუთითებს გაზეთ **“ᲘᲚᲝᲠᲨᲘ”** გამოქვეყნებულ მასალებს და მათ ავტორებს: კლიმენტი შელიას, მამანტი და ცირა ძაძამიებს, კუკური ფიფიას, ანზორ შონიას... კატეგორიულად მოითხოვს უძველესი მეგრულისა და სვანურის სკოლებში სწავლებას, მათ მეცნიერულად შესწავლას, რადგან როგორც თავად აღნიშნავს, ქართველური ენების საშუალებით შეიძლება ბურუსით მოცული მრავალი ისტორიული მოვლენის ობიექტური მიზეზების მოძიება, მაგალითად როგორიცაა ზღვაში ჩაძირული ატლანტიდა და ამერიკის კონტინენტზე მაიას ტომში ცივილიზაციის ჩასახვა.

“აი, რისთვისაა საჭირო მეგრული და სვანური ენების ცოდნა, ქართულთან ერთად! ქართული, მეგრულითა და სვანურითურთ მსოფლიო ცივილიზაციის ოქროს გასაღებია!” – ასკვნის ბატონი ავთანდილ სიხარულიძე.

გამაოგნებელია ის ფაქტი, რომ კულტურის სამინისტრომ თარგმნა და ლონდონის წიგნის ბაზრობაზე გაუშვა დეისაძეების, ბურჭულაძეების, ქარუმიძეების და სხვათა ბილწსიტყვაობა, ანტიკულტურა, ავადმყოფთა სექსუალური ბოდვები...

იმედი მაქვს გამოჩნდება ქართველი ქველმოქმედი ბიზნესმენი, რომელიც ამ წიგნს დიდი ტირაჟით გამოცემას, მის თარგმნასა და უცხოეთში გავრცელებას დააფინანსებს.

ჩვენი ისტორია მარტო ორიენტალისტებმა და ქართველოლოგებმა კი არ უნდა იცოდნენ, არამედ წიგნის რიგითმა უცხოელმა მკითხველმაც.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გაზეთ “ᲘᲚᲝᲠᲘᲡᲐᲑᲐᲜ”: ვსარგებლობთ შემთხვევით და აქვე ვაქვეყნებთ ლექსს, რომელიც ბატონმა თენგიზმა დაბადების დღეზე მიუძღვნა საჩუქრად თავის შვილისშვილს ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲡ:

კვლავ გრიგალების ქროლვა
და თარეშობა ქარის,
კვლავ დამიზნებით სროლა
მოყვასის თვალთა შორის,
კვლავ ხელკეტებით ხელში მანქურთთა განლაგება,
კვლავ მანიაკის ყინით ძმის
სისხლის გალაღება!

ასეთი იყო დილა, რომ შეეგება
სანდროს,
იმ წელს, ოთხმოცდათოთხმეტს,
ოცდაექვს მაისს, ამ დროს.
ასეთი იყო დილა და
სიხარულით თრობა.
ოცდაექვს მაისს დედამ მამულისათვის გშობა!

გახსოვდეს გყავდა პაპა და
მეგობრები მისი,
სამშობლოსათვის მებრძოლთ
არა უნდოდათ სხვისი.
გახსოვდეს, ჩემო ბიჭო, ხმალს
რომ გალესავ როცა,
შენ დაგიფარავს მარად წმინდა
გიორგის ლოცვა!

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲛᲐᲛᲣᲚᲘ, ᲔᲜᲐ, ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐ!

ჩვენთა წინაპართ, ქართულ მიწა-წყლის
მტერი-მომხდურის შესშინებოდა,
მაშინ ტიტანი – მეფე დავითი
და არც თამარი გვეყოლებოდა.

რომ არ დაეცვათ სისხლში გამჯდარი:
“მამული, ენა, სარწმუნოება”,
წმინდანი ქალი, ივერთ ასული
არც ქეთევანი არ იქნებოდა.

ქართულსა ჯიშსა და ქართულ ჯილაგს
გმირების ბუდე რომ არ ჰქონოდა.
ბერი თევდორე, “პატარა კახი”,
არც არაგველნი გვეყოლებოდა.

რომ არ დაეცვათ ქართული მიწა,
დღეს საქართველოც არ იქნებოდა,
არც არა ცხრა ძმა ხერხეულიძე,
ცოტნეს გმირობაც არ იქნებოდა!

ᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲙᲐᲕᲐ

ᲙᲔᲘᲡᲐᲠᲘᲨ ᲙᲔᲘᲡᲐᲠᲡ

ბოლო ხანეფს ბრელქ ღურ
ოთხორუს დინოსვანჯუ.
ვეგებგათ თიქ დოღურუ
დო დიდ ოთახუს სვანჯუ.

ოთხორუეშა მეცურს,
კათა ჯგირ დო კათა ფურ,
მარა სხუნირ ცაშა ურს;
დო აუხეფ ჯოჯოხის ფუნს.

ჩილათირ ჩქინ კათაშ თურ,
გეაშ დიხას ამოკენს.
დიხას ითას ანდა ფურ...
ნამუთ რინას აცოდენს.

რღუაფირ რე ეინაშ წეს:
კეისარიშ კეისარს.
დიჩუას თე გონოწესქ
ვე მებჩათ ჩქინ ჯგირ ქარს!

ვებჭყოლიდუათ ხორონტ,
თიშ ელეა დო თიშ მარდ!
რინს გაანათენს ხორონ,
მუჭოთ ვორეთ რწმუნათ ნარდ.

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲑᲠᲘᲑᲝᲚᲘᲐ, ᲐᲑᲐᲨᲐ

“ᲑᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ” ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐᲡ!

როგორ ყველა გაჩუმებულ-გატრუნულია ამ ე.წ. ახალი საკადრო ცვლილებების მოლოდინით. მართალია კულუარებში კი არ ცხრება მარჩიელობა-მჩხიბაობა, მაგრამ მგონი **“გულთმისნებმა”** მაინც გამოიცნეს მომავალი პრემიერისა და შს მინისტრის ვინაობა... ასევე სხვა საკადრო ცვლილებებისა და განსაკუთრებით თბილისის მერის ვინაობაც მალე გახდება ცნობილი შპს და კორპორაცია **“საქართველოში”**. რა ბედნიერებაა, ამ გიგანტების პოლიტიკაში მალე **“გაიასნდება”** გიგანტი პოლიტიკოსების ვინაობა და საქართველო შევა პოსტინდუსტრიული განვითარების ფაზაში: ღირსეული, პროფესიონალი და ნამდვილი განათლების მატარებელი საამაყო მამულიშვილები თვისობრივად ახალი ტერორის წინაშე წარსდგებიან (მართალია ისე ლამაზად და ფარულად განხორციელდება ეს, რომ ძალიან გაუჭირდება ვინმეს ამაში ეჭვის შეტანაც კი...), ეკონომიკური მკვლელის პროგრამა დღითი-დღე სულ უფრო გაიდგამს ფესვებს საქართველოში და მის თითოეულ მონა-მაცხოვრებელს სულ უფრო მოუჭერს ყულფი კისერზე და უფრო დააჩოქებს მას (აგერ უკვე გუშინ მოსულმა ხელისუფლებამ ახალი ვალები აიღო მსოფლიო ბანკიდან, მიდის მოლაპარაკებები რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო მნიშვნელობის ბანკ-კრედიტორთან და ა.შ. და ა.შ. იზრდება მილიარდობით ჩვენი საგარეო ვალები... უკვე 14 მილიარდამდე...); უმუშევრობა კიდევ გაიზრდება, რეალური წარმოების და ეკონომიკის განვითარება არ განხორციელდება... ჩვენი მემკვიდრე თაობისთვის დამანგრეველი განათლების სისტემა კიდევ უფრო დაიხვეწება მათი ნათელი ცნობიერების დასახშობად (იმედია 13-წლიან განათლებას არ დაამკვიდრებენ სკოლებში...); ადგილობრივი თვითმმართველობის ე.წ. რეფორმით შევარდნაძისეულ ეპოქაში დაწყებულ სოფლების სიკვდილს **“ღირსეულად”** დაასრულებენ (საბოლოოდ მიასიკვდილებენ ქართულ სოფლებს, რითაც მოკვდება საქართველოში ქართულ ფილოსოფიაზე დაფუძნებული ჩვენი საამაყო ღირებულებები და ფასეულობები...); პოლიტიკაში მოსვლის სურვილს ჩაუკლავენ ყველა დარჩენილ ჭკუათმყოფელ ადამიანს და ყველაფერი გახდება საათის მექანიზმივით აწიკწიკებული ასეულათასობით გაღატაკებულ-დაჩმორებულ-გაძავლტყავებული ქართველების უბედურებისა და ტანჯვის ხარჯზე! დიახ, მათ ხარჯზე ახალი მილიონერები და მილიარდელები აღმოცენდებიან! ასეთია მეგობრებო ველური კაპიტალიზმისა და ახალი მსოფლიო წესრიგის ანატომია... ხო, კინადამ გამომრჩა: კოჰაბიტაცია ნამდვილად დასრულდება, ანუ ოცნებისტები და ნაცები მალე ქორწილს გადაიხდიან და ამიერიდან არავინ დაისჯება, ხოლო ათეულ და ასეულ ათასობით სიმართლისა და სამართლის მაძიებელ ადამიანებს რჩებათ მხოლოდ ოცნება, რომ ოდესმე ვიღაც დაისჯება... ოცნება და იმედი ხომ ბოლოს კვდება მეგობრებო?!

“ᲑᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ” ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ “ᲒᲣᲚᲘᲗ” “ᲑᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ” ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ ᲑᲘᲒᲐᲜᲢᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!!!

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲤᲐᲠᲪᲕᲐᲜᲘᲐ

ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ-ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

მიმდინარე წლის 23 აპრილს შეწყდა შემოწირულობების მიღება, რადგან საგვარეულო ხატი უკვე დაიწერა და კურთხევაც მიეცა. რაც შეეხება გვარის დალოცვას, რომელიც დანიშნული გახლდათ 2014 წლის 25 მაისს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის განკარგულებით გვარების დალოცვა დროებით შეჩერებულია და დანიშნული პროცედურა ჩატარდება გვარების დალოცვის რიტუალის აღდგენის შემდეგ, რის თაობაზეც დამატებით ეცნობება საგვარეულოს.

ჯალაღანია-ჯალაღონიების საგვარეულო ხატი ამჟამად ნაკურთხია და დასვენებულია როლანდ ჯალაღანიას ბინაზე (თბილისი, ორთაჭალა, მანანა მელქაძის ქუჩის №11-ში (ყოფილი – მესამე ნადიკვრის), ტელ. 599-573-322, საიდანაც გადასვენდება ფონიჭალის წმინდა ნიკოლოზის მშენებარე ეკლესიაში, მისთვის სპეციალურად გამოყოფილ კუთხეში. ეკლესიის მშენებლობა მალე დასრულდება.

მათ, ვინც ვერ მოასწრო შემოწირულობის გაღება ხატის დასაწერად, შეუძლია ნებისმიერი თანხა შესწიროს ეკლესიას, ბავშვთა და უმწეო მოხუცთა თავშესაფარს, ხოლო ხატის საკუთარ ოჯახში გადასვენების მსურველები დაუკავშირდნენ როლანდ ჯალაღანიას ზემოთ მითითებულ ტელეფონზე.

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ

ზაალ კასრელიშვილი: “ნაციონალები” და ირაკლი ალასანია ალიანსს ქმნიან”...

თავდაცვის მინისტრმა ბიძინა ივანიშვილისთვის სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია კვლავ ყურადღების ცენტრშია. NDI-ს მიერ ჩატარებულ კვლევებში დაწინაურებულ ამირსპასალარს ნახევარი საქართველო გმობს. მას მთავრობის წევრებიც აუმხედრდნენ. უკმაყოფილების მიზეზად მისი განცხადება იქცა. მინისტრმა ნატო-ს საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსება სთხოვა.

რატომ იქცა ეს განცხადება აურზაურის მიზეზად, რას ემსახურება სოციოლოგიური კვლევები, ვის გარშემო აპირებენ ნაციონალები გაერთიანებს, ჩაიძირება თუ არა ირაკლი ღარიბაშვილი – ამ თემებზე ჟურნალისტს კავკასიის ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

ზაალ კასრელიშვილი: საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებასთან დაკავშირებით ირაკლი ალასანიამ უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთა. ის ასეთი განცხადებებით ადრეც გამოირჩეოდა. უპასუხისმგებლო განცხადებები გააკეთა მან საერთაშორისო მისიებში ჩვენი სამხედრო კონტიგენტის მონაწილეობაზე. საკუთარი თავის გასაპიარებლად ავღანეთში ტელევიოიუები მოაწყო, რამაც ძალიან ცუდი შედეგი მოიტანა. მისი ბოლო განცხადება კი პირდაპირ ასხამს რუსეთის წისქვილზე წყალს.

– ალასანია ამბობს, რომ ნატო-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებას სწორედ რუსული აგრესიისაგან თავის დასაცავად სთხოვს.

– არაფერი საწინააღმდეგო არ მექნება, თუ **ნატო** მართლაც განათავსებს ამ სისტემებს საქართველოში, ვერც იმაში ვხედავ ცუდს, რომ ასეთი რამ საქართველოს თავდაცვის მინისტრს მოეთხოვა. პრობლემა იმაშია, რომ ამ საუბრის აფიშირება მოხდა. ამ განცხადებას შესაძლოა რუსეთმა აგრესიული ქმედებები მოაყოლოს. ჩვენ სკოლაში ვისწავლეთ იგავი მჩხავანა კატის შესახებ. მიხეილ სააკაშვილი, 2003 წლიდან მოყოლებული 2012 წლის ჩათვლით, მჩხავანა კატის როლს ასრულებდა, რომელმაც თაგვი ვერ დაიჭირა. საკუთარი ცხოვრების მოწყობის ამბავში თაგვი ნამდვილად დაიჭირა, მაგრამ საქართველოს მოუტანა ცუდი შედეგი. ყველა ის დავალება, რომელიც სააკაშვილმა შეასრულა მოდიოდა რუსეთიდან. ახლა ალასანია ასხამს რუსეთის წისქვილზე წყალს. ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს და ალასანიას ერთი პატრონი ჰყავს. მათი პატრონი დასავლეთში სულაც არ ზის.

– აბა, სად ზის?

– რუსეთში. ალასანია ჩვენში დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსად ითვლება, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ის არის მედროვე ადამიანი. მისთვის მთავარია, კარგად იყოს და სულერთია ვინ იქნება მისი პატრონი. ნაციონალური მოძრაობა ასეთი ადამიანებით იყო დაკომპლექტებული. თავდაცვის მინისტრიც ამ პარტიის წიაღიდან მოდის. მალე შესაძლოა ისინი ისევ ერთად დადგნენ. ადრეც ვამბობდი და ახლაც ვიტყვი, ალასანია და ნაცმოძრაობა ერთმანეთს სჭირდება.

– რაში სჭირდებათ მათ ერთმანეთი?

– ნაცმოძრაობას არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი, ხოლო ალასანიას სერიოზული გუნდი.

– მინისტრის და დეპუტატის მანდატით აღჭურვილ ალასანიას თანაპარტიელებს თქვენ სერიოზულ გუნდად არ თვლით?

– ამ ადამიანებს არა აქვთ პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილება. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ ალასანია და ნაციონალები გაერთიანდნენ. როდის და რა ფორმით მოხდება ეს არავინ იცის. ამ გაერთიანებას წინასწარ სერიოზულ კრახს ვუწინასწარმეტყველებთ. თავდაცვის მინისტრი გაბოროტებული კაცია. მას ეჯავრება ყველა, ვისი მოტყუებაც ვერ შესძლო. ის ვერ იტანს იმ სალხს, ვინც მის გაპირველებაში მონაწილეობას არ ღებულობს. ამ სიაში შედის პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც.

– რატომ ვერ უნდა იტანდეს ალასანია მას. ის დღეს მინისტრი ივანიშვილის წყალობით არის.

– ალასანიას პოლიტიკური სტატუსი ყოფილმა პრემიერმა მიანიჭა. მანვე გააძლიერა ის ფინანსურად. ამის მიუხედავად მინისტრს მაინც ეჯავრება ივანიშვილი. მარტო ის კი არ ეჯავრება, არამედ ყველაფერი, რაც ექსპრემიერის სახელს უკავშირდება. ივანიშვილზე ის პირდაპირ შეტევას მეტად მარტივი მიზეზის გამო ვერ მიიტანს. ისინი სხვადასხვა სიბრტყეში ცხოვრობენ. ამიტომ ის დაეჯახება ღარიბაშვილს და ძირს გამოუთხრის, თუ უკვე გამოთხრილი არა აქვს. ღარიბაშვილის დასუსტებით ის ივანიშვილის დასუსტებას შეეცდება. მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის შემდეგ დაიწყებს ის საქართველოში სააკაშვილის ჩამოყვანაზე ფიქრს. ისევე, როგორც სხვა ნაციონალები, ალასანიაც მოქკავშირის ბინძურ ბუნაგშია გაზრდილი. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი. მოქკავშირის კურსდამთავრებულთათვის მცნება სამშობლო, ხალხი, ერის ინტერესები გადმონაშთს წარმოადგენს. მათთვის მთავარი კერძო ინტერესი. მიზნისკენ მიმავალ გზაზე ყველაფერს იკადრებენ.

– ალასანია ასეთ შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს.

– სააკაშვილს მართლაც ვერ შეედრება. იმას სათქმელი პირზე ეკერა და იოლად პროგნოზირებადი იყო. ალასანია ბევრად უფრო საშიში და მოწესრიგებული თაღლითია. გარეგნულად კაგად არის შენიღბული.

– ნაციონალების და ალასანიას გეგმების შესახებ, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ივანიშვილმა და ღარიბაშვილმა არაფერი იციან?

– ირაკლი ღარიბაშვილს და მის გუნდს გულწრფელად სჯერათ, რომ სიტუაციას აკონტროლებენ. მათ ჰგონიათ, რომ არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის წევრები ზღვარს არ გადავლენ და ქვეყნის სტაბილურობას საფრთხეს არ შეუქმნიან. ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. ნაცმოძრაობა თავის სატელიტებიანად არის ის ძალა, რომელიც უპრობლემოდ გაიმეორებს 1992 წელს.

– მხედველობაში სამოქალაქო ომი გაქვთ?

– დიახ. ამის გამეორების ალბათობა ძალიან დიდია. სამწუხაროდ, ჩვენთან მოქმედი პარტიების უმეტესობა გარედან ფინანსდება. მათ საქართველოს მოსახლეობის ნდობა არა აქვთ. ეს პარტიებმაც კარგად იციან. ამიტომ ისინი აქცენტს საქართველოს მოსახლეობაზე აღარ აკეთებენ და გარე ძალებთან თანამშრომლობენ. უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები რა დავალებებსაც მისცემენ ისე მოიქცევიან.

– რა დავალებები შეიძლება მიიღონ?

– ყველანაირი. მათ შორის ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობა. საამისოდ უამრავი მიზეზი გამოიძებნება. ახალგაზრდა მოქკავშირელები ძალიან გაწაფული არიან და ყველაფერზე წავლენ ოღონდ კი კეთილდღეობა შეინარჩუნონ. ფერების გამუქება არ გვინდა მაგრამ საქართველოში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. არეულობის მოსაწყობად მცირე საბაბსაც კი გამოიყენებენ.

– თქვენი საუბრიდან წინ ცუდი ამბები გველოდება.

– ვითარება ძალიამ მძიმეა, როგორც შინ, ასევე გარეთ, ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს.

– ბოლო ხანებში კვლავ აქტიურად დაიყეს საუბრები პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნების შესახებ. პირადად თქვენ ეს რეალურად გეჩვენებათ?

– ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება სავსებით რეალურია. ამაში **NDI**-ს კვლევებმაც დაგვარწმუნა. ამ კვლევებში მას 51 პროცენტი დაუწერეს. ის შედეგები, რაც ბოლოს **NDI**-მ გამოაქვეყნა არის არარეალური. ვერავინ დამაჯერებს, რომ პატრიარქის მერე ყველაზე მეტი ავტორიტეტი ალასანიას აქვს. კიდევ უფრო საეჭვოა ის გარემოება, რომ თურმე უსუფაშვილი ივანიშვილზე რეიტინგული ყოფილა. **NDI**-ს და მისნაირი ორგანიზაციების ქმედებების შედეგია, ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება. მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთით და ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას მივმართო: ობიექტურად შეაფასეთ რეალობა, მიზანი და სურვილები ერთმანეთში ნუ გერევათ. მივმართავ დასავლეთის წამყვან პოლიტიკოსებსაც: კარგად გაერკვიეთ ვისთან თანამშრომლობთ. ორმაგი სტანდარტებით მოთამაშე ქართველ პოლიტიკოსებთან რომ მეგობრობთ, დილით ისინი თქვენ გელაპარაკებიან, ხოლო საღამოს რუსეთის სპეცსამსახურებს აბარებენ ანგარიშს. საქართველო ასეთმა პოლიტიკოსებმა მიიყვანეს ამ მდგომარეობამდე.

შორენა მარსაგიშვილი,
გაზეთი “ახალი თაობა”

“ნუ ეხუმრებით მამა გაბრიელის წინასწარმეტყველებას!” – რას ქადაგებდა მამა გაბრიელი სექსუალურ უმცირესობაზე

“თუ მიიღეს უზნეობის წამახალისებელი, ანტიქრისტიანული კანონი, სასჯელი მთელს ერს დაატყდება თავზე. ნუ ეხუმრებით ღირსი მამა გაბრიელის წინასწარმეტყველებებს, ყველა მისი ნათქვამი სიტყვა სახეზეა და ბევრი მოვლენა წინ გველოდება. ის ვინც თავისი დროის წმინდანს პატივს არა სცემს, წარსულის წმინდანები ასეთი ადამიანის ლოცვას არ შეისმენენ. ნახევარი ჯოჯოხეთი მიწაზეა ამოსულიო – ამბობდა მამა გაბრიელი. ადამიანები ვეღარც ამჩნევენ, თუ როგორ ეუფლება მათ გონებასა და სხეულს ბოროტი სული. საკუთარი დედის გინების ცოდვაც ამაზე მეტყველებს. მომრავლდნენ ეშმაკეულნი, რადგან მათმა დედებმა აბორტით მოაკვდინეს მათი და-ძმა და ეშმაკი ცოცხალი შვილების ბაგეებით უტიფრად აგინებს მკვლელ დედებს. უფალო შეგვიწყალენ”...

ეს სიტყვები **“მონანიების”** მთავარმა გმირმა – დავით გიორგობიანმა საკუთარი ფეისბუქის გვერდზე გამოაქვეყნა... (მსახიობმა წმინდა გაბრიელი 29 წლის წინ გაიცნო და წლების განმავლობაში მასთან განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდა)

ამჯერად მსახიობი მოსკოვში იმყოფება და ქართველ ხალხს და ხელისუფლებას ჩვენი საიტის მეშვეობით მიმართა...

– მამა გაბრიელმა უკვე ყველაფერი წინდაწინ თქვა, ჩვენ მხოლოდ გვევალება წავიკითხოთ, ვიცოდეთ, გავითავისოდ და გავაანალიზოთ უდიდესი წმინდა მამის და აღმსარებელის, არქიმანდრიტ გაბრიელ სალოსის ნაანდერძევი სიბრძნე. შევეცდები მისი ნათქვამის პერიფრაზები გავაკეთო და ერმა კი მასზე დაწერილ წიგნებში ამოიკითხოს მისი წინასწარმეტყველებანი. დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს სიყვარული გადაარჩენს და არ არის სხვა რამ ძალა ჩვენი მშველელი და გადამრჩენელი, გარდა სიყვარულისა. დღევანდელ ხელისუფლებაში კი არა სჩანან სარწმუნოებრივად ღრმად განსწავლული, ღვთის მოყვარული და აღმსარებელი ადამიანები და ამიტომ მათ მიერ მიღებული კანონები შეიძლება ღვთის საწინააღმდეგოც აღმოჩნდეს, თუნდაც უნებურად. ჩვენი ვალია მათ ავუხსნათ და მოვუწოდოთ, ყურადღება მიაპყრონ ეკლესიის ხმას, თუ თვლიან თავს მის წევრებად. ქართველმა ერმა მე ვერ გამიგოო – ბრძანა მამა გაბრიელმა და ამიტომ გაიყვანა მისი სული უფალმა ადრე, 66 წლის ასაკში. იქნებ შევეცადოთ, ახლა მაინც გავუგოთ ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე განდმრთობილ წმინდანს...

აი რა დაიბარა მამა გაბრიელმა: **“რომ გარდავიცვლები, ცოტას გაიგებთ ჩემს შესახებ. საქართველო სულ დაიშლება. მაგრამ ღმერთმა რომ ლაზარე მკვდრეთით აღადგინა, რომელიმე ნეკნი აკლდა? ასევე აღსდგება საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. როდესაც ყველას ეგონება რომ მორჩა, დაიღუპა და აღარაფერი ეშველება საქართველოს, მაშინ მოვა მისი ხსნა. ასე რომ, ვინც საქართველოს დაშლაში, დაღუპვასა და გახრწნაში მიიღებს მონაწილეობას, ისინი ვერ აღდგებიან ლაზარე-საქართველოსთან ერთად!”**

ვინც ამ ახალ კანონს მიიღებს და ერს დაუკანონებს, ვერასდროს ეღირსება უფლის წყალობას! თუ ვინმე მომავალში აპირებს სინანულს, სჯობს ახლავე შეინანოს მცდარი გადაწყვეტილება ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებასთან დაკავშირებით, რომ მერე მისთვის გვიანი არ აღმოჩნდეს, რადგან გარყვნილების და უზნეობის დაკანონება არის იმ იშვიათ ცოდვათაგანი, რომელიც მყისიერად მოითხოვს ღმერთისგან შურისძიებას. არ შეგეშალოთ, ის რაც სხვა ქვეყნებში დროში ყოვნდება მათი ურწმუნოების და უგუნურობის გამო, ჩვენს ღვთივრჩეულ და ღვთისმშობლის წილხვედრ ერში, ღვთისაგან მყისიერი სასჯელით დაგვირგვინდება და თან დაისჯება მთელი ერი, თუკი მივეცით მათ საშუალება ამ კანონის დაკანონებისა! ვისაც რწმენა შეგრჩენიათ მთავრობასა და პარლამენტში, ხელისუფლებასა და ერში, ეკლესიის თავის, იესო ქრისტეს სახელით, გევედრებით ნუ დაატეხავთ საქართველოს ღვთის რისხვას!

მ. გაბრიჭიძე

“გარდაცვლილს ცნობა ეძლევა მოთხოვნის ადგილზე წარსადგენად” – *2013 წელს მესტიაში გაცემული დოკუმენტი*

ადგილობრივები ხუმრობენ – ალბათ, საიქიოში არ უჯერებდნენ, მკვდარი რომ იყო და უკან აბრუნებდნენო...

რამდენიმე დღის წინ, ერთერთ ცნობილ ადვოკატს მეგობარმა გადასცა ოფიციალური დოკუმენტი – ცნობა, რომელიც გაცემულია 2013 წელს მესტიის რაიონის ერთ-ერთი სოფლის საკრებულოს მიერ.

“ცნობა მიეცა აწ გარდაცვლილ ... .ანს მასზედ, რომ იგი გარდაიცვალა 1995 წლის 27 ივნისს. ცნობა ეძლევა მოთხოვნის ადგილზე წარსადგენად”, – აღნიშნულია ცნობაში.

ყველაზე მეტად იცით რამ დამაინტერესა? ვინ თხოვდა გარდაცვლილს ამ ცნობას? თავად ადგილობრივები ხუმრობენ – ალბათ, საიქიოში არ უჯერებდნენ, მკვდარი რომ იყო და უკან აბრუნებდნენო.

ნ. ფიცხელაური



“რუსთავი-2”-ის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსის პირველი კომენტარი სკანდალურ კადრებზე

“რუსთავი-2”-ის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსი თეიმურაზ კოვზიაშვილი, ნიკა გვარამიას განცხადებებს ჭორებს უწოდებს.

როგორც კოვზიაშვილმა განაცხადა, ჭორია გვარამიას მტკიცება, თითქოს მის უკან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ვლადიმერ ბუნტურიძე დგას, რომელიც მისი წინამორბედი იყო ტელევიზიაში.

“ჭორებს არ ვუსმენ”, – აღნიშნა თეიმურაზ კოვზიაშვილმა, რომელმაც პროკურატურას მისცა ჩვენება, სადაც მიუთითებს, რომ ტელეკომპანიაში ფარული სათვალთვალო კამერების არსებობაზე ინფორმაცია ნიკა გვარამიასაც გააჩნდა.

კოვზიაშვილის ჩვენებას **“რუსთავი 2”**-ის გენერალური დირექტორი გამოეხმაურა.

– სახელმწიფოს არ ამოუღია მტკიცებულებები კამერიდან, კოვზიაშვილმა საიდან მოიტანა კამერის ინფორმაცია, ეს არის ყველაზე საინტერესო ,– განაცხადა **“რუსთავი-2”**-ის გენერალურმა დირექტორმა, ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, პროკურატურის განცხადებაში კარგად ჩანს, რომ ხაზი მიდის კოვზიაშვილ-ბუნტურიძემდე, რომლებიც ტელეკომპანიაში დაცვის უფროსები იყვნენ. გვარამიას განცხადებით, ბუნტურიძე სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ერთ-ერთ დეპარტამენტს ხელმძღვანელობს და ნათელია, თუ ვინ დგას ამ ყველაფრის უკან.

ტელეკომპანია **“რუსთავი-2”**-ში მომხდარი პირადი საუბრების შესაძლო ჩაწერამიყურადების ფაქტზე 2014 წლის 6 მაისს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით. საგამოძიებო უწყების განცხადებით, 8 მაისს, მთავარ პროკურატურას მიმართა ტელეკომპანია **“რუსთავი-2”**-ის უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა თეიმურაზ კოვზიაშვილმა, რომლის განცხადებითაც იგი სამსახურიდან 7 მაისს, გამოძიების დაწყებიდან მეორე დღეს გაათავისუფლეს, მან გამოძიებას მისცა ჩვენება და მიაწოდა ტელეკომპანიაში არსებული უსაფრთხოების სათვალთვალო კამერების 2012 წლის 21 დეკემბრის ჩანაწერები, სადაც ნათლად ჩანს, რომ 2012 წლის 21 დეკემბერს, ტელეკომპანიაში იმყოფებოდნენ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც დროის გარკვეულ მონაკვეთში სპეციალური აპარატურის გამოყენებით აწარმოებდნენ ტექნიკურ სამუშაოებს, მათ შორის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები, მეტალის გასაშლელი კიბის თანხლებით სამუშაოებს აწარმოებდნენ ნიკა გვარამიას და ნინო შუბლაძის სამუშაო ოთახებშიც, რამაც მასში ეჭვი გამოიწვია, ვინაიდან აღნიშნულის შესახებ მან, როგორც უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა არაფერი იცოდა.

მისივე ჩვენებით, ამ დღის შემდეგ იგი დაინტერესდა ხსენებული პირების ვიზიტის შედეგებით, რა დროსაც ტელეკომპანიის ერთ-ერთი სამუშაო კაბინეტის ჭერში აღმოაჩინა ფარული აუდიო-ვიდეო მოწყობილობის მონტაჟის კვალი. აღნიშნულის შესახებ მან დაუყოვნებლივ აცნობა ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას, რომელსაც ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ ამ საკითხზე არ ენერვიულა, ჩვეულ რეჟიმში გაეგრძელებინა საკუთარი სამსახურებრივი საქმიანობა და ზედმეტი ინიციატივები არ გამოეჩინა.

პროკურატურის განცხადებით, ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მან სცადა ნიკოლოზ გვარამიასთან გასაუბრება, რასაც ვერ მიაღწია და შედეგად გაათავისუფლეს თანამდებობიდან და დაატოვებინეს სამუშაო ოთახი.

ფაქტების მთელ ამ კავალკადაში ავბედითად იკვეთება ავადსახსენებელი ნაციონალების როლი, რომლებიც ყველაფერს კადრულობდნენ ხელისუფლებაში პოზიციების განსამტკიცებლად, ახლა კი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კვლავ დაიბრუნონ სახელისუფლებიო მართვის სადავეები. ამ საძრახის საქმეში განსაკუთრებით აქტიურობენ პოლიტიკური სიბინძურეების დიდოსტატები გიგა ბოკერია, მიხეილ სააკაშვილი, ნუგზარ წიკლაური, გიორგი ვაშაძე, გიორგი კანდელაკი, დავით დარჩიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, თინათინ ბოკუჩავა, როლანდ ახალაია, ნიკა გვარამია და სხვა პირწავარდნილი პოლიტიკური ინტრიგანები, რომელთათვისაც ყოვლად მიუღებელია წესიერი პოლიტიკური კონკურენციის მეთოდები და თავგანწირულები ფართხალებენ, რადგან კარგად იციან, რომ მათი აღსასრული მოახლოებულია და 15 ივნისს საბოლოოდ დაესმება წერტილი მათ პარპაშს. ნაციონალური მოძრაობა ადგილობრივი ორგანოების არჩევნების შემდეგ გადაიქცევა უსხეულო თავად, რომელსაც მხოლოდ პარლამენტში ეყოლება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებით მისული არც თუ მცირერიცხოვანი დეპუტაცია, რომელიც დღეს ქვეყნის წინსვლაში ხელის შეშლით გარდა ვერაფრით გამოირჩევა.

უსაფუძვლო არ გახლავთ ზოგიერთი საზოგადოებრივი არასამთავრობოს თუ ნორმალური პოლიტიკოსის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნისას შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის შეიძინა უახლესი პორტატული მოსასმენი აპარატურა, რითაც საძინებელ ოთახებშიც კი უსმენდნენ ადამიანებს და ტერორის ქვეშ ჰყავდათ მთელი საქართველო. საინტერესო კი ისაა, რომ ეს აპარატურა სამინისტროს თავის ბალანსზე არ აუღია და მას **“პარტიზანულად”** ხმარობდა. მას შემდეგ კი, რაც მათ საპარლამენტო არჩევნები წააგეს, აღნიშნული აპარატურა სადღაც გაქრა, რაც დიდ ეჭვს ბადებს.

ამის შემდეგ, ნორმალური ადამიანი როგორ გაბედავს, რომ სხვებს დააბრალოს მოსმენების წარმოება, მაგრამ ნაციონალები არც ნორმალურები არიან და არც იმდენად ზნეობრივები, რომ სინდისმა შეაწუხოთ და საჯაროდ მოიხადონ ბოდიში მთელი მათი ნაძირალური საქციელისათვის. პირიქით, არჩევნებში დამარცხების შემდეგ მათ სადღაც გადამალეს აღნიშნული პორტატული მოსასმენი აპარატურა და, არსებობს იმის სერიოზული მტკიცებულებები, რომ კვლავაც აგრძელებენ თანამდებობის პირების, ბიზნესმენების და უბრალო მოქალაქეების უკანონო მოსმენებს, რასაც უზნეოდ აბრალებენ ახალ ხელისუფლებას და ცდილობენ მათი რეპუტაციის შერყევას ადგილობრივი მმართველობის არჩევნების წინა დღეებში. მაგრამ, მათდა საუბედუროდ, ხალხს უკვე დიდი ხანია აღარ სჯერა ამ დაშნაკური ძალის, რაც კიდევ უფრო ამწარებს და მოთმინებას უკარგავს ფსიქიური აშლილობის ზღვართან მდგარ სააკაშვილს და მის ნაციონალებს.

მოკლედ, ამჯერადაც ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში ნაციონალებს, რადგან პროკურატურამ უკვე დაიწყო აღნიშნული საქმის გამოძიება, სადაც აშკარად იკვეთება ნაციონალთა დანაშაულებრივი ინტერესები.

ჩვენ უკვე არაერთგზის გვითქვამს, რომ **“ქართული ოცნების”** კოალიციაში ფრიად საეჭვო პოზიციები უკავიათ ნაციონალებისადმი გარკვეული სიმპატიებით გამორჩეულ (ავადსახსენებელ **“თავისუფლების ინსტიტუტში”** დაფრთიანებულ) **“რესპუბლიკელ”** დავით უსუფაშვილს და (ბანდიტური დაჯგუფება) **“კულინარების”** ერთ-ერთ თავკაცს ირაკლი ალასანიას, რაც ფარული ჩანაწერებიდანაც ირკვევა. ნაციონალების მიზანსაც ის წარმოადგენს, რომ განხეთქილება შეიტანოს **“ოცნებისტთა”** რიგებში და ეჭვი გააჩინოს კოალიციის ლიდერებს შორის. ამასვე ემსახურებოდა ნაციონალებისაგან მოქრთამული ამერიკული ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ხელმძღვანელის, ლორისკისერა ლუის ნავაროს მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც ირაკლი ალასანიას რამდენიმე პროცენტით მეტი რეიტინგი აქვს ირაკლი დარიბაშვილზე, რაც ასევე მათ რიგებში განხეთქილების შეტანის საქმეს ემსახურება.

კოალიცია რომ ერთ მყარ სხეულს არ წარმოადგენს და იგი ამორფული პოლიტიკური გაერთიანებაა, ამაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ, საინტერესოა, რა ხეირს მიიღებენ ავადსახსენებელი ნაციონალები კოალიციის დაშლისაგან. მათზე ქართველმა ხალხმა მტკიცე უარი განაცხადა და დაგმო ყველა ის საზიზღრობა, რაც ამ დანაშაულებრივმა ორგანიზაციამ ჩაიდინა საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე!

ამიტომ, ნამუსთან ერთად, ნაციონალებს, არც ტვინი გააჩნიათ, თორემ ამგვარი უშედეგო ფართხალის ნაცვლად მორჭმით უნდა ისხდნენ და სიკვდილს დაელოდონ.

მათი სიკვდილი კი მალე, სულ ერთ თვეში დადგება, რაშიც აუცილებლად შეიტანს გარკვეულ წვლილს სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”,** რომელიც კვლავაც აცხადებს:

“არცერთი ხმა სამეგრელოდან ქვეყნის დამანგრეველ ნაცებს. ერთხელ და სამუდამოდ გავისტუმროთ ისინი პოლიტიკურ მოუსავლეთში!”

ახლა კი, სიტყვა თქვენზეა, ძვირფასო მეგრელებო!

როლანდ ჯალაღანია,
ჟურნალისტი

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს, აშშ-ს ელჩს ბატონ რიჩარდ ნორლანდს, ევროკავშირის ელჩს საქართველოში ბატონ ფილიპ დიმიტროვს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ვლადიმერ პუტინს

რასაც ამ განცხადებით მოგახსენებთ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა!

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილი პარტიული ნომენკლატურის მიერ, რომელიც ფაქტიურად ფლობდა რეალურ ძალაუფლებას, შეიქმნა ერთი მუჭა მილიარდრთა კასტა, რომელთაც დანაშაულებრივად ჩაიგდეს ხელში ხალხის კუთვნილი მატერიალური და ფინანსური სახსრები. ამის შედეგად შეპირებული კაპიტალისტური წყობის მაგივრად მივიღეთ სახელმწიფო მოწყობის ფეოდალური სისტემა, რომლის არსებობის საფუძველი გახლავთ ბატონები და ყმები.

დიახ – ყმები, რომელთაც ქანცის გაცლამდე ამუშავებენ და მძიმე შრომის საფასურად კაპიკებს უხდიან!

შრომა კარგია, როცა იგი სათანადოდ გიფასდება, თუნდაც ისე, როგორც იყო სოციალისტური სისტემის დროს. მართალია, მაშინ ადგილი ჰქონდა სხვა სიმახინჯეებს, მაგრამ ადამიანის შრომა სათანადოდ იყო დაფასებული, ხალხი არ შიმშილობდა და არც უმუშევრობა აწუხებდა, ანაზღაურება კი იმდენად მაღალი იყო, რომ ადამიანები დანაზოგს შემნახველ სალაროებში ინახავდნენ. ამჟამად საქართველოში 2 მილიონ 300 ათასი ყოფილი მეანაბრეა, რომელთა მიერ შემსალაროებში შენახული თანხის ოდენობა დაახლოებით 5 მილიარდ ლარს შეადგენდა. სწორედ ეს თანხა გაანიავა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც **“მეორედ მოსვლასავით”** დაუბრუნდა საქართველოს, მისი კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის შემდეგ. დიდ ფულს დახარბებულმა ამ პოლიტიკურმა არამზადამ, რომელმაც არ იკმარა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაყიდვით აღებული მილიარდები, მეანაბრების კუთვნილი თანხის 80 პროცენტიც მიითვისა, დარჩენილი 20 პროცენტი კი ვანო ჩხარტიშვილს უბოძა. ეს ის ჩხარტიშვილია, რომელიც ბანკის უბრალო კლერკი იყო და წამის უსწრაფესად გახდა მილიარდერი. ამჟამად ეს არაკაცი **“ვითიბი”** ბანკს აკონტროლებს, გაძლიერებული დაცვით დაიარება და ჩვენი ჯიბიდან ამოცანცლულ ფულს ჩვენვე გვაძლევს სესხად.

აღნიშნულის თაობაზე ოფიციალურად ვიჩივლეთ დაზარალებულმა მეანაბრეებმა და გვითხრეს: **“ფული კი გერგებათ, მაგრამ მოცემის საშუალება არ გაგვაჩნიაო”.**

შემდეგ, გამწარებულებმა, ევროსასამართლოსაც მოვმართეთ, მაგრამ ლამის დაუფარავად გვიპასუხეს: **“ჩვენთან საქმეს ვერ მოიგებთ, თუ დიდძალი ფული არ გადაგვიხადეთ, ზუსტად ისე, როგორც თქვენი თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა გადაიხადა, ექსტრადიციაზე საქართველოს მოთხოვნისათვის უარი რომ გვეთქვაო”.**

მართლაც, შეხედეთ რა ამბები ტრიალებს ევროკავშირის წიაღში და როგორ პასუხობენ ევროკავშირის მამები ამდენ გაფიცვებსა და უმუშევრობას... მათ მიერ ნებისმიერ **“მეორეხარისხოვნად”** მიჩნეულ ქვეყანაში (საქართველო კი **“მესამეხარისხოვნადაც”** არ მიიჩნევა ჩვენს მიერ ევროამერიკული გარყვნილებისა და სხვა სუროგატული ღირებულებების კატეგორიულად უარყოფის გამო) ევროკავშირის შესვლა ნიშნავს ხალხისათვის პენსიებისა და შემწეობების მნიშვნელოვნად შემცირებას და კომუნალური მომსახურეობის ხარჯების ასევე მნიშვნელოვნად გაზრდას, რაც ხალხის დამონებას და **“გამოშიმშილებას”** ნიშნავს, ჰომოსექსუალებისა და სხვა ჯურის გარყვნილების მოძალებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

რა არის ეს, თუ არა წინასწარგამიზნული და ვერაგულად გათვლილი გენოციდი?

ყოველივე ამის გათვალისწინებით, **“ქართული ოცნება”**, ავადსახსენებელი **“ნაციონალური მოძრაობის”** მსგავსად, არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ქართულ ძალად, რომელსაც საქართველოს გაძლიერებისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღორძინების სურვილით არის ანთებული!

რაც შეეხება საქართველოს პუტჩისშემდგომი ხელისუფლებების მიერ ესოდენ მოძულებულ რუსეთს, იქ ხელისუფლებამ უკვე თითქმის მთლიანად გაისტუმრა მეანაბრეები და პენსიები და შემწეობებიც საკმაოდ მაღალია. ამის შემდეგ განა ილუზორული არ არის იმაზე ოცნება, რომ საქართველოში როდესმე შეექმნით ცხოვრების ისეთ მაღალ დონეს, რომ აფხაზები და ოსები ჩვენი ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობებით მოიხიბლებიან და კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას გადაწყვეტენ? ის კი არა, ახლა რომ რეფერენდუმი ჩატარდეს, გატანჯული მოსახლეობის 70 პროცენტი მაინც დაუჭერს მხარს საბჭოთა კავშირის აღდგენას!

მართლაც, რისი მაქნისები არიან ევროკავშირი ან ამერიკის შერთებული შტატები, რომელსაც იაპონიისა და ჩინეთის იმდენად ასტრონომიული ოდენობის საგარეო ვალი აქვს, რომ 5-6 წელიწადში შეიძლება საკუთარი ბიუჯეტიც კი ვერ დაამტკიცოს!?

განა თვალნათლივ არ იხილა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობამ ყირიმელთა სიხარული, რომლებიც საკუთარი ნებით შევიდნენ რუსეთის შემადგენლობაში და ამ ნაბიჯით წერტილი დაუსვეს საკუთარ უბადრუკ ყოფას უკრაინის შემადგენლობაში?

ჩვენ მაძღარ დეპუტატებს და მილიონერ ჩინოვნიკებს კი ფეხებზე ჰკიდიათ ჩვენი გაუსაძლისი მდგომარეობა – სოფლად არ გაგვაჩნია საძოვრები, რადგან მიწები უცხოელებზეა გაყიდული. აბაშის რაიონის ანჯელის მასივში სიხარბით გამორჩეულმა კახა ბენდუქიძემ ჯერ კიდევ მინისტრობისას **“იჩუქა”** 200 ჰექტარი მიწა, რომელიც შემდეგ უცხოელებს მიჰყიდა. ნაციონალების მმართველობის ჟამს გლეხებს სათესლე სიმინდი მიჰყიდეს და კილოგრამში 34 ლარი გადაახდევინეს. საწყალმა ხალხმა კი 34 ტარო სიმინდიც ვერ მიიღო და ბანკის ვალებში ჩააფლო, რის შემდეგაც ბევრმა დაჰკარგა საცხოვრისი და ქუჩაში აღმოჩნდა!

რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ მთელი სამეგრელოს მოსახლეობა იძახდეს: **“ნეტავი 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს რუსეთი ქუთაისამდე შემოსულიყოო”.**

ქართველი ხალხის ძარცვა-ყვლეფა კი კვლავაც გრძელდება და ხელისუფლების ბოლო ცვლას მისთვის რაიმე შვება ჯერ კიდევ არ მოუტანია. ამიტომ, იქნებ დროზე დაფიქრდეს **“ოცნებისტთა”** მთავრობა და ნაწილ-ნაწილ მაინც მოახდინოს ჩვენი კუთვნილი საანაბრო დავალიანების კომპენსირება.

ღრმა პატივისცემით,

ფრიდონ შალამბერიძე,
აბაშის რაიონი, სოფელი ძველი აბაშა

„წმინდა იოანე შავთელი“

XII-XIII საუკუნეების საქართველოში მოღვაწეობდა გამორჩეული ფილოსოფოსი, რიტორი და სასულიერო მოღვაწე იოანე შავთელი. წმინდა იოანე შავთელის შესახებ ძალიან მცირე ცნობები მოიპოვება, მისი ზუსტი ბიოგრაფული მონაცემები ჩვენთვის უცნობია, თუმცა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ შედგენილ ბიოგრაფიაში, რომელსაც კ. კეკელიძემ **“ფანტასტიკური ბიოგრაფია“** უწოდა, გვხვდება საინტერესო მონაცემები. ზ. ჭიჭინაძის მოსაზრებით იაონეს დაბადების ადგილის უნდა აღნიშნავდეს მისი სახელწოდება შავთელი, სწორედ ამ მოსაზრებაზე დაყრნობით მან მიიჩნია იოანე შავთელის დაბადების ადგილად სოფელი შავთა. კ.კეკელიძის მოსაზრებით **“სახელწოდება შავთელი უნდა იყოს შემოკლებული შავშეთელი, ეს კი ეთანხმება იმ ცნობას, რომელიც პლ. იოსელიანს “აბდულმესიანის“ ძველ ხელნაწერში ამოუკითხავს, რომ ის იყო “ადგილთაგან საათაბაგოსთა“.**

იოანე შავთელს მოიხსენიებს **“ქართლის ცხოვრება“** როგორც **„ლექსთა გამომთქმელს და მოღუაწებათა შინა განთქმულს“**. ასევე ზ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილი ბიოგრაფიიდან ირკვევა რომ იოანეს უსწავლია ჯერ შიომღვიმეში, მერე ათენში და ათონის აკადემიაში. სწავლის დამთავრების შემდეგ მას უმოგზაურია ეგვიპტე-ფინიკიაში, რის შემდეგ ის სამშობლოში დაბრუნებულა. ასევე სხვა ცნობით მან საქართველოშიც მიიღო უმაღლესი განათლება გელათის მონასტერთან არსებულ აკადემიაში, სადაც შეისწავლა წმიდა მამათა თხზულებები, ანტიკური და არაბული ისტორია, ფილოსოფია, ლიტერატურა, შემდეგ ბერად აღიკვეცა და დიდხანს მოღვაწეობდა ვარძიის მონასტერში.

ზუსტი დრო იოანე შავთელი მოღვაწეობის უცნობია თუმცა მკვლევარები სხვადასხვა წყაროებზე დაყრნობით მას თამარ მეფის თანამედროვედ მიიჩნევენ, თუმცა მათგან განსხვავებული თეორია წამოაყენა პროფესორმა ნიკო მარმა რომლის მოსაზრებითაც იოანე შავთელი **“დავით აღმაშენებლის თანამედროვე და შემამკობელია“**. ნიკო მარის ამ მოსაზრებას არ იზიარებდა კ. კეკელიძე. მისი მოსაზრებით **“არგუმენტაცია ნიკო მარისა, რომელიც მას აბდულმესიანის შინაარსიდან მოჰყავს, მთლად დამაჯერებელი ვერაა, ასე რომ ტრადიციული შეხედულება ჯერჯერობით შეურყეველი რჩება“.**

პლ. იოსელიანის მოსაზრებით **“შავთელი იყო მდივანი თამარ მეფისა, ხოლო “შემდგომ იქმნა მონაზონ და უწოდეს სახელი იოანე, რომელმან მოიგო ცხოვრება თვისი გელათისა მონასტერსა შინა“.** იოანე შავთელი სასულიერო პირი ჩანს, რაზეც მიუთითებს მის თხზულებებში გამოვლენილი ღრმა საღვთისმეტყველო განათლება. ზოგ წყაროში მოხსენებულია **“ნეტარად“, “წმინდანად“. “აბდულმესიანში“** იგი თავის თავს **“მწირსა“** და **“მსხმებს“** უწოდებს. ამ მოსაზრებას იზიარებს ასევე კ. კეკელიძე **“მართლაც, შავთელი თვითონ უწოდებს თავისთავს “მწირად და მსხმედ“ მაშასადამე, ის მართლაც ბერი ყოფილა“.**

საინტერესო ცნობას ვკითხულობთ წიგნში **“წმინდათა ცხოვრება“**. როდესაც ქართველთა სპა დავით სოსლანის წინამძღოლობით ბასიანისკენ გაეშურა იკონიის სულთნის, რუქნადინის წინააღმდეგ საბრძოლველად, წმიდა კეთილმსახური მეფე თამარი ოძრხეში წავიდა სალოცავად. მას თან ახლდა ქართლის კათალიკოსი თევდორე, კაცი წმიდა და სახიერი, მრავალ ეპისკოპოსთან და მონაზონთან ერთად, რომელთა შორის ბრწყინვადა **„იოანე შავთელი, კაცი ყოვლად განთქმული და საკჯრველი მოღუაწებათა შინა და ლექსთა გამომთქმელი“.**

აქ ერთი სასწაული აღსრულდა: ღვთისაგან წინასწარმცნობელობის მადლით დაჯილდოებული ევლოგი სალოსი წირვის დროს სამგზის დაეცა მიწაზე, შემდეგ ხელები აღაპყრო და დაიძახა: **„აჰა დიდება ღმერთსა! ქრისტე ძლიერ არს. ხელნო ევლოგისნო, სპარსთაგან არა გეშინით, განუტევეთ, რათა ვიდოდის მშვიდობით. წყალობა ღვთისა სახლსა ზედა თამარისსა მოიწია“.** ყველა მიხვდა, რომ ევლოგიმ საღვთო გამოცხადება მიიღო. ღირსმა იოანე შავთელმა მეფეს უთხრა: **„უწყოდე, მეფეო, რომელ ჩვენება იხილა სულელსაგონებელმან, გარნა ჩვენებასა კეთილსა ეჰგონებ!“**

ევლოგი სალოსმა იოანე შავთელს განუცხადა საიდუმლო. ღვთის შეწევნით, ქართველებმა ბასიანში დაამარცხეს მტერი და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

იოანე შავთელი გახლდათ ავტორი რამოდენიმე თხზულებისა მისი სახელით ჩვენამდე მოღწეულია ორი თხზულება: **„გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი“** და **„საძიებელი და მასწავლებელი“** ე.წ. **„ასურული კვინკლოსისა“**. მასვე ეკუთვნის ცნობილი ოდა **„აბდულ-მესიანი“** (ქრისტეს, მესიის მონა). ამათგან განსაკუთრებულით საყურადღებოა **„გალობანი ვარძიის ღვთისმშობლისანი“**, ღვთისმშობლის სამადლობელი იამბიკო, შექმნილი ბასიანის ომში ქართველთა გამარჯვების გამო. კ. კეკელიძის მოსაზრებით **“გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“** ეს არის ლიტურგიკული კანონის სახით დაწერილი სამადლობელი იამბიკო ღვთისმშობლის პატივად იმ გამარჯვების გამო, რომელიც წილად ხვდა ქართველებს ბოლოსტიკის ომში. ეს იამბიკო შენახულია გელათის ხელნაწერი № 22, რომლის ზანდუკში ან სარჩევში ის იოანე შავთელის ნაწარმოებადაა აღნიშნული, იამბიკოს აკროსტიქი აქვს, რომელიც ამბობს: **“ზესთა დიდებისა აღმატებულო და ანგელოზთა და კაცთა დიდებად შენდა ვითარ შობისა და ქალწულებისა შემაერთებელო ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო ვარძიისა მოსახესა ტაძარსა შენსა შინა[9] მგალობელი ვინმე შენი მაცხოვნე და მიჴსენ მე სულიერისა ტყეობისაგან“** (ფ. 209 – 212). იამბიკო მეტად ორიგინალური ფორმითაა დაწერილი. ის, როგორც ლიტურგიკული კანონი, გაყოფილია რვა **“გალობად I, III, IV, V, VI, VII, VIII, IX. თითოეულ “გალობაში“ მოცემულია ოთხი სტროფი, სტროფში ხუთი სტრიქონი; სტრიქონი შეიცავს 12 მარცვალს, მაგრამ არა ყველა: ზოგი სტრიქონი გატეხილია ორად (5 – 7, ან 2 – 10), ზოგი სამად (7 – 10 – 7 = 2 სტრიქონი), ზოგი ოთხად (5 – 3 – 7 – 9 = 2 სტრიქონი). ასეთი დამტვრევა სტრიქონებისა გამოწვეულია საჭიროებით – იამბიკოში იმდენი სტრიქონი ყოფილიყო, რამდენი ასოც არის იმის აკროსტიქში. ასე რომ, სტროფში ყოველთვის 5 სტრიქონი კი არ გვაქვს, არამედ მეტიც: 5, 6, 7, 8, 9. კანონზომიერება დაცულია მხოლოდ იმ მხრით, რომ თითოეული “გალობის“ სტროფს ახასიათებს ყოველთვის ერთი და იგივე რაოდენობა სტრიქონებისა“**

იოანე შავთელის მთავარი ნაშრომი **აბდულმესიანი**, ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკური ეპოქის ძეგლი და სახოტბო ოდების კრებულია. იგი შექმნილი უნდა იყოს XIII საუკუნის პირველ ათწლეულში. თხზულებაში თამარ მეფესთან ერთად შექებულია მისი მეუღლე დავით სოსლანი, რასაც ადასტურებს იგივე ისტორიული რეალიები, ნაწარმოების იდეოლოგიური მიმართულება და მისი ზოგი ხელნაწერის სათაურიც. ნ. მარს სხვა მკვლევარებისგან განსხვავებით **“აბდულმესიანი“** დავით აღმაშენებლის ქებად მიაჩნდა. თუმცა მისგან განსხვავებულ მოსაზრებას იზიარებდნენ მთელი რიგი მკვლევარებისა. კ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ თხზულებაში დავით აღმაშენებელთან ერთად შექებულია თამარ მეფე, ამასთან იზიარებდა ძველ ქართველ მეცნიერთა (იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონების და სხვა) შეხედულებას, რომ **“აბდულმესიანი“** სხვა, დაკარგული ნაწარმოების სახელწოდებაა და არა ამ თხზულებისა. შ. ნუცუბიძის აზრით კი, სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ორი შავთელი, რომელთაგან პირველმა დავით აღმაშენებლის ქება შეთხზა, მეორემ კი – თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქება. ამ ორი თხზულების შერწყმის შედეგად წარმოიშვა **“აბდულმესიანის“** სახელით ცნობილი, ჩვენამდე მოღწეული კრებული. საკითხის საბოლოო გადაწყვეტას ართულებს ისიც, რომ ხოტბათა ტექსტმა გვიანდელი (XVIII-XIX სს.) და საგრძნობლად შებღალული ხელნაწერებით მოაღწია. ა. ბარამიძის თვალსაზრისით, **„აბდულმესიანი“** წარმოადგენს თამარისა და მისი მეუღლის დავით სოსლანის ქებას. თხზულებასთან დაკავშირებული ლიტერატურულ-ისტორიულ საკითხთა გარკვევა ერთობ რთული საქმეა, რადგან ძეგლი ძალზე დამახინჯებული სახით არის მოღწეული – სულ მცირე, ორგზის განუცდია გადამუშავება.

მეთვრამეტე საუკუნეში დავით დუმბაძემ ეს ხოტბა გადააკეთა და არჩილ მეფეს მიუძღვნა. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ქართველმა მწიგნობრებმა, განსაკუთრებით დავით რექტორმა, სცადეს ტექსტის რესტავრაცია. ამიტომ ძნელი სათქმელია, რა არის ამ თხზულების ტექსტში თავდაპირველი, რა – მერმინდელი და რა ამოღებული და დაკარგული. დღემდე მოღწეულ ჰიმნში აღარ ჩანს სახელი **„აბდულმესია“**, რაც ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ამ თხზულებას **„აბდულმესიანი“** ან **„აბდულმესია“** არ უნდა რქმეოდა.

მიუხედავად იმისა რომ წმინდა იოანე შავთელის მოღვაწეობის შესახებ ჩვენამდე მხოლოდ მცირედი ცნობებია მოღწეული, ეს მცირედი ცნობებიც კი იძლევა იმის საშუალებას, რომ მცირე ანალიზის შედეგად ნათელი გახდეს ამ ადამიანის სიდიადე, მისი განსწავლულობა სამშობლოს სიყვარული და რწმენაში ძლიერება. ღირსი იოანე შავთელი ღრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა და გარდაცვალებისთანავე შერაცხილ იქნა წმიდანთა დასში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ღირს იოანე შავთელს იხსენიებს ორჯერ: 1 აპრილს, ევლოგი სალოსთან ერთად და 9 ივნისს.

თემო სახურია

საქინფორმი: გაჭონვა რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიიდან?! ამერიკელმა მკვლევარებმა საქართველოში ყვავილის დღემდე უცნობი ვირუსი აღმოაჩინეს

ამერიკელი მეცნიერი მედიკოსების მიერ საქართველოში იდენტიფიცირებულია ყვავილის ახალი ვირუსი. ატლანტის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ფედერალური ცენტრების (*Centers for Desease Control and Prevention, CDC*) ცნობით, ვირუსით, სულ ცოტა, სამი ადამიანი იყო ინფიცირებული. კონკრეტულად როდის მოხდა ეს, არ აზუსტებენ.

აშშ-ის საზოგადოებრივი რადიო (*NPR*) დაავადების ახალ გამომწვევს ნატურალური ყვავილის **“გარე ბიძაშვილს“** უწოდებს. თავდაპირველად ვირუსით ორი მწყემსი დასნებოვნდა, რომლებსაც ავადმყოფ ცხოველებთან კონტაქტი ჰქონდათ. ერთ-ერთი მათგანის შემთხვევაში ციმბირულ წყლულს ეჭვობდნენ, მაგრამ ლაბორატორიულმა შემოწმებამ ეს არ დაადასტურა, და მაშინ ქართველმა მედიკოსებმა დახმარება ამერიკელ კოლეგებს სთხოვეს.

კვლევას *CDC*-ს სპეციალისტთა ჯგუფი შეუდგა ნილ ვორას ხელმძღვანელობით. მათ სწრაფად დაადგინეს, რომ საქმე აქვთ ერთ-ერთ ეგრეთ წოდებულ **“პოკსვირუსთან“**, რომლებიც ყვავილს და ყვავილის მაგვარ დაავადებებს იწვევენ. შემდგომმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ეს კონკრეტული სახესხვაობა მეცნიერებს აქამდე არ შეხვედრია. ვორას თქმით, მას ჯერ საკუთარი დასახელებაც არ აქვს.

“ვირუსების ეს ოჯახი ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რამდენადაც ყვავილის გამოყენება შესაძლებელია ბიოლოგიურ იარაღად“, – უთხრა ამერიკელმა მკვლევარმა *NPR*-ს. **“ჯერჯერობით არ გამოგვივლენია ადამიანიდან ადამიანზე დაავადების გადაცემის შემთხვევები, – დასძინა მან, – მაგრამ რამდენი ადამიანი ავადდება? ავადდებიან თუ არა ცხოველები? ეს არ ვიცით. არც ის ვიცით, იყო თუ არა ადამიანების სიკვდილიანობის შემთხვევები“.**

ორივე მწყემსი, რომლებსაც ახალი ვირუსი აღმოაჩნდათ, განიკურნა. მოგვიანებით ასეთივე დაავადება გამოუვლინდა კიდევ ერთ ადამიანს საქართველოს სხვა რაიონში. გამოძიების მსვლელობისას ყვავილის ვირუსები აღმოაჩნდა აგრეთვე ზოგიერთ შინაურ ცხოველს და მღრღნელს.

ზემოთ გადმოცემულ ფაქტთან დაკავშირებით საქინფორმი მკითხველს შეახსენებს საქინფორმის მთავარი რედაქტორის არნო ხიდირბეგიშვილის 2012 წლის 13 აგვისტოს პუბლიკაციას **“არდაბრუნების წერტილი და რიჩარდ ლუგარის სახელობის სიკვდილის ფაბრიკა“**, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

“დიდგორობის დღესასწაულზე, რომელიც დიდგორის ბრძოლაში სელჩუკთა ლაშქარზე ქართველების გამარჯვებას მიეძღვნა (1121 წ. 12 აგვისტო), ამერიკელმა სენატორმა – რესპუბლიკელმა რიჩარდ ლუგარმა, სტარტი მისცა საქართველოში აშშ-ის ახალი სამხედრო ობიექტების მუშაობას ძალზე მშვიდობიანი სახელწოდებებით. ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვის საკითხებში **აშშ**-ის თავდაცვის სამინისტროს მდივნის თანაშემწე ენდრიუ ვებერსა და საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად მან საზეიმოდ ჩაუყარა საძირკველი საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობას, სადაც განთავსდება აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და უოლტერ რიდის სახელობის არმიის კვლევითი ინსტიტუტის (აშშ) ოფისები.

ხოლო 2004 წელს თბილისის გარეუბანში (ალექსეევკის დასახლებაში სამხედრო აეროდრომის მეზობლად) გახსნილ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალურ საცნობარო ლაბორატორიას რიჩარდ ლუგარის სახელი მიენიჭა – აშშ-ის მთავრობის სპეციალური პროგრამის **„ნან-ლუგარის“** ავტორისა, რომელიც საქართველოში 2005 წლიდან ხორციელდება და რომლის საფუძველზე ქვეყანაში ფუნქციონირებს რიგი ლაბორატორიები და ვირუსთა შტამების საცავები. ექსპერტთა აზრით, ამერიკული მხარის ეს აქტიურობა უკავშირდება საქართველოში ბიოლოგიური იარაღის სხვადასხვა სახეობის კვლევის, შენახვის, განადგურებისა და შექმნის ობიექტების გაშლის ამოცანას, იარაღის, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქართველოს მეზობელი ზოგიერთი ქვეყნის, კერძოდ – ირანის წინააღმდეგ.

„დღეს ისტორიული დღეა! საბჭოთა კავშირს არასოდეს ჩაუდია მსგავსი ინვესტიციები საქართველოში. ისინი ძალიან ფრთხილობდნენ, რომ ეს ჩვენთვის მისაწვდომი არ გამხდარიყო! ზოგიერთი ამბობს – რა განსხვავებაა რუსეთსა და აშშ-ს შორისო?! აი, რაშია ეს განსხვავება!“ – გაახარა მიხეილ სააკაშვილმა ხანდაზმული სენატორი ტელეკამერების წინაშე თავისი გამოსვლით, და ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი სიმართლეს ამბობდა!

სააკაშვილი მართალია – ეს მართლაც ისტორიული დღე იყო, მაგრამ არა დიდგორის ბრძოლის 891-ე წლისთავის ისტორიული მიზეზით: საქართველომ გუშინ არდაბრუნების წერტილი გადალახა (ასე უწოდებენ პილოტები აფრენის ფაზას, რომელშიც აფრენის გაუქმება და თვითმფრინავის უკან დაბრუნება უკვე აღარ შეიძლება) და აშშ-მმოელ მსოფლიოს აჩვენა, რომ საქართველოში სამუდამოდ მოვიდა! საქართველოში განთავსებული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების მსგავს კაპიტალურ სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტებს ხომ საზღვარგარეთ ტყუილუბრალოდ არ აშენებენ და მილიარდობით დოლარს ქარს არ ატანენ, და სასიკვდილო-სახიფათო ობიექტების საკუთარ ტერიტორიაზე, ამერიკაში განლაგება კი საშიშია: დივერსიის ან ტერაქტის შემთხვევაში სასიკვდილო-სახიფათო ვირუსები მყისიერად გავრცელდება ქვეყანაში და ჯერ კიდევ შეუსწავლელი ბაქტერიებისაგან საშინელ ეპიდემიებს გამოიწვევს!

სააკაშვილი მართალია – საბჭოთა კავშირს არასოდეს ჩაუდია მსგავსი ინვესტიციები საქართველოში! სსრკ-ის დროს საქართველოში ქარხნები და ფაბრიკები შენდებოდა, ხოლო საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე №1 2004 წლიდან დღემდე მხოლოდ იარაღის მოწოდებითა და საქართველოში სამხედრო ობიექტების მშენებლობით არის დაკავებული...

მაგრამ დღეს მთელი ეს საუბრები ზედმეტია, **“არდაბრუნების წერტილი“** საქართველომ უკვე გაიარა: თავდაპირველად აშშ-თან პარტნიორობის მსხვერპლი ქართველი ჯარისკაცები გახდნენ ერაყსა და ავღანეთში, ახლა კი, ლაბორატორიაზე განხორციელებული დივერსიის, ტერაქტის ან, თუნდაც, შემთხვევითი **„ჩპ“**-ს შედეგად, ვირუსის შტამის გაჟონვის მსხვერპლი შეიძლება გახდეს არა მარტო საქართველოს მოსახლეობა, არამედ რეგიონის ქვეყნების – აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ირანის, რუსეთის...

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო“ და გაზეთი “ილორი“ მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

გიორგი (გონი) ცაავა

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს

ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲛᲣᲨᲜᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ — ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲨᲔᲭᲘᲠᲣᲚᲘ ᲠᲐᲘᲜᲓᲘ

ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲛᲐ ᲡᲐᲨᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐᲡ, ᲒᲐᲓᲛᲝᲔᲚᲐᲮᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲜᲐᲞᲘᲠᲘ, ᲡᲐᲨᲘᲜᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲢᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲐᲛᲘᲗ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲐ ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲯᲐᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲗ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲫᲔᲕᲐ ᲖᲐᲠᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲡᲐᲬᲧᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲓᲐᲜᲝᲕᲘ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲨᲢᲐᲑ-ᲠᲝᲢᲛᲘᲡᲢᲘ!ᲡᲐᲛᲚ ᲗᲣ ᲝᲠᲡ ᲘᲕᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲓᲐ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ, ᲛᲢᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔᲔᲑᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲔᲐᲗᲔ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲐᲨᲘᲜᲚᲐᲓ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲛᲐᲛᲐᲪᲣᲠᲐᲓ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲗᲘ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲘᲔᲠᲘᲨᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲔᲓᲒᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲢᲔᲠᲛᲐ ᲢᲐᲨᲘᲗ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲘ! ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔ ᲠᲐ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲥ ᲩᲐᲛᲐᲠᲮᲣᲚᲘ! ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲛᲗᲮᲛᲐᲠᲔᲓ ᲛᲐᲗ ᲣᲙᲐᲜ ᲕᲘᲓᲔᲥᲘᲗ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲣᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲐ ᲡᲔᲢᲧᲕᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲒᲕᲐᲧᲠᲘᲓᲐ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲔᲑᲡ. ᲔᲠᲗᲘ ᲘᲜᲒᲣᲨᲘ ᲐᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲩᲮᲔᲜᲘᲐᲜᲐᲓ ᲜᲐᲬᲘᲚ-ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲒᲚᲘᲯᲐ ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲘᲡ ᲢᲧᲕᲘᲐᲛ, ᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲐᲒᲝᲕᲔᲕ. ᲓᲐᲘᲭᲠᲐ ᲤᲔᲮᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲙᲝᲠᲜᲔᲢᲘ ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ, ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲩᲮᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲕᲘᲙᲚᲔᲡ! ᲩᲕᲔᲜ ᲐᲡᲗᲝᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲗ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲐᲙᲝᲠᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲕᲗᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲓᲘᲝᲛᲓᲐ! ᲔᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲝᲛᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲘᲡ, ᲒᲠᲐᲤ ᲙᲔᲚᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲣᲫᲦᲝᲓᲐ! ᲐᲛ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ ᲗᲣ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲘᲨᲘ! ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲢᲧᲕᲘᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲛᲫᲘᲛᲔᲓ ᲓᲐᲘᲭᲠᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ 3-4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲣᲩᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪ ᲒᲐᲒᲕᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲔᲠᲗᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ �გᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲥ ᲓᲐᲒᲕᲮᲕᲓᲐ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲡᲢᲐᲠᲝᲡᲔᲚᲡᲙᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲛᲐᲜᲓᲘᲠᲘ ᲙᲝᲑᲘᲝᲕᲘ (ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ). ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲠᲝᲚᲐ ᲐᲒᲕᲘᲢᲔᲮᲐ ᲛᲢᲔᲠᲛᲐ ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲘᲛ ᲦᲐᲛᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲪᲐ 1500-2000 ᲨᲠᲐᲞᲜᲔᲚᲘ ᲡᲙᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲔᲠᲗᲡ ᲡᲐᲐᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲩᲐ, ᲛᲔ, ᲝᲗᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲕᲘᲓᲔᲥᲘᲗ ᲡᲔᲠᲖᲔ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ, ᲓᲐ ᲕᲘᲪᲐᲕᲓᲘᲗ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲘᲡ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ! ᲗᲝᲤᲘᲡ ᲢᲧᲕᲘᲐᲡ ᲮᲛᲐ ᲡᲔᲢᲧᲕᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲒᲕᲘᲨᲔᲜᲓᲔᲜᲔ. ᲛᲝᲒᲕᲘᲙᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲮᲝᲪᲔᲡ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔᲯᲔᲠ ᲘᲛ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲘᲗ ᲬᲐᲕᲐᲬᲧᲓᲘ ᲛᲐᲗ **„ᲐᲙᲝᲠᲢᲔᲑᲡ“** ᲓᲐ ᲢᲧᲕᲘᲘᲡᲛᲤᲠᲥᲕᲔᲕᲔᲚᲔᲑᲡ. ᲛᲝᲛᲘᲙᲚᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘ ᲪᲮᲔᲜᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲒᲚᲘᲯᲐ ᲩᲮᲔᲜᲘ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲘᲚᲘᲗ, 11 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ, ᲔᲠᲗᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲢᲧᲔᲨᲘ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲐᲓ, ᲛᲢᲔᲠᲛᲐ ᲐᲜᲐᲖᲓᲐᲓ ᲒᲖᲐ ᲨᲔᲛᲘᲙᲠᲐ, ᲨᲔᲛᲘᲢᲧᲣᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲜᲓᲛᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲕᲔᲠᲐ ᲓᲐᲒᲒᲕᲐᲙᲚᲔᲡ ᲠᲐ! ᲢᲧᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲓᲔᲜᲔᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲕᲛᲐᲒᲠᲓᲘᲗ ᲨᲘᲒ, ᲓᲐᲕᲐᲪᲚᲔᲕᲘᲜᲔᲗ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲚᲘᲐᲜᲓᲐᲒᲘ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲘᲚᲘᲡ 11-12 ᲡᲐᲐᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲛᲐᲨᲕᲔᲚᲘ, 21 ᲙᲐᲪᲘ ᲐᲤᲘᲪᲠᲘᲗ, ᲩᲐᲩᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ 2 ᲐᲤᲘᲪᲔᲠᲘ 40 ᲙᲐᲪᲘᲗ, ᲞᲔᲮᲝᲢᲐ! ᲞᲔᲮᲝᲢᲐᲛ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲘᲒᲕᲐᲢᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲤᲘᲪᲠᲘᲗ, ᲝᲠᲛᲝᲪᲐᲛᲓᲔ ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲗ ᲨᲔᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔ ᲠᲐ ᲓᲐᲮᲝᲪᲘᲚᲘ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲣᲠᲒᲝᲜᲔᲑᲘ, ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲧᲐᲖᲐᲮᲘ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ. ᲛᲢᲠᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲕᲘᲐᲠᲔᲗ ᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲨᲔᲕᲣᲔᲠᲗᲓᲘᲗ ᲣᲩᲐᲡ ᲔᲠᲗᲘᲗᲘ ᲕᲖᲕᲝᲓᲘ ᲓᲐ, ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲒᲚᲘᲯᲐᲜ ᲬᲐᲛᲝᲡᲣᲚᲜᲘ. ᲛᲢᲠᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲪᲮᲠᲐ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔ ᲨᲔᲜᲗᲐᲜ ᲘᲐᲡᲝᲜ ᲥᲘᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲫᲛᲐ ᲙᲝᲬᲘᲐ...

ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐ ᲛᲝᲒᲬᲔᲠᲔ, ᲩᲔᲛᲝ ᲙᲐᲠᲒᲝ ᲚᲘᲚᲘ. ᲛᲔ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲕᲐᲠ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲜ ᲮᲕᲐᲚᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲥᲜᲔ ᲓᲐ ᲕᲘᲥᲜᲔ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲠᲚᲘ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲜ ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲘᲮᲓᲘᲜᲝ. ᲓᲐᲡᲐᲖᲕᲔᲠᲐᲕᲐᲓ ᲬᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲕᲘᲠᲗᲧᲔᲚᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲧᲐᲖᲐᲮᲘ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ. ᲛᲢᲠᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲕᲘᲐᲠᲔᲗ ᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲗ ᲘᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲗᲐᲧᲕᲐᲜᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲛ ᲣᲐᲜᲓᲔᲠᲫᲐ, ᲝᲗᲮᲘᲕᲔᲜᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲐ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲓᲒᲕᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ.

ᲝᲗᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲕᲡ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲐᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲛᲣᲨᲜᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, 1921 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲛᲐᲠᲢᲡ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲣᲙᲕᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ) ᲠᲛᲓ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡ, ᲙᲐᲢᲘᲐ ᲯᲘᲯᲘᲮᲘᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ, ᲗᲕᲘᲗ ᲪᲝᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲑᲔᲓ-ᲘᲦᲑᲐᲚᲡ ᲐᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ (ᲐᲥ ᲣᲗᲣᲗᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲣᲛᲐᲪᲔᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲖᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐ; ᲥᲐᲥᲣᲪᲐ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲪ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲔᲚ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲔᲑᲨᲘ ᲘᲧᲝ) ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲗᲣᲠᲥᲘ ᲐᲡᲙᲔᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲓᲔᲕᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲘᲥᲜᲔᲑ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲪ ᲔᲨᲕᲔᲚᲝᲡ.

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲣᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲛᲣᲨᲜᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲙᲘᲠᲝᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲘᲗ, ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲡ, ᲬᲐᲛᲝᲣᲗᲫᲐᲜᲐ: ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲔᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲝ. ᲠᲐ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲛᲒᲬᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲛᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲫᲒᲔᲠᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲜᲘᲔᲠ, ᲓᲐᲙᲣᲜᲗᲣᲚ ᲛᲙᲔᲠᲓᲨᲘ.

ᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲬᲕᲔᲗᲔᲑᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲕᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲖᲕᲐᲠᲐᲙᲐᲓ ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲫᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲐᲠᲑᲨᲔᲣᲮᲠᲔᲚᲐᲓ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲔᲜ ᲝᲠᲘᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲛᲣᲨᲜᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲠᲘᲚᲘᲪ ᲐᲥᲕᲔ ᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜᲝᲗ:

„ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲙᲐᲢᲘᲐ!

ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲘᲙᲝᲪᲜᲔ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ, ᲨᲔᲜ ᲙᲘᲓᲝ ᲒᲙᲝᲪᲜᲔ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲐᲬᲧᲔᲜᲘᲜᲔ ᲔᲒᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲞᲐᲢᲘᲔ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲛᲐ ᲓᲐᲛᲫᲚᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲡ ᲕᲐᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔ. ᲗᲣ ᲛᲔ ᲐᲥ ᲓᲐᲕᲘᲔᲚᲣᲗᲔ, ᲨᲔᲜᲘ ᲘᲛᲘᲓᲔᲓ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲑᲐᲚᲜᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲔᲚᲐᲪᲐᲢᲔᲑ. ᲒᲐᲙᲝᲪᲔᲑ. ᲐᲛ ᲝᲠ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲪᲝᲪᲓᲐᲕᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲘ. ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ.

ᲛᲣᲨᲜᲘ.“

ᲐᲛ ᲐᲜᲗᲔᲑᲣᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲗᲐᲕᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲒᲛᲘᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲕᲗᲕᲐᲚᲝᲗ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲥᲐᲥᲣᲪᲐ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

(Ე.Კ)

ᲛᲣᲨᲜᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

ᲩᲔᲛᲘ ᲦᲦᲘᲣᲠᲘ

1924 ᲬᲔᲚᲘ, 13 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲓᲐᲕᲘᲑᲐᲓᲔ 1875 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗ ᲦᲔᲡ. ᲒᲐᲛᲐᲫᲘᲫᲐᲕᲔᲡ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔᲯᲔᲠ, ᲫᲣᲫᲣᲡ ᲛᲐᲭᲛᲔᲕᲓᲐ-ᲛᲐᲬᲧᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲘᲡ ᲪᲝᲚᲘ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲐᲣᲧᲕᲐᲜᲘᲕᲐᲠ ᲒᲐᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲐᲓ ᲙᲝᲜᲘᲐ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲛᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲧᲣᲚᲘᲡᲙᲐᲠᲨᲘ. ᲫᲣᲫᲣᲡ ᲛᲐᲬᲧᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲠᲓᲘᲓᲐ ᲔᲚᲘᲡᲐᲑᲔᲓ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲘᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ, ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡ, ᲚᲣᲙᲐ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐᲡ ᲪᲝᲚᲘ ᲡᲝᲤ. ᲭᲐᲥᲕᲘᲜᲯᲨᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲖᲠᲓᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲛᲘᲩᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ. ᲐᲠᲐᲡᲒᲖᲘᲗ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲓᲘᲓᲘ, ᲫᲚᲘᲔᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲛᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘ, ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲨᲝᲠᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲬᲐᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲛᲒᲝᲜᲘᲐ 1885-86 ᲬᲬ. ᲩᲔᲛᲛᲐ ᲫᲘᲫᲐᲛ ᲔᲚᲘᲡᲐᲛ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲛᲐᲛᲐᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘ. ᲩᲔᲛᲘ ᲫᲘᲫᲐ ᲘᲧᲝ ᲘᲕᲚᲘᲗᲐ, ᲙᲝᲜᲘᲐ ᲛᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲪᲝᲚᲘ, ᲐᲡᲣᲚᲘ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲤᲐᲥᲘᲫᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲫᲛᲐ, ᲥᲣᲗᲣ, ᲛᲝᲣᲙᲚᲔᲡ ᲧᲘᲠᲘᲛᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲡ ᲡᲐᲢᲐᲮᲢᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ (1855-56 ᲬᲬ.), ᲠᲝᲪᲐ ᲘᲡ ᲝᲛᲔᲠ-ᲤᲐᲨᲐᲡ ᲛᲮᲔᲓᲠᲝᲑᲐᲡ ᲔᲭᲘᲠᲐ Დ

ჩვენი კომენტარი ბატონ გურამ კორკელიას წერილზე „ცოტა რამ კოლხეთსა და კოლხურ დამწერლობაზე"

მაშასადამე, პირველყოფილი მეტყველება – ეს იყო მეტყველება ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებით, მათთანვე თანმხლები მარცვალწარმომქმნელი ემფატიკური (ემფაზისმიერი ანუ სახმოსნო ორგანოების დაძაბვისმიერი) ნახევრადხმოვანი) ბგერითურთ.

მართლაცდა, არავის სმენია, რომ ოდესმე ჯღ)რჯღინი, ჯდ)რჯღინ)ნც), ალაჯღ)რჯღინ)ნც) და მისთანა (ათეულ ათასობით სიტყვა თანამედროვე მეგრულისა) გაეღოს ფრინველ ჯღ)რჯღ)-ს.

ცხადია, ჩვენს ნაშრომებში დეტალურად ამოხსნილია ისიც, თუ როგორ მოხდა პირველქმნილი ხმაბაძვითი ფორმების გახმოვანება და აფიქსაცია-გრამატიზაცია. აქვე, ძალიან მოკლედ ამის შესახებაც:

) ბგერას, ჩვეულებრივ, ახასიათებს სწრაფვა გახმოვანებისაკენ ანუ გასრულხმოვნებისაკენ, რაც ა, ე, ი, ო, უ ხმოვან ბგერებად მის გარდასახვაში (ამგვარ ფონეტიკურ ვარიანტებად გარდაქმნაში) გამოიხატება.)-ბგერისეული წარმომავლობის ა, ე, ი, ო, უ ხმოვნებს კი, საჭიროებისას, ახასიათებთ მისწრაფება მარცვლის დახურვისაკენ, რაც ხმოვნის ბოლო ნაწილის დავიწროებასა და რომელიმე სონორი

ბგერის (ლ, ნ, მ... გაჩენაში გამოიხატება (ეს, ზოგადი ფორმულა). ამ საფუძველზე, იგივე ჯდ)რჯღ)-სგან მიღებულია ფორმები: ჯღ)რჯღინი, ჯღ)რჯღინ)ნც) და ა. შ.

) ბგერა ჩნდება როგორც სუფიქსის, ასევე პრეფიქსისა და ინფიქსის სახით. ამიტომაც, როგორც ამას ჩვენი გამოკვლევის შედეგები ცხადყოფენ, აფიქსები, კერძოდ, სუფიქსები, პრეფიქსები, ასევე ზმნისწინები და სხვანი, სეგმენტების ანუ მორფემების სახით, – როგორც) ბგერის ფონეტიკური ვარიანტები, – იძენენ თავ-თავიანთ ფუნქციას (წარმოსდგებიან თემის, გვარის, კონტაქტის ნიშნებად და ა. შ.), და გვევლინებიან საგრამატიკო საშუალებებად (დეტალურად იხ. ჩვენი შვიდტომეული „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა", თბ., 2007, გვ. 101-132).

მეტიც კიდევ: გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ რომ მეგრული ენის (ასევე სხვა ენების) ლექსიკა ანუ სიტყვობრივი მარაგი (სიტყვები) შედგება ორი ძირითადი მასალისაგან: 1) ხმაბაძვითი წარმომავლობის ძირისეული თანხმოვნური ფორმებისაგან და 2) პირველქმნილი) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისგან. ამ უკანასკნელს განეკუთვნებიან ანუ) ბგერისაგანაა მიღებული უკლებლივ ყველა საგრამატიკო საშუალება: აფიქსები, კერძოდ, – სუფიქსები, პრეფიქსები, ინფიქსები, ასევე ზმნისწინები, და, ცალკეული მეტყველების ნაწილებიც კი, როგორიცაა: ნაცვალსახელები, ზმნიზედები, კავშირები, ნაწილაკები, თანდებულები, შორისდებულები (ყოველ შემთხვევაში, ამათი აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი მაინც). ეს ხომ, უამრავ სხვა ჩვენეულ მონაცემებთან ერთად, სავსებით ახალი, ენათმეცნიერებისათვის მოულოდნელი, უაღრესად თამამი და სარისკო, მაგრამ სავსებით ჭეშმარიტების ამსახველი წარმონაჩენია.

სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამით დადგინდა უსაფუძვლობა ენათმეცნიერებაში მანამდე გაბატონებული მისაზრებისა, რომ აფიქსები (სხვა საგრამატიკო საშუალებები) თითქოსდა ადრე ცალკე არსებული სიტყვებისგან ყოფილიყვნენ წარმოქმნილნი.

სწორედაც ზემოადნიშნულ საფუძველზე, ჩვენს მიერ გამოტანილ იქნა შემდეგი ყველაზე საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი დასკვნა:

თანამედროვე ენა წარმოადგენს პირველქმნილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და მათთან იმთავითვე თანმხლები ნახევრადხმოვანი, მარცვალწარმომქნელი და დეტერმინანტი (იდეაგანმსაზღვრელი) ნახევრადხმოვანი ემფატიკური) ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პრობით ნიშანთა სისტემას.

აი, სწორედ ამის გამო აფასებენ ჭეშმარიტი ენათმეცნიერები და სხვანი ჩვენს ნაშრომებს, როგორც გადატრიალებას ენათმეცნიერებაში.

ცხადია, ზემოთ მოტანილი დასკვნა ეხება ენის მთელ ლექსიკას, – როგორც ხმაბაძვითი წარმომავლობის ფორმებს, ასევე ე. წ. **„წმინდა წყლის"** პირობით ნიშნებს, ოღონდ ამათ შორის გარკვეული განსხვავებაც არის, რაც გამოიხატება შემდეგში:

ხმაბაძვით სიტყვებში, როგორც წესი, ძირისეული თანხმოვნური ფორმები, როგორც ძირისეული ანუ ლექსიკური მორფემები, წარმოადგენენ სწორედაც ხმაბაძვით საფუძველზე მიღებულ იდეამტარებელ ნაწილს სიტყვისა. ხოლო რაც შეეხება გრამატიკულ მორფემებს, ისინი, როგორც წესი, წარმოადგენენ პირველქმნილი ძირისეული თანხმოვნური ფორმების, იგივე ძირისეული ანუ ლექსიკური მორფემების იმთავიდანვე თანმხლები) ბგერის ფონეტიკურ ვარიანტებს. ასე, მაგალითად, სიტყვაში ქმო-კარკ-ალ-ან-დ-ას)-ნი (ნეტავი რომ კაკანით მოვიდოდეს) ძირია ა-თი შიგაგახმოვანებული ფორმა კარკ, ანუ, ძირისეული (ლექსიკური) მორფემაა კ)რკ) (მიღებული, – ქათმის კაკანის გამომხატველი კრრრკრრრ შორისდებულისაგან). ყველა დანარჩენი მორფემა (ნაწილები) აღნიშნული სიტყვისა, მიღებულია ემფატიკური ნახევრადხმოვანი) ბგერისაგან, ანუ წარმოადგენენ მის ფონეტიკურ ვარიანტებს. აქვე, რაც არ უნდა გასაოცარი იყოს და დაუჯერებელიც სჩანდეს, დავამატებთ, რომ, მეგრულში, კ)რკ) ძირზე დამყარებით მიღებული ლექსიკა მოიცავს 4 757 619 სიტყვას, პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ (იხ. ჩვენი ოცტომეულის **„მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე", ტ. VII, გვ.110-144, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია"-ს ბიბლიოთეკაში, ან ჩვენს პერსონალურ კომპიუტერში, ასევე იქვე: „მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავავალათასტომეული",** და ამათი კომპიუტერული ვერსიები).

არახმაბაძვით სიტყვებში ანუ ე. წ. **„წმინდა წყლის"** პირობით ნიშნებში, როგორც უკვე ითქვა, სხვა ვითარებაა. ასეთი სიტყვები მეორეული, შედარებით გვიანდელი მოვლენაა ენაში. ისინი ისეთივე ან თითქმის ისეთივე ფორმებად არიან წარმოდგენილი, დღეისთვისაც, როგორი ფორმებითაც თავის დროზე ადამიანმა შემოიღო. საამისოდ, ცხადია, ადამიანმა გამოიყენა, მის განკარგულებაში უკვე არსებული სამეტყველო ბგერები, – მათი გარკვეული კომბინაციით მოახდინა სახელდება საგნებისა (სხვა მონაცემებისა), რომელთათვისაც ხმის გაღება არ იყო (არ არის) არის დამახასიათებელი.

ასე, მაგალითად, სიტყვა **„წიგნი"** ასეთივე ფორმით შემოვიდა ენაში და ასევე გვაქვს დღემდე. იგი არ წარმოქმნილა ამ სიტყვის ძირისეული თანხმოვნებისგან წ)გნ). ესე იგი, არ მომხდარა ამგვარი ძირისეული თანხმოვნური ფორმის წარმოქმნა და მისი შემდგომი გახმოვანება-აფიქსაცია, როგორც ეს გვაქვს ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმების შემთხვევაში.

რასაკვირველია, ესა თუ ის სიტყვა ხმაბაძვითი წარმომავლობისაა, თუ მას უდგება ხმაბაძვითი სიტყვების გამოცნობის კრიტერიუმები. სხვა შემთხვევაში საქმე გვაქვს არახმაბაძვით ფორმებთან, რომლებიც ადამიანის მიერ, მოგვიანებით, შემოღებულია შემთხვევით და ნებისმიერ საფუძველზე. ამგვარი სიტყვების ხვედრითი წილი მეგრულ ენაში მისი მთელი ლექსიკის სულ რაღაც მხოლოდ 0,8 პროცენტს შეადგენს, მაგრამ მათი ეტიმოლოგიის დადგენა, ანუ დადგენა იმისა, თუ რა საფუძველზე შემოიღო ადამიანმა ისინი, თავის დროზე, მოცემულ ენაში, უდავოდ საშური საქმეა. ამაზე მკვლევარების მუშაობა დიახაც მისასალმებელია, მაგრამ, ჩვენდათავად მიგვაჩნია, რომ, ის ხერხი თუ მეთოდი, რასაც მიმართავენ ცალკეული მკვლევარები სიტყვათა ეტიმოლოგიის ამოსახსნელად და რისი ცალკეული მაგალითები ზემოთ იქნა მოტანილი, უთუოდ უსაფუძვლოა. უსაფუძვლოა იგი კონკრეტულად, შემდეგი გარემოებების გამო:

ასე, მაგალითად: ე. წ. **„დაქარაგმების"** მეთოდის მიხედვით თუ მივუდგებით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სიტყვა **„წიგნი"** მიღებულია შემდეგი სიტყვებისაგან: **„წყარო იგი ცოდნისა იმისა"; „წყარო იგი გონიერებისა იმისა"; „წყარო ცოდნისა მდინარებისა იმისა"** და ა. შ. მაგრამ, განა ესენი ჩვენი ნება-სურვილის მიხედვით შერჩეული სიტყვები არ არის? განა ჩვენ არ **„დავაქარაგმეთ"**, სიტყვა **„წიგნი"**, აი ახლა, ამგვარი ნებისმიერი სიტყვებისაგან? მაშ, რა კავშირი აქვს მას ოდესღაც შექმნილი (შემოღებული) სიტყვა **„წიგნი"**-ს ეტიმოლოგიასთან? ასეც რომ არ იყოს, სიტყვათწარმომავლობის ანუ ეტიმოლოგიის შესწავლის საგანია სწორედაც სიტყვის ეტიმონი ანუ ძირი. ესე იგი, მან უნდა წარმოაჩინოს არა ის, რომ, მაგალითად, სიტყვა **„სადგური"** მიღებულია სიტყვა **„დგომა"**-საგან, ან სიტყვა **„საქათმე"** მიღებულია სიტყვა **"ქათამი"**-საგან, არამედ ის, თუ რისგან (როგორ, რა საფუძველზე) არის მიღებული სიტყვები; **„დგომა", „ქათამი"** და სხვა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა შეეძლო პირველყოფილ, ჯერაც ენაუდგმელ ადამიანს ეფიქრა, რაღაც ფორმებისგან თუ ჯერაც არარსებული სიტყვებისგან შეექმნა სხვა, **„დაქარაგმებული"** სიტყვები? ასეთი რამის უბრალოდ გააზრებაც ხომ საფუძველს მოკლებულია?!

ასევე უსაფუძვლოა, ცალკეულ მკვლევარებთან მოცემული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ ენის კუთვნილებაში არსებული ბგერები, თავის დროზე, ადამიანთა მიერ შემოღებული იყვნენ შეგნებულად, წინასწარ დაქარაგმებული თუ წინასწარ განსაზღვრული იდეით, და, შემდგომში ეს ბგერები გამოეყენებინოთ მათ, ასევე წინასწარ განსაზღვრული მოსაზრებით, ენის ლექსიკის ანუ სიტყვების შესაქმნელად. ასე, მაგალითად, უსაფუძვლოა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბგერა ბ, რაკი იგი ცალკეულ სიტყვებში (**„ბე-ბ-უ"** დაბმულია, **„მუკო-ბ-უ"** ჩამოკიდებულია და სხვ.) ბმას გამოხატავს, ყველგან იგივეს გამოხატავდეს; ანდა, თ ბგერა ყველგან ნათლის გამომხატველი იყოს; ან კიდევ, ნ ბგერა, იმ ვარაუდით, რომ იგი მეგრულში თითქოსდა წყალს აღნიშნავს (რაც სრულიად უსწორობა), გამდინარე წყალს აღნიშნავდეს სიტყვა **„მდინარე"** (აქ, ნ დინებისეული **„ნ"**-ა და არა წყლისეული), და, რომ ყველგან, სადაც კი ნ ბგერა გვაქვს, წყალი მოიაზრებოდეს. ასე რომ იყოს, – აბა, სად ჩანს **„წყალი"**, სიტყვებში: **„მძინარე, მცინარე, ნაძვი"** და სხვა?

აღნიშნული უსაფუძვლო მოსაზრების მიხედვით, გამოდის, რომ თითქოსდა თანამედროვე მეგრულენოვან ადამიანთა წინაპრებს 36 ბგერა შეუქმნიათ, საკუთრივ ქართულენოვან ადამიანთა წინაპრებს 33 ბგერა, ფინიკიურენოვან ადამიანთა წინაპრებს – 26 ბგერა და ა. შ., და ამ ბგერების მეშვეობით მოუხდენიათ, შემდგომში, საგანთა (სხვა მონაცემთა) სახელდება, სიტყვებისა და ენის შექმნა. ასეთი რამის გააზრებაც კი ყოვლად შეუძლებელია.

საქმე ის არის, რომ როგორც ამას ჩვენი გამოკვლევის შედეგები გვიჩვენებენ და რაზეც ზემოთ ითქვა, იმ 6652 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან, რასაც ემყარება თანამედროვე მეგრული ენის მთელი ლექსიკა (1,5 მილიარდამდე სიტყვა), ხმაბაძვითი წარმომავლობისა ყოფილა, ასევე ზემოთადნიშნული, 1869 ძირისეული თანხმოვნური ფორმა.

ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე მეგრულენოვან ადამიანთა წინაპრებს, ენის წარმოქმნის პროცესში მოუხდენიათ ბუნებაში მოცემული ანუ ბუნების საგნების მიერ გაღებული 1869 ხმიანობის (და არა მხოლოდ 36 მგერის) აღქმა და რეპროდუქტირება სამეტყველო საშუალებების, იგივე ენობრივი ნიშნების სახით და არა მხოლოდ 36 ბგერისა (თუმცა, სწორედ მათგან გამოკვეთილა, საბოლოო ანგარიშით, 36 ბგერა თანამედროვე მეგრული ენისა). ამდაგვარად მიუღია ბუნებაში მოცემულ ბგერებს, – როგორც ადამიანის მიერ აღქმულ, რეპროდუქტირებულ და სათანადოდ გარდაქმნილ სამეტყველო ბგერებს, – მოცემულ ენაში და საერთოდ ენებში, სოციალური დანიშნულება, სოციალური ღირებულება. სწორედაც ამ საფუძველზე წარმოადგენს ნებისმიერი ენა (და არა მხოლოდ ერთი რომელიმე ენა, როგორც ეს ზოგიერთებს წარმოუდგენიათ) საგანთა სამყაროს თავისებურ მოდელს.

ამ მხრივ კი, როგორც ამას, ჩვენი გამოკვლევების შედეგები გვიჩვენებენ, გამორჩეულ ფენომენს წარმოადგენს მეგრული ენა, რაც გამოიხატება შემდეგში: მეგრული ენის სიტყვების აბსოლუტურად უდიდესი ნაწილის აღწერილობითი ხასიათისაა. ამასთან, მეგრული ენის ლექსიკა ხასიათდება გასაოცარი, დიახ ფანტასტიკური სიმდიდრით.

ამრიგად, მეგრული ენა, – სიტყვათა აღწერილობითი ხასიათისა და ლექსიკის კოლოსალური სიმდიდრის წყალობით, – წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს.

ქვემოთ, მოკლედ შევეხებით იმასაც, თუ რა საფუძველზე იქნა მიღებული, ჩვენს მიერ, ეს უკანასკნელი დასკვნა. მანამდე კი აღვნიშნავთ შემდეგს:

ჩვენ, ცხადია, ამოვხსენით ისიც, თუ რამ განაპირობა თვით ერთი და იმავე საგნის (მხედველობაშია ხმის გამღემი საგანი) სხვადასხვაგვარად სახელდება, რაც გახდა უპირველესი საფუძველი სხვადასხვა ენის წარმოშობისა და სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ბგერითი შემადგენლობის მიღებისა,

საქმე ის არის, რომ, მაგალითად, ის ბგერა, რომელიც ჩვენ, ქართულენოვან ანუ იაფეტური მოდგმის ადამიანებს მუდამ გვესმოდა და გვესმის როგორც ჭ, სლავურენოვან, საერთოდ ინდოევროპულენოვან ადმიანებს ესმოდათ და ესმით, როგორც ჩ. სწორედაც ამ საფუძველზე მოხდა, მრავალსაუკუნოვანი ხმაბაძვითობის შედეგად, ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებში შესაბამისი საწარმოთქმო ჩვევის ანუ საარტიკულაციო ბაზისის ჩამოყალიბება. ამ საფუძველზე გვაქვს ამგვარი შესატყვისობები: ჭურხული (მეგრ.), ჭიკჭიკი (ქართ.) და ჩირიკანიე (რუს.), ან კიდევ, ფორმები: გუგული და კუკუშკა, ყაყალი, ყიყინი და კვაკვანიე და ასე შემდეგ. ესე იგი, რომ არა ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი მრავალსაუკუნოვანი ხმაბაძვითობა, ადამიანები ვერ შეძლებდნენ საწარმოთქმო ჩვევის განვითარებასა და ამეტყველებას. ამიტომაც ვერ წარმოთქვამს დღესაც, მაგალითად, ეროვნებით რუსი ადამიანი, ჭ ბგერას, და ნაცვლად ჭიჭიკოსი, ამბობს: ჩიჩიკო, და ა. შ.

აღნიშნული ფაქტის წარმოჩენადასაბუთებით, ჩვენ, გავაბათილეთ კიდევ ერთი მიზეზი თუ საბაბი, რომლის მოშველიებითაც, თავის დროზე, უარყოფილ იქნა ენის წარმოშობის ხმაბაძვითობის თეორია, რაც ასე იყო ჩამოყალიბებული: საგნის სახელდება და ენის წარმოშობა რომ საგნის ბუნების, და კერძოდ, ხმაბაძვითობის საფუძველზე მომხდარიყო (მაგალითად, გუგული ყველგან ერთნაირად იძახის), არ გვექნებოდა ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა სახელი სხვადასხვა ენაში ანუ არ გვექნებოდა სხვადასხვა ენაო.

ამჯერად, მოკლედ იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე წარმოადგენს მეგრული ენა საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს:

ქართულში, მაგალითად, სტატიკურია ზმნები: ზის, არის და სხვა. ისინი ზმნისწინებსა და აფიქსებს არ ირთავენ და ახალ-ახალ სიტყვებს არ იძლევიან. ასე, მაგალითად, არა გვაქვს ფორმები: გადა-ზის, შე-ზის, ჩა-ზის, წა-ზის... გადა-არის, მი-არის, შე-არის და მისთანანი. ამიტომაც, გვაქვს შესიტყვებანი: ქვაზე ზის, სახლში ზის, გამოქვაბულში ზის, ჭაში ზის, კუთხეში ზის და ა. შ. (ესე იგი, ყველგან გვაქვს ფორმა ზის).

მეგრულში კი, ხე (ზის) ფორმასთან ერთად გვაქვს ფორმები: გე-ხე ზედ (მაგალითად, ქვაზე, მიწაზე, სკამზე...) ზის; მულა-ხე შიგნით (სახლში, ოთახში...) ზის, მითო-ხე შიგ მიღმივ, (მაგ., გამოქვაბულში) ზის, ინო-ხე (შიგ ქვე დაბლით, მაგ., ჭაში, ჭურში, თხრილში...) ზის, კ)ნო-ხე კუთხეში ზის, კინო-ხე კუთხეში პირიქით ზის, კუნო-ხე კუთხეში პირაქეთ ზის, და ა. შ., ვიდრე მეგრულის 93-ვე ზმნისწინის გამოყენებამდე.

ამრიგად, მეგრულის ზმნები, ზმნისწინებად ადგილის ზმნიზედების (სრულ სახით ან შეკვეცილად და რამდენადმე სახეცვლილად – ზმნისწინებისა და ქცევის ნიშნების ურთიერთ დამთხვევისას წარმართული

ასიმილაციური პროცესის გამო), გამოყენების წყალობით, საგნის მოქმედების ჩვენებასთან ერთად, გვიჩვენებს საგნის მოქმედების მიმართულებასაც და ადგილსაც, თანაც მისი აღწერით.

მაგრამ, იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედ საგანს ახასიათებს გარკვეული ნიშან-თვისება, – ეს ნიშან-თვისება კი, ჩვეულებრივ, გამოხატულია (დეტერმინირებულია) ხმაბაძვითი წარმომავლობის ფორმებში), ამგვარი ძირისეული თანხმოვნური ფორმების (იგივე, ძირისეული ანუ ლექსიკური მორფემების მქონე უკლებლივ ყველა სიტყვაში საგნის მოცემული ნიშან-თვისება აშკარად ვლინდება. ასე, მაგალითად, თუ კი მოქმედებს „გვინჯღალი" ანუ დაბალი, ჩია და ჩაფსკვნილი (ერთგვარი) საგანი, გვაქვს ფორმები: მიგვანჯღალ) (გვინჯღალი მირბის ან მიდის ჩქარა და ტანრხევითად მისმიერი იერსახით), გვანჯღალანც) (გვინჯღალი ლაპარაკობს უშნოდ და უნიათოდ), გვანჯღ)ნც) (გვინჯღალი ჭამს უშნოდ და უნიათოდ), ოგვინჯღინანც) (გვინჯღალი გამოიყურება მისმიერი იერსახით) და ა. შ. (გვ)ნჯღ) ძირზე დამყარებით კი, მეგრულში 1 304 148 სიტყვა გვაქვს).

მამანტი ძაძამია,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია"-ს პრეზიდენტი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, 8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ხუთი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი

საქართველოში საჯაშუშო-სექტანტური ორგანიზაციების მომძლავრება გრძელდება

მიმდინარე წლის აპრილში, ევრაზიის ინსტიტუტმა პირველად საქართველოში, საზოგადოების ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში მომძლავრებულ რელიგიურ სექტებსა და უცხო სახელმწიფოთა საჯაშუშო საქმიანობას შორის არსებული კავშირის შესახებ (ამ თემას მრგვალი მაგიდა მიეძღვნა, სასტუმრო **„ქორთიარდ მერიოტის“** დარბაზში). ამ ღონისძიებას პრესაში საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. შემდეგ, ევრაზიის ინსტიტუტმა მრგვალი მაგიდის მასალები ბუკლეტის სახით გამოსცა და გაავრცელა, მაგრამ ხელისუფლებამ ჯერ კიდევ ვერ მოიცალა პრობლემის შესასწავლად (არათუ მოსაგვარებლად).

ამასობაში კი რელიგიური ორგანიზაციების **„კრიშის“** ქვეშ საჯაშუშო საქმიანობა გრძელდება. ამჟამად წარმოგიდგენთ ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას, რომელიც სპეციალიზირებულია საქართველოს ტერიტორიაზე ირანის მოქალაქეების რელიგიურ-იდეოლოგიური დამუშავებითა და საბოლოო ჯამში, მათი გადაბირებით, ირანის სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ. ეს, რა თქმა უნდა, ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებამ იცის და თეირანის მხრიდან არ არის გამორიცხული შესაბამისი ზომების მიღება. ჩნდება რიტორიკული კითხვა: რამდენად არის ასეთი დაძაბულობა და რეგიონული ძალის – ირანის გადაკიდება საქართველოს ინტერესებში?.

თბილისში, ტაშკენტის ქუჩის ზედა მხარეს, ვეძისის ქუჩაზე, მოქმედებს ე. წ. **„ქრისტიან სიონისტთა ეკლესია“**, რომელიც ირანული წარმოშობის უცხო მოქალაქეებს ეკუთვნით. ეს „ეკლესია“ მდებარეობს უშველებელ კეთილმოწყობილ, ეზოიან სახლში, შესანიშნავი ხედით ქალაქზე. ასეთი სახლები თბილისში, სულ ცოტა, 300.000$ ღირს. ჩვენი წარმომადგენლის ვიზიტის მომენტში (ამაზე ოდნავ ქვემოთ) ეზოში ორი ფურგონი, ერთი **„ჯიპი“** და ერთი მსუბუქი მანქანა იდგა, მათ ზედ ჰქონდათ სტიკერები, წარწერით ინგლისურ ენაზე – **„მე მიყვარს იესო“**. სახლში შევნიშნეთ **„პინგ-პონგის“** მაგიდები და სატრენაჟორო დარბაზი. ერთი სიტყვით, **„ეკლესია“** ცუდ ცხოვრებას არ უჩივის.

ევრაზიის ინსტიტუტმა მიიღო გადაწყვეტილება, უფრო ახლოს გაცნობოდა **„ქრისტიან სიონისტთა“** მოღვაწეობას საქართველოში. ვეძისის ქუჩაზე მდებარე **„ეკლესიაში“** მივლინებით ირაკლი ყიფიანი გაიგზავნა, რომელმაც **„ეკლესიის“** მესვეურებს თავი ჟურნალისტად წარუდგინა. თუმცა პირველი ვიზიტი უშედეგო აღმოჩნდა – სახლში არავინ იყო, ხოლო მეზობლებმა გვითხრეს, რომ სახლში ხალხმრავლობა ძირითადად შაბათ-კვირას არის ხოლმე და იქიდან ისმის ხმაური, გაურკვეველი სიმღერები და მსგავსი ბგერები. მეზობლების ნაწილი უარყოფითად არის განწყობილი უცნაური **„ეკლესიის“** მიმართ, ნაწილი კი (ძირითადად არაქართული მოსახლეობა) – პირიქით, დადებითად. მეზობლების საშუალებით ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენელი ტელეფონით დაუკავშირდა **„ეკლესიის“** მესვეურებს და ინტერვიუს ჩაწერაზე შეთანხმებიდან რამდენიმე დღეში შეხვედრაც შედგა.

„ქრისტიან სიონისტთა ეკლესიას“ წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელი, პასტორი რეზა ქაჰნამოუვ (საქართველოში ბაბექ იოვარ-ად წოდებული). საუბარი მისივე თარჯიმნის საშუალებით მიმდინარეობდა. ქვემოთ წარმოდგენილ ინტერვიუში მკითხველმა ყურადღება უნდა მიაქციოს რესპონდენტის მიერ გამოთქმულ ზოგიერთ შეუსაბამობას, რაც **„ქრისტიან სიონისტთა ეკლესიის“** ნამდვილი ზრახვების შესანიღბად არის გამიზნული. კერძოდ, რესპონდენტი თავს არიდებს **„ეკლესიის“** დაფინანსების წყაროების დასახელებას – არადა, როგორც აღვნიშნეთ, იგი თანხების ნაკლებობას არ უჩივის. გარდა უძრავი ქონებისა, **„ქრისტიანი სიონისტები“** ახლად მოსულ წევრებზე ფულად დახმარებებსაც გასცემენ, სულ მცირე, 200-300 დოლარის ოდენობით, მათ დიდ ბრიტანეთში და სხვა დასავლურ ქვეყნებში გამგზავრებას ჰპირდებიან და ხშირად ასრულებენ კიდეც ამ დაპირებებს. წინაპირობაა **„ქრისტიან სიონისტთა ეკლესიის“** წევრად გახდომა და **„ღვთისმსახურებაში“** მონაწილეობის მიღება. ამჟამად **„ეკლესიაში“** სამედიცინო ინსტიტუტის უცხოელი სტუდენტებიც (აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები) მოედინებიან. როგორც ჩვენს წარმომადგენელს განუცხადა ბატონმა ბაბექ იოვარმა, თბილისში მათ სულ 250 (!) სალოცავი აქვთ (მას არ დაუზუსტებია, შესაძლოა, კერძო ბინებზე აქვთ მოწყობილი ეს სალოცავები). გარდა ამისა, **„ეკლესია“** თურმე მოხუცთა თავშესაფრებსაც აფინანსებს.

ინტერვიუში ყურადღებამისაქცევია კიდევ რამდენიმე გარემოება: პირველი ის, რომ თავად ბაბექ იოვარი ასახელებს საქართველოში თავის მთავარ მოკავშირეს – ანტიმართლმადიდებელური მოღვაწეობით გამორჩეულ ოდიოზურ ბექა მინდიაშვილს, გამსახურდიას დროინდელი ასევე ოდიოზური მღვდელ-პარლამენტარის, არჩილ მინდიაშვილის ძმიშვილს (ცნობისათვის: არჩილ მინდიაშვილმა 1991 წელს თბილისში ერთ-ერთი რუსული ტაძრიდან რუსი მრევლი გამორეკა). მეორე ის, რომ სააკაშვილის რეჟიმმა **„ქრისტიან სიონისტთა“** უცხოელ მესვეურებს ამ ბექა მინდიაშვილის რეკომენდაციით უპრობლემოდ აჩუქა საქართველოს მოქალაქეობა; მესამე და, ჩვენი აზრით, მთავარი, დაფინანსების გაუმჭვირვალობასთან ერთად, არის ის გარემოება, რომ ბაბექ იოვარის **„დამტკბარი“** საუბარი საქართველოს მიმართ ძალიან გავს სხვა სექტანტების, მათ შორის, ისლამისტი სალაფიტების მიერ დაზეპირებულ ფრაზებს – როგორ **„უყვართ“** მათ საქართველო, რწმენით სხვანი არიან, მაგრამ **„ქართველები“, „ამ ქვეყნის პატრიოტები არიან“** და ასე შემდეგ (უცხოურ სპეცსამსახურებში გავლილი ტრენინგების ტიპური პროდუქტი!). საინტერესოა, ახალი ხელისუფლების პირობებში მაინც თუ გამოიბერტყავენ ქართული სპეცსამსახურები ყურებს? თუ, იქნებ, სახელმწიფო უსაფრთხოებაზე მზრუნველი სპეცსამსახური საქართველოს აღარც კი დარჩა?

ქვემოთ გთავაზობთ ინტერვიუს ჩანაწერს:

– როგორც ჩემთვის ცნობილია, შეიცვალეთ რელიგია და გახდით ქრისტიანი, მაინტერესებს, რატომ შეიცვალეთ რელიგია და რამ გაიძულათ, რომ ჩამოსულიყავით ირანიდან საქართველოში და დარჩენილიყავით საცხოვრებლად.

– 35 წლის წინ მოხდა რევოლუცია, რომელმაც ირანის ისლამიზაცია მოახდინა და ჩემი ბავშვობა ამ ისლამური რევოლუციის ფონზე გავატარე. ათასობით ადამიანი იყო დახოცილი, დაპატიმრბული და რეპრესირებული, ხოლო ამ ყველაფერს აკეთებდნენ ღმერთის, კერძოდ ალაჰის სახელით. ყოველთვის მაწუხებდა კითხვა, თუ ვინ არის ასეთი ღმერთი – ალაჰი, რომელიც მოითხოვს ადამიანთა სულებს და ხოცავს მათ. ამ ყველაფერს კი დაერთო ჩვენი ქვეყნის – ირანის ომი ერთმორწმუნე მუსულმანურ ქვეყანასთან ერაყთან და მე მიკვირდა, თუ ერთმორწმუნე ხალხი ვიყავით, რატომ ვხოცავდით ერთმანეთს და ამ ომს ხომ ერთი მილიონი ადამიანი შეეწირა. შემდეგ გავხდი სტუდენტი ძალიან ბევრს ვფიქრობდი ამ ყოველივეს შესახებ ვიკვლევდი და მივედი იმ დასკვნამდე რომ, ისლამური რელიგია ეს არის რაღაც სიცარიელე რომელსაც შიგთავსი არ აქვს. შემდეგ დავიწყე ასეთი სახის ლოცვა: ღმერთო, მე მინდა ყველა წინასწარმეტყველები და რელიგიური წინამძღვრები დავივიწყო და მინდა უფალო შენ განმეცხადო და უშუალოდ შენ დამანახო ჭეშმარიტება. მოხდა ესეთი რამ: ჩემს საკუთარ ენაზე მე ჩამივარდა ხელთ ახალი აღთქმა, მაგრამ ასეთი განწყობა მქონდა რომ დაღლილი ვიყავი რელიგიისგან და არ მინდოდა ახალი თავისსატეხი გამჩენოდა, მაგრამ მაინც დავუშვი ის რომ წამეღო სახლში ეს წიგნი და წამეკითხა. რაღაც სასწაულებრივად ყოველ დილით 6 სათზე მეღვიძებოდა და ვკითხულობდი ამ წიგნს. როდესაც ვკითხულობდი იესო ქრისტეს მოძღვრებას თუ როგორ ასწავლიდა ის მე ვფიქრობდი და მივდიოდი დასკვნამდე, რომ ეს ჩვეულებრივი ადამიანის სწავლება არ იყო. შემდეგ აღმოვაჩინე იოანეს სახარებაში ადგილი, სადაც იესო ქრისტე ამბობს: **„შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“**. უფლის წინაშე წავრსდექი ლოცვით და ვთქვი: **“მე ვიცი, უფალო იესო, შენ შეგიძლია მომიტიო ჩემი ცოდვები, რადგან შენ ამის გულისათვის შენი სისხლი დაღვარე“**. ახალ-ახალი რაღაცები დაიწყო ჩემს ცხოვრებაში, თითქოს ხელახლა დავიბადე. ეს იყო ახალი ურთიერთობა ცოცხალ ღმერთთან, რომელსაც ვუყვარდი მე და 2 წლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ღმერთი მომიწოდებდა, რომ ჩემი ერისთვის გამეცხადებინა მისი სახელი. მხოლოდ 500 პიროვნება გვყავს ჩვენ მოქცეული მუსულმანური რევოლუციის შემდეგ. და როდესაც ახალი ჩავლილი იყო ეს რევოლიცია, თითქმის 500-ივე მუსულმანობიდან ქრისტიანობისკენ მოქცეული ადამიანი იქნა დაპატიმრებული და დახოცილი ჩვენი მთავრობის მიერ. ჩვენს ქვეყანაში ეკლესიის დაფუძნება ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ იმ ჭეშმარიტების ქადაგება, რასაც მე ვეზიარე, დავიწყე ჩემს საახლობლოში, სამეგობროში, სანათესაოში და საოცარი ის იყო, თუ როგორ მოქმედებდა სახარება მათ ცხოვრებაში. მე ვიგრძენი მოწოდება ღმერთისგან, რომ დამენებებინა სამუშაოსთვის თავი და მთლიანად გადავსულიყავი მსახურებაში. ძალიან რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, რადგან კარგი შემოსავალი მქონდა, მაგრამ ქრისტეს სიყვარულმა მაინც გადამძალა. ამრიგად მე დავიწყე ქრისტეს ქადაგება და ახალი აღთქმის გავრცელება ირანში.

ირანის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტმა დამაკავა ამ საქმიანობის გამო. რამოდენიმე დღე მაწამებდნენ პატიმრობაში ყოფნისას, მაგრამ როდესაც განვთავისუფლდი ციხიდან, მივხვდი, რომ უფრო მეტი პრობლემები შემექმნებოდა ჩემს ქვეყანაში, რადგან ამჟამად ათასობით ირანელი გადმოდის ქრისტიანობაზე. ისლამური სახელმწიფო ცდილობს, რომ ეს ხალხი წნეხის ქვეშ იყოლიოს და არ გავრცელდეს სახარება. მივიღე გადაწყვეტილება, დამეტოვებინა ირანი. ჩემს ფიზიკურ ხელშეუხებლობას საფრთხე ემუქრებოდა. ხოლო რაც შეეხება ციხიდან თავის დახსნას, ჩემი ფინანსებით მოხდა ეს, რაც, რა თქმა უნდა, დავკარგე. ამრიგად დავტოვე ირანი და წამოვედი საქართველოში 2 წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინ.

– მიიღეთ ქრისტიანობა, კონკრეტულად? მართლმადიდებელი ხართ, კათოლიკე თუ პროტესტანტი?

– როდესაც ჩვენ ბიბლიას გადავშლით, კერძოდ, **„მოციქულთა საქმეთ“**, ვერ ვნახავთ იქ მოციქულების ქადაგებებში, რომ ისინი ქადაგებენ ან კათოლიკურ ეკლესიას ან მართლმადიდებლურს ან პროტესტანტულს. ისინი ქადაგებენ იესო ქრისტეს, რომელიც არის მაცხოვარი ყოველი სულისა. იესო ქრისტეს ჭეშმარიტება ცვლის ადამიანების ცხოვრებას და არჩენს მათ სულს. არა ჩვენი ეკლესიის სახელი, არამედ ქრისტე იესოს ჯვარია გადამრჩენელი. როდესაც ისეთ მუსულმანურ ქვეყანაში, როგორიც ირანია, შენ ვერ იქადაგებ ეკლესიის სახელით, იქ უნდა იქადაგო იესო ქრისტეს სახელით.

– საქართველოში ჩამოხვედით მარტო თუ თანამოაზრე, ან ერთმორწმუნე მეგობრებთან ერთად? თუ გელოდებოდათ აქ ვინმე? მაგალითად, თარჯიმანი გიორგი და ქნი ნინო აქ გაიცანით ჩამოსვლის შემდგომ თუ გქონდა მანამდე რაიმენაირი კომუნიკაცია?

ირანში ერთ ღამეში მივიღე ქვეყნის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება და მჯერა, რომ სულიწმიდამ შთამაგონა, რომ წამოვსულიყავი საქართველოში, როცა იქვე შემეძლო გავქცეულიყავი – თურქეთში, მაგრამ შინაგანი გრძნობა მქონდა, აქ უნდა ჩამოვსულიყავი. თან ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა წამების შედეგად ძალიან მძიმე იყო, ნაწამები ვიყავი, ფეხები მქონდა დამტრვეული. ნორმალურად ვერც კი დავდიოდი.

– საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ როგორ დაიწყეთ მოღვაწეობა? რა ნაბიჯები გადადგით?

– მე როდესაც საქართველოში ჩამოვედი, აღმოვაჩინე ერი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გულით ატარებს მამა ღმერთის, ძე ღმერთის და სულიწმიდის რწმენას. აღმოვაჩინე ისიც რომ საუკუნეების განმავლობაში ისინი იტანჯებოდნენ ამ რწმენის გულისთვის, ისინი იტანჯებოდნენ მაგრამ მაინც შეინახეს ეს რწმენა. აღმოვაჩინე, რომ საქართველო არის მოსიყვარულე ქვეყანა. აქ შეგიძლია იქადაგო სახარება და არის თავისუფლება. აღმოვაჩნე რომ ვარ საკუთარ სახლში. მე დავკარგე ჩემი ქვეყანა და უფლის წინაშე ლოცვაში ვთქვი: ღმერთო, ალბათ ეს არის ჩემი სახლი, რომელსაც შენ მაძლევ. როგორც კი დავიწყე საქართველოში სახარების ქადაგება, ღმერთმა დაიწყო ჩემი კურთხევა. რა თქმა უნდა, აქ ჩამოსვლის შემდგომ ირანში ბევრი რამ დავკარგე. ჩვენ როდესაც წმინდა წერილს ვნახულობთ, პავლე მოციქული ამბობს: უფრო მეტი ნეტარებაა გასცე, ვიდრე მიიღო; რაც უფრო მეტს გასცემ, მით მეტს მიიღებ. როგორც კი იწყებ სახარების ქადაგებას, ღმერთი შენს კურთხევას იწყებს. ეს არის ღმერთის უკანასკნელი ბრძანება, როდესაც ის ზეცად მაღლდებოდა, მის მოწაფეებს უთხრა: **„წადით და ყოველ ქმნილებას უქადაგეთ სახარება“**. როდესაც შენ არ გაქვს შიში და როდესაც ქადაგებ ღმერთი იწყებს შენს კურთხევას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არის გასაღები იმისა, თუ როგორ დავიწყე საქართველოში მოღვაწეობა და ღმერთმა მე უზრუნველმყო ახალი ქართველი მეგობრობით და სხვადასხვა ურთიერთობებით რადგან ღმერთი თვითონ არის ურთიერთობის ღმერთი და ამ გზით მაკურთხა მან.

– სანამ ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებდით თქვენ თქვით, რომ ირანელ დიპლომატებს საქართველოში კერძოდ კი აეროპორტში ხვდებით და ურიგებთ სახარებას. მაინტერესებს რას ემსახურება თქვენი ეს მსახურება?

– უპირველეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი მამოძრავებელი არის ის დავალება, რაც იესო ქრისტემ მისცა მის მოწაფეებს: წადით და უქადაგეთ ნებისმიერ ქმნილებას. ჩემი მსახურება მოიცავს სხვადასხვა სფეროებს მაგ: სულიერი ლიტერატურის თარგმნა, სახარების გავრცელება სახარების ქადაგება, სოციალურად გაჭირვებული ადმაინებისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა ეს არის ერთგვარი გზა რომ ადამიანებმა დაინახონ ღმერთის სიყვარული მათ ცხოვრებაში. როდესაც მე ამ ყველაფერს ვაკეთებ, მე ვღებულობ სხვადასხვა მესიჯებს მუქარისას. ჩემი ქვეყნიდან მემუქრებიან, თუ გავაგრძელებ სახარების ქადაგებას. ჩვენ გვაქვს კონტაქტები და მოვახდენთ შენს ლიკვიდაციასო და ირანშიც ავიწროებენ ჩემს ახლობლებს, ნათესავებს. ადამიანები, რომლებიც ჩვენს ტურისტებს ხვდებიან აეროპორტში, ავრცელებენ სახარებას მიუხედავად იმისა, რომ მათი ირანში მცხოვრები ნათესავები, რეპრესიების ქვეშ ყვებიან. თუ ჩვენს ეკლესიაში ვინმე ირანელი მოდის ირანის საელჩო მუშაობს აქტიურად რომ მოხდეს ამ პიროვნებების იდენტიფიკაცია და მოუწყონ რეპრესიები მათ ოჯახის წევრებს ირანში. ამიტომ ზოგი ქრისტიანი ირანელი თავს იკავებს ჩვენთან მოსვლისგან რადგან რეპრესირებული არ იქნეს და გვიწევს ერთი-ერთზე მათთან მუშაობა და სახარების გადაცემა.

– სომხეთში, თურქეთში, აზერბაიჯანში თუ გყავთ თანამოაზრეები, ქრისტიანი ირანელები, რომლებიც ასეთი შემართებით ქადაგებენ?

– რა თქმა უნდა, მრავლად არიან იქაც ირანელი ქრისტიანები და ყოფილი მუსულმანები რომლებმაც მიიღეს ქრისტიანობა, ახლა კი ქადაგებენ ქრისტეს თუმცა კონკრეტიკაზე, სახელებზე და გვარებზე საუბარი ძალიან გამიჭირდება, ვერ ვისაუბრებ გარკვეული მიზეზების გამო...

– თქვენს მსახურებაზე საუბრისას ახსენეთ სასულიერო ლიტერატურის თარგმნა, გავრცელება და ფინანსური დახმარებაც. მაინტერესებს, რა ფინანსური რესურსით ხდება თუნდაც ლიტერატურის თარგმნა-გამოცემა, ადამიანებისთვის ფინანსური შეღავათის გაწევა. ეს თქვენი ჯიბის დანაზოგიდან ხდება თუ დაფინანსების რაიმე წყარო არსებობს?

– საერთოდ, ბიბლიური ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, ღონაციას უნდა ახდენდეს ყველა ქრისტიანი, ამ საქმეში ყველა ქრისტიანი უნდა იყოს ჩართული. ყველა ქრისტიანი უნდა წირავდეს თავისი ხელფასის მეათედს. თუ რაში უნდა იყენებდეს ეკლესია ამ თანხებს, თქვენივე კითხვიდან ჩანს. სასულიერო ლიტერატურის თარგმნა, გავრცელება, გაჭირვებულთა დახმარება – ეს არის გზა, რითიც აკურთხებს ღმერთი ქრისტიან ადამიანებს. ყველა პიროვნება, რომელიც ერთგულია ამ შესაწირავის საკითხში, მას ღმერთი აკურთხებს. ყველა ერი, რომელიც ერთგულია შესაწირავის საკითხში, იმ ერსაც აკურთხებს ღმერთი. თუ ღმერთის დიდების გულისათვის გასცემს ერი ფინანსებს, ერი იქნება კურთხეული.

– სამომავლო გეგმებზე რომ ვისაუბროთ: თბილისი დედაქალაქია, მაგრამ რას გეგმავთ რეგიონებთან დაკავშირებით? ხომ არ აპირებთ ეკლესიების გახსნას იქაც და ქადაგებას?

გამოცხადების წიგნში იესო ქრისტე მიმართავს პირდაპირ ეკლესიას და ის ამბობს მე ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ, შენ უნდა გააღო კარი, რომ ის შემოვიდეს. ამას იესო ქრისტე არ ეუბნება მუსულმანებს. იესო ქრისტე ამას ეუბნება ეკლესიას. ხშირად ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ ვართ ეკლესია, ჩვენ გვყავს ქრისტე. ჩვენ ეკლესიაში ვამბობთ, რომ გვიყვარს იესო, მაგრამ იესო ამბობს გარკვევით: თუ გიყვარვართ, ჩემი მცნებები დაიცავით.

(გაგრძელება მე-12 გვერდზე)

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ ბიორგი ჯალაღანიას

“ყველაზე ღარიბები ვიყავით, მაგრამ საქართველო და “დინამო” გვიყვარდა...”

ქართული ფეხბურთის ლეგენდა, დიუსელდორფის გამარჯვების ერთ-ერთი შემოქმედი ვლადიმერ გუცაევი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებს. თუმცა, ამჯერად მასთან პრობლემებზე არ გვილაპარაკია. გუცაევს ბევრი აქვს გასახსენებელი და დარწმუნებულნი ვართ, ამ წერილს ბოლომდე ინტერესით წაიკითხავთ.

ვლადიმერ გუცაევი **“დინამოს”** ღირსებას 1971-1986 წლებში იცავდა. ამ გუნდის შემადგენლობაში მან 438 მატჩი ჩაატარა და 83 გოლი გაიტანა. არის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1978), მეორე-ადგილოსანი (1977) და ხუთგზის (1971, 1972, 1976 გაზ, 1976 შემ, 1981) ბრინჯაოს პრიზიორი. საბჭოთა კავშირის თასის ორგზის გამარჯვებული (1976, 1979) და ფინალისტი (1980). ექვსჯერ დასახელდა **“33 საუკეთესოს”** შორის: 1972, 1978 და 1979 წლებში - პირველ ნომრად, ხოლო 1976, 1977 და 1981 წლებში – მეორე ნომრად. 1981 წლის ევროპის თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული. სსრკ-ს ნაკრებში ჩატარებულ 11 შეხვედრაში გაიტანა 1 გოლი. 1976 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული. არის სპორტის დამსახურებული ოსტატი...

– თბილისში დავიბადე. ნაძალადევში ვიზრდებოდი. ფეხბურთი ბავშვობიდან უზომოდ მიყვარდა. 11 წლისა **“ნორჩ დინამოელში”** მიმიყვანეს გრიშა გაგუასთან – ძალიან თბილი და წესიერი კაცი იყო. მთელი ბავშვობა, 15 წლამდე მასთან ვთამაშობდი, მერე გადავედი ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლაში, სადაც მწვრთნელი ვოვა ელოშვილი იყო. მან ჩვენი თაობის ბევრი ძლიერი მოთამაშე გაზარდა – მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები, ფირუზ კანთელაძე, ვახტანგ ჭელიძე, დათო გოგია, ვახტანგ კოპალეიშვილი, საშა ჩივაძე...

სწორედ იქიდან მოვხვდი თბილისის **“დინამოში”** – ეს 1970 წლის ზაფხულში მოხდა. მაგრამ ნახალოვკაში, ტრიკოტაჟის სტადიონზე პატარა ბიჭებთან მაინც ვერთობოდი. იქ კვირაობით ხალხი იკრიბებოდა და ძალიან საინტერესო თამაშები იმართებოდა. **“დინამოს”** მოთამაშე კი ვიყავი, მაგრამ, როგორც ყველა, ქუჩის ფეხბურთი მეც მიყვარდა და რომ იცოდეთ, ბავშვებთან თამაშით ტექნიკასაც ვაუმჯობესებდი.

– დღეს ჩვენთან ბავშვების კუმირები მესი, რონალდო და სხვა უცხოელი ვარსკვლავები არიან. ჩვენს დროს კი დინამოელებს ვაღმერთებდით, პირადად მე – სლავა მეტრეველი და მიშა მესხი მიყვარდა. ისე მოხდა, რომ 1971 წლის ნოემბერში მეტრეველმა საკუთარი მაისურა სწორედ მე გადმომცა. ამ დროისთვის უკვე 18 წლის ვიყავი და **“დინამოში”** სლავას გვერდით 9 მატჩის ჩატარება მოვასწარი.

ამ დროს უკვე მომავალი **“დინამოს”** კონტურები იკვრებოდა. ახალგაზრდა ბიჭები დაგვაწინაურეს – სერიოზულად ათამაშდა შოთა ხინჩაგაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე ლიდერი გახდა, გამოჩნდნენ ძალიან ნიჭიერი ბიჭები – თეიმურაზ სტეფანია, ფირუზ კანთელაძე, დათო ყიფიანი, ცხონებული ფირუზ რეხვიაშვილი – ძალიან კარგი ცენტრალური თავდამსხმელი იყო... სხვათა შორის, გავრილ კაჩალინი ყიფიანს თავიდან მარცხენა გარემარბად ათამაშებდა...

მერე მოვიდა ნოდარ ახალკაცი და ქუთაისის **“ტორპედოდან”** გადმოიყვანა გაბელია, კოსტავა, სულაქველიძე, შენგელია... ბათუმის **“დინამოდან”** რეზო ჩელებაძე...

– ახლა ლეგენდებს თხზავენ, რომ ადრე იყო საუკეთესო პირობები და **“დინამომ”** თასი ამიტომ მოიპოვა. სისულელეა – გინდ დაიჯერეთ, გინდა არა, მაგრამ ჩვენ, დინამოელებს, საბჭოთა კავშირში ყველაზე დაბალი ჯამაგირი გვქონდა.

კარიერის შემდეგაც ხშირად ვხვდებოდი აზერბაიჯანელ, სომეხ, რუს თუ უკრაინელ ფეხბურთელებს და მერე გავიგე, რომ ისინი იღებდნენ 2000 მანეთს, ზოგი 2500-საც კი, ჩვენთან კი მაქსიმუმი, 360 მანეთი, ოფიცრის წოდების მქონე ფეხბურთელს ჰქონდა.

სპორტკომიტეტის უფროსად დავით ჰერტენავას დანიშვნის შემდეგ ცოტა ამოვისუნთქეთ – მოგებაზე დაგვინიშნეს 100 მანეთი პრემია, ხოლო გასვლით ფრეზე – 50 მანეთი. მაგრამ ასე წელიწადნახევარი გაგრძელდა...

მაგრამ ჩვენთვის მთავარი მაინც ხალხის სიყვარული იყო. ამიტომ არ მივდიოდით არსად, თორემ, თითოეულ ჩვენგანს გაცილებით უკეთეს პირობებს სხვა რესპუბლიკების გუნდები სთავაზობდნენ. ერთადერთი, გული იმაზე დამწყდა, რომ **“რეალში”** არ გამიშვეს.

ახალკაცმა უთხრა ესპანელებს – გუცაევს **“ვოლგა”** ჰყავს და ესპანეთში არ წამოვაო. გაოცებულები დარჩნენ – მათ ხომ არ იცოდნენ, რომ მანქანა არაფერ შუაში იყო. საბჭოთა ფეხბურთელს კაპიტალისტურ ესპანეთში არავინ გამიშვებდა...

ზაზროევი, კალოევი, ცხოვრებოვი – ხალხს ყველა ეს ფრეხბურთელი უზომოდ უყვარდა. ჩემზეც იმავეს ვიტყვი. არავინ ამბობდა, ეს ქართველია, ის ოსი...

“ალანიაში” 1994 წლის ნოემბერში დავიწყე მუშაობა. მაშინ ოსეთში სპირტის ბუმი იყო, დიდი ფული ტრიალებდა... მე და ვალერი გაზაევმა ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება გადავწყვიტეთ – იმ ფულით სულ სხვა მასშტაბის მოთამაშეების ყიდვა შეიძლებოდა, ვიდრე გუნდი იყო მიჩვეული.

გაზაევს აზერბაიჯანში სურდა ჩასვლა, სადაც ნაზიმ სულეიმანოვს აკვირდებოდა. ის მართლაც კარგი მოთამაშე იყო, მაგრამ შელიას, ყაველაშვილს, არველაძეს და ქინქლაძეს როგორ შევადარებდი?! გაკვირვებით ვუთხარი – როდის შემდეგ აჯობა აზერბაიჯანულმა ფეხბურთმა ქართულს, თბილისის **“დინამოში”** ნათამაშებმა კაცმა ეს უნდა იცოდე-მეთქი. თანაც, დიდი ხანი იყო გასული, რაც **“დინამოს”** თამაში არ ჰქონდა ნანახი და თბილისში ჩამოსვლა შევთავაზე, საინტერესო ფეხბურთელებს გაჩვენებ-მეთქი.

მოკლედ, საქართველო-მოლდოვაზე ჩამოვიყვანე, ფეხბურთელები თავად შეაფასეთ.

0:1 კი წავაგეთ, მაგრამ გაზაევს ჩვენები მოეწონა. მაშინ **“ალანიას”** დირექტორი იყო ბათრაზ ბიტაროვი, რომელმაც უთხრა – ვალერი გეორგიევიჩ, ხედავ, ქართველებს მეკარეც ტექნიკური ჰყავთო? კარში ზოიძე იდგა, რომელმაც ერთი-ორჯერ მეტოქეს **“პადსებია”** გაუკეთა...

ამის შემდეგ **“ალანიაში”** წავიყვანეთ ყაველაშვილი, შელია, რევიშვილი, გრიშიკაშვილი... 5-5 ათასი დოლარი დავუნიშნეთ ხელფასი, ბიჭებმა დიდი საკონტრაქტო თანხებიც აიღეს და ამოისუნთქეს. იმ წელს ჩემპიონები გავხდით და ამაში დიდი როლი დინამოელებმა ითამაშეს.

არადა, თავიდან იქით გახედვა არავის სურდა, კონფლიქტის შემდეგ შიში ჰქონდათ, რომ ვლადიკავკაზში ხალხი ცუდად დახვდებოდათ. არადა, პირიქით, დიდი სიყვარულით მიიღეს...

– ზუსტად ამის შემდეგ ააწყო ბევრმა ოსეთში ბიზნესი, ხალხში მისვლა-მოსვლა დაიწყო და ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა. **“ალანიაში”** ბევრმა ქართველმა ითამაშა – გახოკიძემ, კობიაშვილმა, დემეტრაძემ, აშვეთიამ... სულ დაახლოებით 20-მა ფეხბურთელმა. ჩვენი ბიჭების უმრავლესობამ ამის მერე გაიკვალა გზა უფრო ძლიერი ლიგებისკენ.

ზუსტად იმ დროს, ვლადიკავკაზში ერთი ჩვენი ძალიან ცნობილი მეგობარი დაიჭირეს – გვარს შეგნებულად არ დავასახელებ და ნუ მთხოვთ. მე და გაზაევი ვფიქრობდით, როგორ გვეშველა, მაგრამ ისიც გვაღელვებდა, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობები დალაგებული არ იყო.

ვუთხარი, რომ **“დინამოსთან”** საქმეს მოვაგვარებდი და **“ალანიას”** თბილისში დავპატიჟებდი, ხოლო ოსეთის პრეზიდენტ გალაზოვს თბილისში ჩამოსვლა ვთხოვოთ და შევარდნაძეს შევახვედროთ-მეთქი. გაზაევს ეს აზრი მოეწონა და დათო ყიფიანს დავურეკე. შევარდნაძე მას დიდ პატივს სცემდა და დარწმუნებული ვიყავი, პოლიტიკოსების შეხვედრას მოაგვარებდა.

დათომ ყველაფერი მაგრად შეასრულა, **“დინამომ” “ალანია”** მოიწვია, შევარდნაძემ – გალაზოვი და მატჩი ძალიან თბილ გარემოში ჩატარდა. მატჩის შემდეგ **“ბერიკონში”** დიდი ბანკეტი გაიმართა და როცა გაზაევი მიხვდა, რომ სასურველი დრო დადგა, ორივე გუნდის სახელით გალაზოვს ჩვენი მეგობრის გათავისუფლება სთხოვა. გალაზოვმა ერთ კვირაში სიტყვა შეასრულა და ის კაცი გაათავისუფლა.

გული მწყდება, რომ მერე ყველაფერი ისევ აირია. ეს ჩემთვის მოუშუშებელი იარაა, რადგან ქართველები და ოსები ერთმანეთისთვის უახლოესი ხალხი ვართ.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322



საქართველოში საჯაშუშო-სექტანტური ორგანიზაციების მომძლავრება გრძელდება

(გაგრძელება მე-11 გვერდიდან)

– რა არის უფლის მცნება, სად შეგვიძლია მოვიძიოთ უფლის მცნება? ერთადერთი გზა, რომ მოვიძიოთ უფლის მცნება, არის ბიბლია. სხვაგან არ არსებობს მისი მცნების მოძიების ადგილი. კათოლიკე იქნება, მართლმადიდებელი თუ პროტესტანტი, მთავარია დავსხდეთ და წავიკითხოთ ბიბლია, სადაც ამოვიკითხავთ ქრისტეს მცნებებს და შემდეგ ამის მეშვეობით შევძლებთ, ვიყოლიოთ ქრისტე ჩვენს ეკლესიებში და შემდგომ გვექნება იმის უნარი რომ წავიდეთ მუსულმანურ ქვეყანაში და მოვაქციოთ ისინი, ისინი არიან ძალიან ძვირფასი ადამიანები. ბიბლია ამბობს, რომ ღმერთს უყვარს ყველა პიროვნება, მაგრამ მათ შანსი არ აქვთ, რომ სახარება მოისმინონ. ყველა ეკლესიის მოვალეობაა, რომ წავიდეს და უქადაგოს მათ სახარება. ბიბლია ამბობს გარკვევით, როგორ მოისმინონ, თუ მათთან არ არის მქადაგებელი წარგზავნილი. ეს მარტო ჩემი საქმე არ არის რასაც მე ვაკეთებ რომ ვქადაგებ. ეს ყველა ეკლესიის მოვალეობაა, რომ ისწავლოს ბიბლია და იქადაგოს ყველა ერში. მე ვიცი, რომ ძალიან ბევრი საქართველოში არის ეროვნებით ქართველი, მაგრამ მუსულმანი. ისიც ვიცი, რომ არსებობს მუსულმანური ქვეყნიდან დაფინანსებები, რომ საქართველოში განვითარდეს მუსულმანური რწმენა. რატომ არ უნდა წავიდეთ ჩვენს ქვეყანაში საქართველოში და მივწვდეთ ასეთ ადამიანებს, რათა ვუქადაგოთ. საერთოდ ისლამური რწმენა არის ცარიელი რწმენა, სადაც შენ ხდები ფულის მიმღები და აშენებ მეჩეთებს, ხოლო ქრისტიანობა აღმატებულია.

– როგორც ვიცი, მოქალაქეობა მოგანიჭათ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა...

– მე მქონდა შანსი, წავსულიყავი ამერიკაში საცხოვრებლად, მაგრამ მე უფლის წინაშე ვლოცულობდი, რომ საქართველოს მოქალაქეობა მიმეღო. როგორც დევნილს თავისუფლად შემიძლია აშშ-ში წასვლა, მაგრამ გულში უდიდესი სიყვარული მაქვს საქართველოს მიმართ და როდესაც ერთხელ მივდიოდი ჩემი ავტომობილით, ასეთი კითხვა დამებადა: **„ბაბექ, რას გააკეთებ შენ, რომ განმეორდეს 2008 წლის ომის მოვლენა – დარჩები თუ არა საქართველოში?“** და მე ვუპასუხე ჩემს თავს – **„კი, დავრჩები!“**. მე სულ სხვა რაღაცით ვიყავი დაკავებული. აეროპორტში მივდიოდი, სტუმარი ჩამომდიოდა, ვერ გავიგე, ასეთი კითხვა რატომ დამებადა, მაგრამ ვიცი, რომ მე მიყვარს ეს ქვეყანა და ეს ხალხი. ჩემი მეგობრები დამეხმარნენ რეკონმდაციის და საბუთების შეგროვებაში, ისეთი მეგობარი, როგორიც არის ბექა მინდიაშვილი და აქ მყოფი ადამიანები. ბექამ გამიკეთა რეკომენდაცია. მე მოქალაქობა ძალიან კარგ დროს მივიღე, ვადა გასდიოდა ჩემს ირანულ პასპორტს და უკან მიწევდა დაბრუნება, მაგრამ გადავრჩი, დროულად მივიღე პასპორტი და დიდ მადლობას ვუხდი ბატონ მიხეილ სააკაშვილს, გაგეცინებათ და, ჯორჯ ბუშსაც მივწერე, რომ დამხმარებოდა საქართველოს მოქალაქეობის მიღებაში. ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, ვიწოდებოდე საქართველოს მოქალაქედ. მე შემიძლია, თამამად ვთქვა: ღმერთს უნდა, რომ აკურთხოს ჩვენი ქვეყანა საქართველო. საერთოდ ქრისტეში ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს, ბიბლია ამბობს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, არაბი ხარ თუ ქართველი და თქვენ წარმოიდგინეთ სახარება იმასაც ლაპარაკობს რომ სქესსაც აღარ აქვს მნიშვნელობა, იესომ გაგვათავისუფლა ჩვენ, ჩვენ ვართ დადგენილი დღევანდელ დღეს, რომ განვაცხადოთ მისი სახელი. დაე უფალმა დალოცოს და აკურთხოს ჩვენი საქართველო!

საუბარი მიჰყავდა ირაკლი ყიფიანს

P.S. ბატონმა ბაბექმა, სხვათა შორის, არ ახსნა, რატომ ჰქვია მის ვითომ-ქრისტიანულ **“ეკლესიას“ „სიონისტური“**. თუმცა მისი ახსნის გარეშეც გასაგებია კავშირი ამერიკელ **„ქრისტიან სიონისტებთან“**.

საქინფორმი

იუმორი

– მივედი გუშინ სახლში და ვხედავ – ჩემი ცოლი ვიღაც მეგრელთან კოტრიალობს, – ამბობს კაცი.

– რა იცი, რომ მეგრელი იყო?

– რაღაც მითხრა მეგრულად.

– მერე, შენ რა უთხარი?

– რა უნდა მეთქვა, ერთი სიტყვაც კი არ ვიცი მეგრული.

* * *

სვანს ქუჩაში ხვდება ნაცნობი, ცოლთან ერთად.

– გაიცანი, ეს ჩემი მეორე ნახევარია.

– პირველი ნახევარი რაღა უყავი?

– გაუკვირდა სვანს.

* * *

გურული ცოლს ირთავს. სასიდედრო პირობებს უყენებს:

– ჩემი ქალიშვილი რომ შენი ცოლი გახდება, შენ უნდა რეცხო სარეცხი, ხეხო იატაკი, ამზადო სადილი, რეცხო თეფშები...

– მერე, ერთადერთ ქალიშვილს ასეთ იდიოტს ატან?

* * *

– იქ იყავი, ის კაცი შენს სიდედრს რომ სცემდა? – ეკითხება მოსამართლე.

– კი, ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე.

– მერე, ვერ მიეხმარე?

– რავა, ორ კაცს გვეცემა ერთი ქალი?

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაქაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge